ქართველობის გადასარჩენად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილორი

№ 5 (75) 11 მარტი 2009 სახალხო მოძრაობა "საქართველოს" ორგანო



მ ა ფ ა ლ უ

ნიკო მარი

"მეგრული ენა არის მეგრული ენა; იგი ლინგვისტურად არ არის არც კილო, არც დიალექტი, მაგრამ ამავე დროს მეგრული მჭიდროდ დაკავშირებულია ქართულთან; ქართული ენის ძმა ენა არის და ქართულის მეცნიერულად შესასწავლად, დიახ, საჭიროა მეგრულის გამოწვლილვა".



ხსოვნის სტრიქონები

ნაწყვეტებს მეგრულ ენაზე შექმნილი ისტორიული პოემიდან "გულათია", რომლის ავტორი გახლავთ თავდადებული მამულიშვილი და ჯეშმარიტი პოეტი დანიელ პავლეს ძე ფიფია, გთავაზობთ გაზეთ "ილორში". 113-ე წელი ილევა პოეტის დაბადებიდან. იბი 28 წლის ასაკში შეიწირა კოლიტიკურმა უამინდობამ – სამშობლოს სიმ-ვარულით გამსჭვალული გულანთებული პატრიოტი 1924 წლის თებერვალში დააკატიმრეს იმის გამო, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის დროს იყო ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის პასუხისმგებელი პროპაგანდისტი. დაპატიმრე-ბისას დანიელ ფიფია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამე კურსზე სწავლობდა.

ზვიად გამსახურდია

გელათი და დავითის საფლავი ის სიწმინდეა, რომელსაც მართლმადიდებელი ქართველი კაცი ქარაფშუტული ხელაღებით არასოდეს შეაწუხებს. ამიტომ არ დაუდია დავითის საფლავთან საპრეზიდენტო ფიცი სრულიად საქართველოს ერთადერთ და უკანასკნელ პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას, რომელ-იც ქვეყნის სხვა მმართველებთან შედარებით ბევრად განსწავლულიც იყო და ბევრად გულმხურვალე პატრიოტიც.

ნათელი და ბნელი გვ.8-9

დავით ქობალია
სამეგრელო 1990-იან წლებში გვ.5

რედაქტორის სვეტი
ვაღოლა (არ ქნა)!.. გვ.2

ცნობები კოსმოსიდან

გვ.12

ისტორიული მასალები
წითელი წიგნი
პეტრე გელეიშვილი გვ.10

საქართველოს საამაყო შვილები სამეგრელოდან

კინი გეგეჭკორი
გვ.3

ლეო ქიაჩელი

ამის დაკარგვის, ან დავიწყების უფლება არც რუსსა აქვს და არც ქართველს!

აჭარასაც ვკარგავთ?

ბალაფში თავისას არ იშლის გვ.4





ნაწყვეტები ვ.ველიჩკოს წიგნიდან "კავკასია"

"ილორი" უძღვება რუბრიკას "მსოფლიო ჩემპიონატები ფეხბურთში", რომელიც მოგითხრობთ პირველობათა ფინალურ ბატალიებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქტორის სვეტი

ვაღოლა (არ ქნა)!..

დიდი ხანია შუა ასაკს გადავაბიჯე. მძიმედ მივუყვები ცხოვრების აღმართს, ლექციების კურსი მაქვს ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში და ვცდილობ ახალგაზრდებს საკუთარი ცოდნა და გამოცდილება გავუზიარო. მაგრამ, რაც უფრო ბევრს ვასწავლი სხვას, მით უფრო ვრწმუნდები, რომ მე უფრო მეტის სწავლა მჭირდება. საშუალო სკოლა რომ დავამთავრე, ერთ-ერთ გაზეთში პატარა ნაკვესი გამოვაქვეყნე და მას შემდეგ ჟურნალისტიკას შევალიე მთელი ჩემი არსება. დღესაც ჟურნალისტობას ვიჩემებ, ამიტომაც მინდა რომ მუდმივად "ფორმაში" ვიყო და დიდ დროს ვუთმობ წიგნებზე მუშაობას. შეიძლება ბევრს (განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობას) არქაულად მოეჩვენოს ჩემი აზრი, მაგრამ ხმამაღლა ვაცხადებ, რომ ვერც ერთი ინტერნეტი და ვერც ერთი ტელეფილმი ისე ვერ აზიარებს ადამიანს ცხოვრების აჟკარგს, როგორც წიგნი. ერთ დროს სპორტშიც მოვსინჯე ძალა და არც თუ ურიგოდ – ფარიკაობის სპორტულ წრეში ჩავეწერე მას შემდეგ, რაც დიუმას **"სამი მუშკეტერი"** წავიკითხე.

გარკვეული პერიოდი რუსულ პრესაშიც ვიმუშავე. აქ საქმიანობა არ გამჭირვებია, რადგან საფუძვლიანად ვიყავი გაცნობილი რუსულ კლასიკას. დღესაც თაყვანს ვცემ პუშკინს, ტოლსტოის, დოსტოევსკის, ჩეხოვს, გოგოლს, ესენინს... ადრე შემეძლო საათობით მეკამათა რუსი მწერლების შემოქმედებაზე, ახლა კი ამას ვეღარ ვახერხებ, რადგან საქართველოში ამ თემებზე მოკამათეთა აუდიტორია კატასტროფულად შემცირდა, საკუთარ თავთან საუბარი კი ჩემი ასაკის ადამიანისათვის სარისკოა, რადგან შეიძლება სულ სხვა რამედ ჩაგითვალონ...

ძალზე სამწუხარო კი არის!

ჩემი შვილისშვილი თბილისის ერთ-ერთი უცხოური უნივერსიტეტის მესამე კურსის სტუდენტია – ინგლისურ ენაზე სწავლობს ყველა საგანს. საქართველოს განათლების სისტემა იმგვარად ჩამოყალიბდა, რომ რუსულის ცოდნა საჭირო აღარ არის, ამიტომაც აღარ იწუხებენ თავს ახალგაზრდები ამ ენის შესწავლით. ჩემი შვილისშვილი, სწავლასთან ერთად საქართველოს წყალბურთელთა ნაკრებშიც თამაშობდა და ერთხელ სპორტსმენთა შეკრებაზე გუნდთან ერთად ბაქოში გაემგზავრა. იქიდან მზით გარუჯული და ამაღლებული განწყობით დაბრუნდა.

– ერთი მოსკოველი კარგი ბიჭი გავიცანი, უცებ დავმეგობრდით და ერთმანეთს პირობა მივეცით, რომ ინტერნეტით გავუგზავნით წერილებს!

– კი მაგრამ, რა ენაზე ესაუბრებოდი, ბაბუ, შენ ხომ რუსული არ იცი? – ვკითხე ბავშვს.

– ინგლისურ ენაზე, ბაბუ! – ამაყად მიპასუხა შვილისშვილმა.

ვაი, ჩემს დღეს!..

გული ჩამწყდა, ბავშვისთვის არაფერი მითქვამს. ბავშვს რას ვერჩი – განა ჩვენი ბრალი არ არის, რომ რუსი და ქართველი ახალგაზრდა ერთმანეთს ინგლისურ ენაზე ესაუბრებიან და ამით ამაყობენ კიდეც. უბრალოდ, რუსეთის ქალაქ ეისკის გაყინულ მიწაში დავანებული, დიდ სამამულო ომში დაღუპული მამაჩემის ძვლები დამენანა, რომელმაც თურმე იმიტომ გასწირა თავი, რომ რუს ყმაწვილს და მის შთამომავალ ქართველ ბავშვს ერთმანეთთან ინგლისურ ენაზე ესაუბრათ. დამენანა იმ ქართველი მამულიშვილების და დიდი შემოქმედი პიროვნებების ჯაფა, რომლებიც უბადლო რუსულით ქმნიდნენ საკუთარ ნაწარმოებებს და დიდად ამაყობდნენ ამით.

სხვა რომ არაფერი იყოს, რუსული ენის არცოდნა ხომ წინაპართა ხსოვნის დიდი შეურაცხყოფაა!

იქნებ რუსებსაც მივაწვდინოთ ხმა და განვუმარტოთ, რომ ეს ერთნაირად სამარცხვინოა როგორც ქართველებისათვის, ასევე რუსებისათვის.

მალე, საქართველოსა და რუსეთში, ჩემი თაობა წავა ცხოვრების ასპარეზიდან და ჩვენ ადგილს ის ახალგაზრდები დაიკავებენ, რომლებიც ერთმანეთისას ვერაფერს გაიგებენ და თარჯიმნების მეშვეობით ისაუბრებენ.

მართლაც დიდი სირცხვილია!

ერთი მეგრელი მეგობარი მყავს. როცა ვინმეს შეამჩნევს, რომ რაიმე მიუღებელი და არაეთიკური უნდა თქვას ან გააკეთოს, თავს მაღლა ასწევს და ომახიანად შესძახებს ხოლმე – **ვაღოლა!**

ამ საკითხთან დაკავშირებით მეც მინდა შევძახო ყველას – ჩემიანს და სხვისიანს:

ვაღოლა!

ღმერთო, გვიძღოიერე ერთადერთი ხსნის კუნძული...

როგორც ჩანს, ღმერთს მაინც არა აქვს ხელი საბოლოოდ ჩაქნეული საქართველოზე. მაშინ, როცა ქვეყანა სულიერი სიბინძურისა და გაურკვევლობის მორევში არის ჩაძირული, მაინც გვიბოძა უფალმა ადამიანი, ვისაც ერთნაირად ენდობა ქართველიცა და არაქართველიც, ვინც სულიერებას უძლიერებს საზოგადოებას, თვალს უხელს ქართველერს და მტერ-მოყვარის გარჩევაში ეხმარება, ვინც რელიგიური სულისკვეთების გაძლიერების მაგალითის მიმცემია არა მხოლოდ საქართველოსათვის.

ეს პიროვნება გახლავთ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მისი უწმინდესობა ილია მეორე.



ერთი წამით წარმოიდგინეთ, რომ ქართულ სულიერებას მწყემსად ის ავადსახსენებელი **"თავისუფლების ინსტიტუტი"** და მისი თავკაცი ლევან რამიშვილი ედგას, რომელიც დაუნდობლად ებრძვის ყოველივე ეროვნულს და დღენიადაგ უზნეობისა და გახრწნილების პროპაგანდას ეწევა.

წარმოიდგინეთ, რომ ჩვენი ინტელექტუალური ორიენტირი იყოს ამ ინსტიტუტის აღზრდილ-გამოკვებილი **"ასოცირებული პროფესორი"** თეა თუთბერიძე, რომელმაც ელემენტარული გამოცდა ვერ დაიჭირა და პროფესორ დალი ფანჯიკიძისაგან დიდი ორიანი დაიმსახურა.

წარმოიდგინეთ, რომ საქართველო დარჩეს ბუდაძისთანა და ბურჭულაძისთანა მწერლების იმედად, რომელთა პათოლოგიური სექსუალური წიაღსვლები ამაზრზენია და ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს...

სხვა უამრავი სიმახინჯის ჩამოთვლა შეიძლება, რომლის **"წყალობით"** საქართველო აღარ იქნება საქართველო.

ჩვენდა საბედნიეროდ, დღეს საქართველოს სულიერებას მძლავრი ზვირთმჭრელივით იცავს უზნეობის მოზღვავებისაგან უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე. ეს კი ღვთით ნაბოძები ბედნიერებაა.

დღეს, როცა ჩვენს ჩიტირეკია ხელისუფლებასთან აღარავის სურს ურთიერთობა, პატრიარქმა რუსეთის პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევთან ერთსაათიანი საუბრით მოაგვარა სოფელ პერევიდან რუსეთის სამხედროების გაყვანის საქმე და ეს პროცესი კვლავაც განვითარდებოდა, რომ არა მიხეილ სააკაშვილის ქარაფშუტული განცხადება იმის თაობაზე, რომ რუსებს ჩვენი შეეშინდათ და იმიტომ გადიან პერევიდანო. თან ისიც დასძინა, რომ პატრიარქი რუსეთში ზუსტად ისე იქცეოდა, როგორც მე დავარიგეო.

მსგავსი თავხედობა ხომ ნებისმიერ ქვეყანაში გამორიცხულია!

სწორედ ამის პასუხი გახლდათ, რომ რუსები პერევში დარჩნენ. სააკაშვილს კი არც ბოდიში მოუხდია თავისი სულელური განცხადების გამო და არც სინდისის ქენჯნა უგრძვნია.

განა ეს არ გახლავთ მძიმე გამოცდა პატრიარქისათვის?

ასე რომ, დღეს ქართული გრაალისა და ზნეობის დამცველი და მთელი საქართველოს მიერ ჩადენილი ცოდვის მზიდველი გახლავთ ერთადერთი ადამიანი – ილია მეორე. ამიტომ, მეხის დაცემას ჰგავდა საქართველოსათვის ის ამბავი, რომ პატრიარქი შეუძლოდაა და სამკურნალოდ გერმანიაში მიემგზავრებაო.

არავის დაუძახია **"ქუდზე კაციო"** – მთელი საქართველო მუხლმოდრეკილი დადგა საკურთხეველთან და პატრიარქის ჯანმრთელობა შეავედრა ღმერთს. სხვაგვარად დავიღუპებით, რადგან ილია მეორე გახლავთ დღეს ერთადერთი ადამიანი, ვინც საქართველოს ინტერესებს იცავს მისი სამშობლოს გარეთ. ჭეშმარიტად უსაზღვროა მისი ავტორიტეტი რუსეთის რელიგიურ სივრცეში, სადაც ეკლესიას დიდ პატივს მიაგებენ როგორც ხალხი, ასევე უმაღლესი სახელისუფლებო ეშელონების წარმომადგენლები. აბა, თუ გინახავთ როდისმე, რომ ელცინს, პუტინს ან მედვედევს ხელი მოეხვიოთ მხრებზე მათი პატრიარქისათვის და ჰავლაბრული კილოკავით ესაუბროთ მასთან, როგორც ეს არაერთგზის გაუკეთებია ელემენტარულ ეთიკასთან მწყრალად მყოფ მიხეილ სააკაშვილს.

მართლაც იგრძნობა, რომ იგი მონოფიზიტი ტერტერას სულიერი და ხორციელი შთამომავალია. მაგრამ, ისიც ფაქტია, რომ ტერტერა სააკაშვილმა საქართველო შაჰ აბასის სპარსელთა ურდოების შემოსევისაგან იხსნა, პრეზიდენტი სააკაშვილი კი საქართველოს დაღუპვის გზაზე რომ მიაქანებს, ესეც ფაქტია.

ისმინა ღმერთმა ქართველთა ლოცვისა და გამოჯანმრთელებული პატრიარქი სამშობლოს დაუბრუნდა. ხალხმა შვებით ამოისუნთქა და ეს დღე ლამის დღესასწაულივით იზეიმა. სააკაშვილის **"ჯიბის"** ტელევიზია **"რუსთავი–2"**-მა კი ერის სულიერი მამის ჩამობრძანება ჩვეულებრივ მოვლენად მიიჩნია და საინფორმაციო გამოშვებაში მას მე-7 ადგილი მიუჩინა.

სატანა მძლავრობს, მაგრამ, როცა ქვეყნის სულიერებას მისი უწმინდესობა უდგას სათავეში, მას სატანები და ათასი ჯურის მჩხიბავები ვერაფერს დააკლებენ.

ღმერთს ზურგი არ შეუქცევია ჩვენთვის და ვიმედოვნებთ, რომ პატრიარქი ყველაფერს გააკეთებს საქართველოს სახელმწიფოებრიობის განსამტკიცებლად!

ამის რწმენით სულდგმულობს დღეს სრულიად საქართველო!

იუბილემ გაიარა, ფიქრები რჩებიან...

სახალხო მოძრაობა **"სამეგრელოს"** დაარსება ეპოქალური მოვლენა იყო, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე. დადასტურებულად იმის გახსენებაც კმარა თუ როგორ ააშმორა ამ ფაქტმა მეგრელთმოძულენი, მეგრელთათვის ჯალალედინის სწორფერი სუბიექტის ედიკა შევარდნაძის თავკაცობით. რა თქმა უნდა მათ ბანი მისცეს იმ დამფრთხალმა მეგრელ-ნამეგრელარებმა მუდამ რომ რომის პაპზე მეტი კათოლიკობა სწადიათ.

ამ პერიოდში უკვე ფუნქციონირებდნენ ორგანიზაციები **"აჭარა", "კახეთი", "სვანეთი". "გურია", "დემოკრატ მესხთა კავშირი"** და თქვენ წარმოიდგინეთ **"ქიზიყი-უბატონო ქვეყანა"**-ც კი, (ეს უკანასკნელი ფაქტი სალაღობოდ მოვიყვანე. ალბათ წარმოგიდგენიათ რა აჟიოტაჟი მოჰყვებოდა მოძრაობა **"სამეგრელოსათვის" "სამეგრელო – ოქროს საწმისის ქვეყანა"** რომ ეწოდებინათ?) მაგრამ მხოლოდ **"სამეგრელოს"** დაარსებას მოჰყვა აფეთქებული ბომბის ეფექტი. დაიწყო ორგანიზაციის დამფუძნებელთა ფსიქოლოგიური დატერორება, რომელშიც, სხვათაშორის, აშკარა მეგრელოფობების გვერდით უბრალოდ არასაკმარისად ინფორმირებული ჩვენი თანამემამულენიც მონაწილეობდნენ. მათაც გავუგოთ. ძნელია, არ მოექცე ტოტალური პროპაგანდის საცეცებქვეშ, როცა მუდმივად გინერგავენ რომ **"მაფალუ"** ანტიქართული ჯგუფი იყო, რადგან მეგრული ენის შენარჩუნება სწადდა, რომ მეგრელებმა 30-იან წლებში დანაშაული ჩაიდინეს მეგრულენოვანი გაზეთის დაარსებით, (დედა ეს რა მომხდარა!), რომ მეგრულ-ქართული ლექსიკონის გამომცემლები უნდა დაისაჯონ და ა.შ.

მოძრაობა **"სამეგრელოს"** დაფუძნების მთავარი მიზანი იყო საზოგადოებაში და პირველ რიგში მეგრელთა ცნობიერებაში გამჯდარი მავნე სტერეოტიპებისა და კომპლექსების მსხვრევა. მეგრელთა დიდი ნაწილი უკვე თამამად საუბრობს სამეგრელოს პრობლემებზე და მათ შორის უპირველესზე, გაქრობის საშიშროების წინაშე დამდგარი მეგრული ენის გადარჩენის გზებსა და საშუალებებზე და ამ საკითხებზე ტაბუს ახსნა დიდწილად **"სამეგრელოს"** დამსახურებაა. რა თქმა უნდა კვლავ ფხიზლობენ მეგრელ-ნამეგრელარები, რომლებიც ცერბერებივით ეძგერებიან მეგრული პოეზიისა და პროზის ყოველი კრებულის გამომცემელსა თუ მეგრული ენის უფლებების რეალიზაციის აუცილებლობაზე მოსაუბრეს, მაგრამ ისინი გრძნობენ რომ ინიციატივა უკვე მათ მხარეს აღარაა და ამაშიც მოძრაობა **"სამეგრელოს"** დამსახურება უდავოა.

ეს მხოლოდ დასაწყისია. **"სამეგრელომ"** კიდევ ძალიან ბევრი უნდა გააკეთოს, რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების შემსუბუქებისათვის. წინააღმდეგობა იქნება მაგრამ ამისი არ უნდა შეგვეშინდეს. ისტერიით შეპყრობილებს, რომელნიც სამეგრელოს გაძლიერებას საქართველოსათვის საფრთხედ აღიქვამენ უკვე ქართული სახოგადოების ჯანსაღი ნაწილიც ამრეზით უყურებს.

მოძრაობა **"სამეგრელომ"** მყარად და პრინციპულად უნდა განაგრძოს გზა თავისი მიზნებისაკენ. უფალი ჩვენთან არის!

დავით რაფავა.

სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" წევრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საამაყო შვილები სამეგრელოდან

ართი ხატი

ართი ხატი, ართ ღორონთი,
ართ ოდიში, ართი ქართი,
გიერთგულე მე ბოლომდე,
შენ კი მაინც არ გიყვარდი.

ართი ვარდი განკოპწილი,
მუს მოხვარუ ართი ვარდი.
დარდი ვხიდე შენი წილი,
შენ კი მაინც არ გიყვარდი.

ჩქიმი ნანა ჩქიმი ნინა,
თირიში დო ჭვიმაში დართი...
მე მიყვარდა ეს ქვეყანა,
მას არასდროს არ ვუყვარდი.

ბევრი სიძულვილის გამო...

ბევრი სიძულვილის გამო,
ბევრი ბოროტების გამო,
კიდევ ბევრი შურის გამო,
ჭყელი ვორეთ ერებამო.

საუკუნეს მიაფინე
შენ სუდარა, შავო წამო.
თე ქიანა, რხინაფილი,
დინაფილ რე ერებამო.

ჟღვერთილი დო ნაჭვიმარი,
ჟი ცა რე დო თუდო დიხა.
ცას და მიწას გამჭვირვალე
ცრემლის კედლით გადატიხრავ.

აქეთ შენ და იქით სხვები,
შქას მეურცუ ჩილამური.
ანგელოზებს ესიზმრება
სქანწმა რინა მილამუნი.

ბევრი სიძულვილის გამო,
ბევრი ბოროტების გამო,
კიდევ ბევრი შურის გამო,
ჭყელი ვორეთ ერებამო.

ვახტანგ ხარჩილავა

კინი გეგეჭკორი



ქართული ხალხური სიმღერების მესაიდუმლე, შემკრები და პოპულარიზატორი **კიწი (ივანე) გეგეჭკორი** ცნობილი მომღერალი და ჩონგურის უბადლო ოსტატი გახლდათ.

იგი 1886 წელს დაიბადა ქალაქ ზუგდიდში, ხელოსან **ბესარიონ გეგეჭკორის** ოჯახში. დაწყებითი განათლება მარტვილის სასულიერო სასწავლებელში მიიღო, სადაც შეისწავლა საეკლესიო საგალობლები. სიმღერის სიყვარული სამუდამოდ შთაებეჭდა, რაც მისი გენეტიკური კოდი გახლდათ, რადგან დედამისი – **ეფროსინე გაბუნია** შესანიშნავად მღეროდა და უკრავდა ჩონგურზე. მუსიკისადმი სიყვარულს კიწის მისი ძიძა – სიმღერის დიდი მოყვარული **სადა ფაცაციაც** უღვივებდა, რომელიც, ამავე დროს, გამოჩენილი სახალხო მკურნალიც იყო და მალამოებს თაფლისაგან ამზადებდა.

სოფლის ბავშვებს თხები დაჰყავდათ სამწყემსად ნაცატუს ეწერში. აქ ბავშვები ჭიდაობდნენ, დარბოდნენ, ისინდსა და ჭარკინტს თამაშობდნენ. შემდეგ იმართებოდა სიმღერა და ცეკვა, ბიჭები ასრულებდნენ რთულ ფერხულს **"ძაბრალეს"**.

სოფელში მცხოვრებ, მომრიგებელ ბიბუ თოლორაიას ოჯახში ყოველ წელს იმართებოდა "ჟინიში ხვამა" (საზეო ლოცვა), სადაც ლხინზე, ყოველი სადღეგრძელოს შემდეგ სრულდებოდა **"მრავალჟამიერი", "შოუ ნანა, შოუ სქუა, ცაში მეგიჭოფუ სუა"** და სხვა.

1894 წელს კიწი ზუგდიდის სასწავლებელში მოსამზადებელ კლასში მიიღეს. 1895 წელს კი, საზეიმო კონცერტზე, კიწიმ სხვა ბავშვებთან ერთად რუსულ ენაზე შეასრულა სიმღერა **"ძმობილო იაკობ"**.

გეგეჭკორების ოჯახს ხშირად სტუმრობდა სახელგანთქმული მომღერალი დიტო ჭალაგანიძე, რომელიც კიწის სიმღერებს შეასწავლიდა. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ კიწი მასწავლებლად მოეწყო ზუგდიდის სამრევლო სკოლაში, რომლის გამგეც მისი უახლოესი მეგობარი კაკა ჟვანია გახლდათ. მოგვიანებით, კიწი სოხუმში ჩავიდა, სადაც შეხვდა ძუკუ ლოლუას, რომელიც მომღერალთა ანსამბლს აყალიბებდა და თავისთან მიიღო კიწი.

1903 წელს სოხუმს ილია ჭავჭავაძე ესტუმრა, რომელსაც დიდი შეხვედრა გაუმართეს. 5 აგვისტოს შედგა გუნდის პირველი რეპეტიცია, რამაც წარმატების დიდი იმედი შთაუნერგა გუნდის შემქმნელებსა და წევრებს. ანსამბლში მღეროდნენ აფხაზები, მეგრელები, იმერლები, გურულები, სვანები და საქართველოს სხვა კუთხეთა წარმომადგენლები.

1904 წელს სოხუმში გაიმართა გუნდის პირველი კონცერტი, რომელსაც დიდი წარმატება ხვდა წილად. მალე ქვეყანა რევოლუციონერებმა არიეს და კიწი სოხუმიდან სოფელ ათარაში გადავიდა საცხოვრებლად, შემდეგ კი კვლავ ახალსენაკს დაუბრუნდა. ცოტა ხნის შემდეგ მან ფოთში იპოვა თავშესაფარი, სადაც სოხუმიდან დევნილ ძუკუ ლოლუას შეხვდა, რომელმაც კიწი სოხუმში დააბრუნა და ანსამბლში ჩარიცხა. 1908 წელს გუნდს რემა შელეგია შეემატა, მომღერლებთან კი აქტიურად თანამშრომლობდა ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე შალვა დადიანი.

1912 წელს გუნდმა გასტროლები გამართა ქალაქ სოჭში, შემდეგ კი ბათუმში. ამას მოჰყვა ქუთაისი, ჭიათურა. მოგვიანებით კიწი ბათუმში გადადის საცხოვრებლად და სამუშაოდ, შემდეგ კი ქუთაისში დაფუძვნდა და თბილისშიც გამართა რამდენიმე კონცერტი.

ახალი გუნდი ოთხმოცი კაცისაგან შედგებოდა, რომელშიც ძირითადად ახალგაზრდები მღეროდნენ. ესენი იყვნენ ძღიკი გაგუა, ლუდი ბაბილუა, ემანუილ აფხაიძე, კოლია ხვიტია, კალისო რამიშვილი, სერგო ბახუტაძე და სხვები.

წლები წლებს მისდევდა, თანდათან იხვეწებოდა კიწისა და მისი თანაგუნდელების საშემსრულებლო ტექნიკა, მათ კონცერტებზე ხალხის ტევა აღარ იყო ხოლმე.

1943 წელს კიწი გეგეჭკორი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო საცხოვრებლად მშობლიურ ზუგდიდს დაუბრუნდა. 1954 წელს კიწი ანსამბლთან ერთად საგასტროლოდ კრასნოდარის მხარეში გაემგზავრა.

1955 წელს კიწი გეგჭკორს სოხუმში სალოტბარო მოღვაწეობის 50 წლის იუბილე გადაუხადეს

კიწი გეგჭკორი მთელი თავისი ხანგრძლივი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე საოცარი ოსტატობით, ჩვეული ენერგიით, საქმის ღრმა ცოდნითა და სიყვარულით ემსახურებოდა სამშობლოს და ხალხს. მან მოიძია, ჩაიწერა და მომავალ თაობებს შემოუნახა უამრავი დასაკარგად განწირული სიმღერა.. მას მინიჭებული ჰქონდა საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

კიწი გეგეჭკორი 1971 წელს გარდაიცვალა 85 წლის ასაკში.

ქიაჩელი ლეო მიხეილის ძე

1884–1963

ქართული ლიტერატურის კლასიკოსი ლეო ქიაჩელი (ლეონ შენგელაია) დაიბადა 1884 წლის 7 (20) თებერვლის ზუგდიდის მაზრის სოფელ ობუჯში. დაწყებითი განათლება ლეომ ქუთაისის გიმნაზიაში მიიღო. აქვე დაუკავშირდა რევოლუციურად განწყობილ მოსწავლეებს.

1904 წელი ლეო ქიაჩელისათვის მეტად დაძაბული იყო. ამ წელს გარდაეცვალა მამა, მონაწილეობა მიიღო ქუთაისელი მოსწავლეების გამოსვლებში, დაამთავრა კლასიკური გიმნაზია და უმაღლესი განათლების მისაღებად ხარკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაირიცხა.

1905 წელს სტუდენტთა გამოსვლების გამო უნივერსიტეტი დროებით დახურეს. ლეო იძულებული ხდება სამშობლოში დაბრუნდეს. ზუგდიდში ჩამოსვლისთანავე რევოლუციურად განწყობილ გლეხებს უკავშირდება და ამზადებს მათ შეიარაღებული აჯანყებისათვის, რისთვისაც იგი ქუთაისის საგუბერნიო ციხეში ჩასვეს.

1907 წელს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის წევრებმა ციხის ქვეშ გვირაბი გაიყვანეს და, 36 პატიმართან ერთად ლეო ქიაჩელიც გაიქცა. აღნიშნული ამბავი მწერალმა მხატვრულად დაამუშავა რომანში **"სისხლი"**.

ციხიდან გაქცეული ლეო ერთხანს მოსკოვში ცხოვრობდა არალეგალურად, ხოლო 1921 წელს ჟენევაში გადავიდა საცხოვრებლად. ემიგრაციაში ყოფნისას ლეომ საფუძვლიანად შეისწავლა უცხოური ლიტერატურა და დაწერა პირველი დიდი მხატვრული ტილო **"ტარიელ გოლუა"**. რომანი ხელნაწერის სახით გამოგზავნა სამშობლოში და 1916 წელს დაბეჭდა გაზეთმა **"სახალხო ფურცელმა"**.

"ტარიელ გოლუაში" ლეო ქიაჩელმა ქართველ მწერალთა შორის პირველმა ასახა 1905 წლის რევოლუციის რომანტიკული დღეები და რომანის მთავარი გმირის სახით დაგვიხატა ქართველი ხალხის უკეთესი მომავლისათვის მებრძოლის სახე. **"ტარიელ გოლუამ"** მწერალს საყოველთაო აღიარება მოუპოვა.

1917 წელს მწერალი სამშობლოში ბრუნდება. ერთხანს მასწავლებლად მუშაობს თბილისის ქალთა გიმნაზიაში. ამავე წელს საკუთარი სახსრებით ცალკე წიგნად ბეჭდავს **"ტარიელ გოლუას"**, რომელსაც ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ მხატვრული პროზის საუკეთესო ნაწარმოებისათვის დაწესებული პრემია მიანიჭა.

ლეო ქიაჩელის კალამს ეკუთვნის მაღალმხატვრული **ნაწარმოებები: "ტარიელ გოლუა", "გვადი ბიგვა", "მთის კაცი", "ჰაკი აძბა", "თავადის ქალი მაია", "ალმასგირ კიბულან"** და მრავალი სხვა.

1938 წელს მას რომან **"გვადი ბიგვასათვის"** მიენიჭა სახელმწიფო პრემია.

სამამულო ომის მძვინვარე დღეებში შვილის დაღუპვით აფორიაქებულმა მწერალმა მოიარა ყირიმის ადგილები, სადაც იბრძოდა მისი ერთადერთი ვაჟი და თბილისში დაბრუნებულმა დაწერა რომანი **"მთის კაცი"**.

ლეო ქიაჩელის **"გვადი ბიგვა"** და "მთის კაცი" ითარგმნა მსოფლიოს 12 ენაზე.

ლეო ქიაჩელი ნაყოფიერ სამწერლო მუშაობის პარალელურად ფართო საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ეწეოდა. იგი იყო გაზეთ **"ლომისის"** რედაქტორი, მრავალი ჟურნალისა და გაზეთის სარედაქციო კოლეგიის წევრი. მწერალმა დაწერა კინოსცენარი ფილმისათვის **"ნარინჯის ველი"**, მისი ნაწარმოებების მიხედვით გადაიღეს ფილმები: **"ტარიელ გოლუა", "თავადის ქალი მაია" და "გვადი ბიგვა"**.

ლეო ქიაჩელი გარდაიცვალა 1963 წლის 25 დეკემბერს, ხოლო 29 დეკემბერს დაკრძალეს მთაწმინდაზე.

1966 წლის 27 ნოემბერს მწერლის საფლავზე დაიდგა მოქანდაკე გ. ოჩიაურისა და არქიტექტორ თ. მიქაშავიძის მიერ ორიგინალურად გადაწყვეტილი ლეო ქიაჩელის ძეგლი.

ლეო ქიაჩელის ნაწარმოებები თარგმნილია საბჭოთა კავშირის ხალხთა და უცხოეთის ენებზე.



მსოფლიო პოლიტიკის ლაბირინთებში

აჭარასაც ვკარგავთ?

აღნიშნულ თემაზე გაზეთმა "რეზონანსმა" 2009 წლის 3 მარტს გამოაქვეყნა სტატია.
გაზეთი ეფუძნება თბილისის საინფორმაციო სააგენტო "მედიანიუსის" მიერ მოწოდებულ ცნობას იმის თაობაზე, რომ კრემლი სთავაზობს ანკარას "შეუდგნენ მოლაპარაკებებს აჭარასთან დაკავშირებით". კერძოდ, საინფორმაციო სააგენტოს ცნობით, თუ თბილისი არ შეასრულებს ყარსის ხელშეკრულების პირობებს, მოსკოვი არ გამორიცხავს სიტუაციას, რომ ზურგი შეაქციოს აღნიშნულ ხელშეკრულებას. სერგეი ლავროვი საქართველოს დესუვერენიზაციას წინასწარმეტყველებს, რა შემთხვევაშიც აჭარა შეიძლება გადაეცეს თურქებს. "მედიანიუსის" მტკიცებით მან შესძლო მოეპოვებინა ლავროვის წერილის ტექსტი, რომელიც მან თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გადაუგზავნა.

"რეზონანსი" გაესაუბრა ექსპერტებს, რომელთაც აღნიშნეს, რომ ამ ეტაპზე სარწმუნოდ არ მიაჩნიათ ეს ფრიად საგანგაშო პერსპექტივა, თუმცა თვლიან, რომ ეს ცნობა სხვა არაფერია, თუ არა პანიკის დათესვა და შესაფერისი ნიადაგის მომზადება მორიგი აგრესიისათვის. ამასთან, პოლიტოლოგები აღნიშნავენ, რომ აგვისტოს მოვლენების შემდეგ თურქეთის დიპლომატია შესამჩნევად გააქტიურდა.

"მედიანიუსის" ცნობით ლავროვის მიერ თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ბაბაჯანისადმი გაგზავნილი წერილი თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში 2009 წლის 28 თებერვალს შევიდა. ცნობილია ამ წერილის შინაარსიც. კერძოდ, მასში აღნიშნულია, რომ მალე სამხრეთ კავკასიაში შეიქმნება ისეთი სიტუაცია, რომელიც არ მისცემს საქართველოს ყარსის ხელშეკრულების (1921 წლის 13 ოქტომბერი) პირობების დაცვის შესაძლებლობას, რუსეთი კი, რომელიც მტრულადაა დამოკიდებული საქართველოს ხელისუფლებისადმი, თავის მხრივ, უარს იტყვის ყარსის ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე. ასე რომ, რუსეთთან ურთიერთობის დაძაბვა ისევე დაგვაკარგინებს აჭარას, როგორც აფხაზეთი დავკარგეთ.

რაც შეეხება ყარსის ხელშეკრულებას, გაზეთი აღნიშნავს, რომ მისი პირველი ქვეთავის მე-6 პუნქტის თანახმად თურქეთი დათანხმდა საქართველოს დაუბრუნოს სუვერენიტეტი ქალაქ ბათუმსა და მის პორტზე იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივი მოსახლეობა ისარგებლებს ფართო ავტონომიით, კულტურული და რელიგიური უფლებებით (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის ნაწილი მუსულმანური სარწმუნოებისაა, რადგან გვიანდელი შუა საუკენეების ეპოქაში აჭარა რამდენიმე საუკუნე თურქ-ოსმალთა მმართველობის ქვეშ იმყოფებოდა).

ქართველ ექსპერტთა და პოლიტიკოსთა ნაწილმა ბოლო თვეებში რამდენჯერმე გააკეთა განცხადება იმის თაობაზე, რომ თურქეთმა საქართველოს არ აღმოუჩინა მხარდაჭერა 2008 წლის აგვისტო სამხედრო კონფლიქტის დროს და ფაქტიურად შეეკრა რუსეთს.

საგულისხმოა, რომ ყოველივე ამის თაობაზე ჩვენ ჯერ კიდევ თორმეტი წლის წინ გვაფრთხილებდა ცნობილი ქართველი პოლიტიკოსი ალექსანდრე ჭაჭია. გაზეთ "საქართველოს" 1997 წლის 7 თებერვლის ნომერში იგი აღნიშნავდა, რომ **"დიახ, საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა ძალზედ მომგებიანია, მაგრამ ვინ თქვა და სად არის გარანტია, რომ ამ მდგომარეობის უპირატესობით აუცილებლად ქართველი ხალხი თავისი დამოუკიდებელი სახელმწიფოთი ისარგებლებს? პირიქით, ბოლო წლების მოვლენების ანალიზი, სხვადასხვა სახელმწიფოს გეოსტრატეგიული კონცეფციების, მსოფლიო პოლიტიკური ელიტის პერსპექტიული გეგმების გაცნობა გვიჩვენებს, რომ არსებობს ძლიერთა ამა ქვეყნისათვის მისაღები თვალსაზრისი, რომ არ არის საჭირო მაინც და მაინც საქართველომ შეასრულოს რეგიონში ფუნქციონალური როლი, ამ ტერიტორიაზე სათანადო როლის შესრულებას მოახერხებენ სხვა ქვეყნები. ვინმეს ყოველივე ეს ფანტასტიურად მოეჩვენება, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს სრულიად შესაძლებელია. ჩვენ ვცხოვრობთ მსოფლიოს ახალი, ძალზე სასტიკი გადანაწილების პერიოდში, როცა წყდება არა მხოლოდ ძლიერი ქვეყნების სუსტებზე გაბატონების საკითხი, არამედ ამა თუ იმ ხალხისა თუ ქვეყნის არსებობის მიზანშეწონილობის საკითხიც კი. ჩვენ, სამწუხაროდ, არ გვჭირდება განსჯა სხვა ქვეყნის მაგალითზე (თუმცა მსოფლიოში ამის მაგალითი საკმაოდაა); ჩვენ გვქონდა საშუალება დავრწმუნებულიყავით ამაში: აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი საქართველოს უკვე აღარ ეკუთვნის, თანაც აფხაზეთი ზუსტად ის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რეგიონია, რომელიც საქართველოს გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას განაპირობებს. აფხაზეთის გარეშე ეს მნიშვნელობა განახევრებულია. მეორე ასეთივე მნიშვნელობის რეგიონი არის აჭარა, რომელზეც საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების გავლენა (მისივე დანაშაულებრივი პოლიტიკის გამო) ფაქტიურად აღარ ვრცელდება (ეს წერილი დაიწერა 1997 წელს, როცა თბილისსა და აჭარას შორის უკიდურესად იყო გამწვავებული ურთიერთობა). მაგრამ ახლოვდება ის დრო, როცა საქართველოსადმი ფაქტიური დაუმორჩილებლობა საჭიროებს იურიდიულ გაფორმებას. და აი, თურქეთში უკვე გამოიცემა წიგნები, იბეჭდება სტატიები, რომელშიც გვიმტკიცებენ, რომ "აჭარელი ხალხი" თურქულ ეთნოსს მიეკუთვნება, ისმის მოწოდებები შეწყდეს "აჭარელთა ასწლიანი ძალდატანებული გაქართველება", პარალელურად გაშლილია XIX საუკუნის რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულებების გადახედვის ძლიერი კამპანია. ლაპარაკია იმ ხელშეკრულებებზე, რომელთა მიხედვით თურქეთმა დაუთმო რუსეთს ტერიტორია, მათ შორის ჯავახეთიც და აჭარაც. არგუმენტი მოჰყავთ საკმაოდ სერიოზული: თურქეთმა დაუთმო ეს ტერიტორია რუსეთის იმპერიას, რომლის უფლებათა მემკვიდრე იყო საბჭოთა კავშირი. დღეს არ არსებობს არც რუსეთის იმპერია, არც სსრკ, საქართველო კი დამოუკიდებელი ქვეყანაა, ამიტომ ის ხელშეკრულებები ძალას კარგავენო, თურქეთს საქართველოსთვის აჭარა არ დაუთმიაო".**

მაშ ასე, ალექსანდრე ჭაჭიამ 12 წლის წინათ გვიწინასწარმეტყველა ის საფრთხე, რაშიც დღეს საქართველოს აქვს თავი გაყოფილი ჯერ შევარდნაძის, შემდეგ კი სააკაშვილის დანაშაულებრივი ქმედებების გამო. ეს ხომ არ გახლდათ ლელა კაკულიას ღიმილისმომგვრელი "წინასწარმეტყველებები", რომელიც ლამის ძირითად პოლიტიკურ ორიენტირად აქვს აღიარებული საქართველოს ხელისუფლებას. ეს არც თუ სასიხარულო პერსპექტივა განჭვრიტა იმ ადამიანმა, რომელმაც სხვებზე ბევრად კარგად იცის მიმდინარე პოლიტიკური კლიმატი და გამოირჩევა სიტუაციების ღრმა ანალიზის უნარით.

სააკაშვილისა და მისი დანაშაულებრივი გარემოცვის უგუნურმა საშინაო თუ საგარეო პოლიტიკამ იმის სურვილი აღუძრა საქართველოს ყველა მეზობელ ქვეყანას, რომ ხელი შეუწყონ საქართველოს დესუვერენიზაციის პროცესებს და შემდეგ წაართვან მას გარკვეული ტერიტორიები.

რა არის ეს, სააკაშვილის უუნარობა თუ საქართველოს დასაშლელად მიმართული წინასწარგანზრახული ქმედება?

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ სააკაშვილის წინაპრები მამის მხრიდან არ იყვნენ ეთნიკური ქართველები, უნდა ვივარაუდოთ, რომ სააკაშვილის ხელისუფლება სპეციალურად უბიძგებს რუსეთს საქართველოს დესუვერენიზაციისაკენ, რათა შემდეგ მას მართლაც ჩამოეჭრას აჭარლებით, სომხებითა და აზერბაიჯანელებით კომპაქტურად დასახლებული ტერიტორიები. როგორც ჩანს, ამის თაობაზე რუსებმაც კარგად იციან და იმიტომ არ მიდიან რადიკალურ ზომებზე, რათა ქართველი ხალხი არ დაზარალდეს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ხმამაღლა ითქვას, რომ რუსეთის მმართველი წრეები მტრად მოიაზრებენ სწორედ მიხეილ სააკაშვილს და არ მთელ ქართველ ერს.

მაგრამ, რუსის მოთმინებასაც აქვს საზღვარი. რასაც ჩვენი ხელისუფლება რუსებს ლანძღავს, იმის მეათედი თურქებს რომ შეჰკადრონ, თუ წარმოგიდგენიათ რა დღეში ჩაგვაგდებდნენ, მით უმეტეს, რომ საერთაშორისო სამართალიც მათ ხელთაა და დიდი სამხედრო პოტენციალიც.

ამიტომ, ჭკუით, ქართველებო! სააკაშვილი და მისი მომხვეჭელი გარემოცვა პირველი საშიშროებისთანავე მოხვეტენ ნაქურდალ-ნაოხრალს და გადასაკარგავში გადაიკარგებიან. გაიხსენეთ 2008 წლის აგვისტო, როცა რუსული ტანკები იგოეთთან გამოჩნდნენ. მაშინ ქართული პოლიტიკური ელიტა ოჯახიან-ქონებიანად აზერბაიჯანის საზღვარს როგორ დაპანიკებული მიაწყდა.

ეგენი გაიქცევიან, ჩვენ კი კვლა რუსებთან ერთად უნდა ვიცხოვროთ, როგორც ეს საუკუნეთა განმავლობაში ხდებოდა.

განა ჩვენი ბრალია, რომ სააკაშვილმა ქართველი ხალხის წინაშე ერთადერთი დილემა დააყენა – ან სააკაშვილი, ან საქართველო!

ჩვენი ბრალი ისაა, რომ საქმე ამგვარ დილემამდე არ უნდა მიგვეყვანა...

რ.შალამბერიძე

ბაღაფში თავისას არ იშლის

გთავაზობთ ამონარიდებს აფხაზეთის პრეზიდენტის სერგეი ბაღაფშის ინტერვიუდან საერთაშორისო ევრაზიული მოძრაობის პრესსამსახურთან

– როგორია, თქვენი აზრით, რუსეთის როლი თქვენი დამოუკიდებლობის აღიარებაში?

– რუსეთის როლი, ერთმნიშვნელოვნად, ყველაზე მთავარია ყველაფერში, რაც მოხდა, ხდება და, ვფიქრობ, მოხდება მომავალში მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში, სურს ვინმეს ეს თუ არა. ჩვენ მადლობელი ვართ რუსეთის ფედერაციისა ჩვენი პრობლემების გაგებისათვის, პრინციპულობისათვის, გაბედულობისათვის, იმისათვის, რაც თავი გამოიჩინა თანამემამულეთა დაცვისათვის.

– როგორ წარმოგიდგენიათ აფხაზეთისა და რუსეთის ერთობლივი მომავალი?

– ახლანდელ ეტაპზე ეს, ბუნებრივია, პარტნიორული ურთიერთობაა. დღეს ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რას უჭერს მხარს ამა თუ იმ ქვეყნის ხალხი. ჩვენ შესანიშნავად გვესმის, რომ აბსოლუტურად დამოუკიდებელი სახელმწიფოები არ არსებობს, მითუმეტეს, ისეთი პატარები, როგორიც ჩვენ ვართ. რასაკვირველია, ჩვენ განვამტკიცებთ ჩვენს კავშირებს რუსეთთან: თუ აქ არის რუსული რუბლი, თუ აქ დგას რუსეთის ჯარები, თუ ჩვენთან აფხაზური და რუსული ენებია, ამ შემთხვევაში ასეთი ურთიერთობანი დღითი-დღე უფრო პროგრესული გახდება დაახლოების მხრივ. ჩვენ შეგნებულად მივდივართ ამაზე, ვინაიდან ჩვენმა ხალხმა თავისი არჩევანი უკვე გააკეთა, ვისთან და როგორ მოაწყოს ურთიერთობა.

– რა განსხვავებაა, თქვენი აზრით, აფხაზეთისა და კოსოვოს აღიარებაში?

– თითოეული კონფლიქტი, თავისთავად, უნიკალურია. ის, რაც გვაქვს სამხრეთ ოსეთში, არ არის აფხაზეთში, რაც აფხაზეთშია, ის კოსოვოში არ არის. საქმე ისაა, რომ ჩვენ ისტორიულად ვიყავით დამოუკიდებელი სახელმწიფო, ჩვენ რუსეთის იმპერიას საქართველოზე 10 წლით ადრე შევუერთდით. ჩვენი ხალხი მადლობელია იმისათვის, რაც რუსეთმა გააკეთა. აი, ქართველები იქცევიან, როგორც უმადურები, რომლებიც ოდესღაც გადაარჩინეს განადგურებისაგან.

აფხაზეთმა და სამხრეთ ოსეთმა ამ საკითხში მეტად ზუსტად განსაზღვრეს თავიანთი ბედი.

– ევრაზიულობის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი რეცეპტია „მარჯვენა" პოლიტიკის შეთავსება „მარცხენა" ეკონომიკასთან. მოხდება ამის რეალიზება აფხაზეთში როგორც სოციალურად ადაპტირებული სახელმწიფოს მშენებლობა ტრადიციული გვაროვნული ღირებულებებით?

– ეს ჩვენი ხალხის მენტალიტეტის საფუძველია, ეს ისაა, რასაც ყველაფერი ემყარება აფხაზეთში და რისი დაკარგვაც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. საკუთარი საფუძვლებისა და ფესვების დაკარგვას, ჩვეულებრივად, მივყავართ ისეთი ცნებების წაშლასთან, როგორიცაა ერი, ენა, ხალხი. ყოველივე ამის შენარჩუნება პატარა ხალხისათვის რთულია, ვინაიდან არსებობს ასიმილაცია, გვინდა ეს ჩვენ თუ არა – იგი მოხდება.

თუ დემოკრატიაზე ვილაპარაკებთ, აფხაზები არიან ერთ-ერთი პირველები, ვინც მას იზიარებს, რადგან სიცოცხლისუნარიანობის ძირითადი საკითხები – ყოფნა-არყოფნა – წყდებოდა არა ვინმე ერთი ადამიანის გადაწყვეტილებით, არამედ საზოგადოებრივ კრებაზე. ეს სახალხო დემოკრატიაა. ამიტომ ჩვენი მთავარი ამოცანაა – არ დავკარგოთ ეს ყველაფერი. არ შეიძლება ყველაფერი მსოფლიოში მოვაქციოთ დასავლეთის დემოკრატიაში. ერთი საქმეა, რაც ამერიკის შეერთებულ შტატებშია, მეორე – რაც საფრანგეთში, მთლიანად ევროპაში. განსაკუთრებული საქმეა აზია. ჩვენ ამიერკავკასიის რესპუბლიკები ვართ და დემოკრატიის საფუძვლების განვითარებაში უნდა გავითვალისწინოთ ჩვენი ხალხების ტრადიციები.

სააკაშვილმა გადაწყვიტა, 5-10 დღეში გადააქციოს ქართველები ტეხასელებად. იმას ეს არ შეუძლია. დიახ, პირველ ეტაპზე შეიძლება ასწავლო ახალგაზრდებს დასავლეთის უმაღლეს სასწავლებლებში, გადააქციო ისინი რობოტებად, რომლებიც შეასრულებენ პრეზიდენტის ნათქვამს, მაგრამ საბაზო საფუძველი ამისათვის არაა მზად... მომავალში კი იქნება თავად საქართველოს დაშლა. ენები ახლა ბევრმა იცის, მაგრამ არ შეიძლება გქონდეს, ვთქვათ, ქართული ან აფხაზური გვარი და ფიქრობდე ამერიკულად.

– რა აზრისა ხართ დანარჩენ ჩერქეზ ხალხთან გაერთიანების პერსპექტივაზე და ერთიან წარმონაქმნზე ფართო ავტონომიით გაერთიანებული სივრცის ქვეყნებში?

– არ ვფიქრობ, რომ ამ ეტაპზე შესაძლებელი იყოს ასეთი გაერთიანება.

სამეგრელო 1990-იან წლებში

ვბეჭდავთ ნაწყვეტებს ეროვნული მოძრაობის წევრის, ჟურნალისტ *დავით ჟობალიას* დღიურიდან

...თბილისში ცოტა ხნის ლოდინის და სიტუაციის გაანალიზების შემდეგ, 93-ის აგვისტოს ბოლოს, ისევ დავბრუნდი ზუგდიდში. საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული მქონდა – მე დავამთავრე ომი! ჩემი ვალი კარგად თუ ცუდად მოვიხადე ყველას მიმართ და რადგანაც დავრწმუნდი თბილისს და მის მთავრობას კვლავინდებურად ერთადერთი მიზანი ამოძრავებს – სამეგრელოს და ქართული ეროვნული ძალების ჩათრევა ამ ომში (თუმცა სამეგრელო პირველი დღიდანვე მონაწილეობს ომში, მაგრამ შევარდნაძეს ეს არ აკმაყოფილებს, ეს ყველაფერი გაცხადებულად უნდა ხდებოდეს, რომ საჭიროების შემთხვევაში შემრიგებელი კაცი არ დარჩეს აფხაზებსა და მეგრელებს შორის), რომლის მოგებაც შევარდნაძეს და მის კრიმინალებს არც აინტერესებთ, აქ მთავარია ამ უკანასკნელთა ცდუნება, ომში ჩათრევა და მათი ლიკვიდაცია, რომ ხელშეუშლელად გაასწოროს მიწასთან საქართველო, რასაც ნაწილობრივ მიაღწიეს კიდეც...

– ამაზე მოგვიანებით!

... სოხუმში ორი დღე დავრჩი, შევხვდი გენო ადამიას, დათო გულუას, სოხუმის მერს გიზო გაბესკირიას. არცერთ მათგანს არ აქვს პირდაპირი პასუხი კითხვაზე – უნდა თუ არა შევარდნაძეს და მის მთავრობას ამ ომის მოგება და რას შეცვლის ლოთი ქობალიას 500 შეიარაღებული კაცის გადმოსვლა ფრონტის ხაზზე!

– სამწუხაროდ ბ-ნი ჟიული შარტავა სოხუმში არ დაგვხვდა. გოგა ხაინდრავაზე კი, მომიყვნენ **„ყველაფერი მოგვარებული აქვს და ფილმს იღებს მხედრიონელების საგმირო საქმეებზეო“...**

ზუგდიდში ბ-ნ ოთარ ფაცაციას ვესტუმრე, დიდხანს ვისაუბრეთ, მოვუყევი ჩემი გადაწყვეტილების შესახებ, რომ აქ უაზრობაა დარჩენა, მე ეკრანს არ მაკარებენ, ჩემი გერმანელი კოლეგები კი პირდაპირ მეუბნებიან: **„თქვას ერთხელ თქვენმა პრეზიდენტმა, რომ საქართველო აფხაზებს კი არა, ჩრდილოკავკასიელთა აგრესიულ ძალებს ეომება და ჩვენც მთელ მსოფლიოს მოვდებთ ამ ფაქტსო!..“** ეს ნაძირალა ამის მთქმელი არ არის, ვგრძნობ რომ ყველაფერი ცუდად დამთავრდება და გერმანიაში ვაპირებ წასვლას, იქნებ იქ მაინც მოვძებნო ვინმე ჩვენს გასაჭირს რომ მოისმენს.

ბატონმა ოთარმა მომიწონა გადაწყვეტილება და ცოტა ხნის დუმილის შემდეგ მითხრა – მეც მალე გადავაბარებ გამგებლობას ზუგდიდში და გადავწყვიტე ჩემი მეგობრები მოვინახულო მოსკოვსა და ლენინგრადში, იქნებ ქაღალდის კომბინატი ავამუშაოო, რომელიც იმ დროისათვის, მიუხედავად ომის ეპიცენტრში ყოფნისა მაინც უშვებდა მცირე რაოდენობით პროდუქციას. შევთანხმდით, კავშირი გვექნებოდა ერთმანეთთან და ბ-ნი ოთარის გერმანელ მექაღალდე კოლეგებს ვეწვეოდით როიტლინგენსა და ბადენ-ბადენში, როგორც კი ცოტაოდენი სიმშვიდე დადგებოდა რეგიონში. ასე დავემშვიდობეთ ერთმანეთს.

... ყველაზე მეტად ლოთის მოძებნა გამიჭირდა. როგორც იქნა მესამე ასვლაზე შევესწარი სახლში. მითხრა **„– გავიგე აქ რომ იყავი, მაგრამ ვერ დაგელოდე, არ მომწონს რეგიონში შექმნილი მდგომარეობა... ვგრძნობ, რომ კარგად არ დამთავრდება ეს მოჩვენებითი სიჩუმე. ეს წუთია მარტვილიდან ჩამოვედი, პროვოკატორებით გაივსო აქაურობა, ვისაც არ უნდა კითხო, ყველა ეროვნული მოძრაობის გმირია, ამდენი უცხო ხალხის ჩამოსვლა, არაფერი სიკეთის მომტანია ისედაც დამშეული კუთხისთვის!.. მართალი იყავი შენ – აქ ჩამოსულთა უმეტესობა საკუთარ სახლში ორ თანამოაზრეს ვერ მოუყრის თავს, უცხო გარემოში კი გაგიხარია – ვარსკვლავებს წყვეტენ!..“**

– ვუთხარი, მე ვამთავრებ ჩემს ომს, გერმანიაში გადავწყვიტე წასვლა, იქნებ იქ მაინც მივაწვდინო ისეთ ვინმეს ხმა, ჩვენი რომ ესმის და ტკივა. ჯემალის ვნახავ ქობალიას ამ სადამოს, ინვალიდია და ყურადღებას ნუ მოაკლებთ მას, სანამ საქართველოდან წავიდოდე თბილისში ვიქნები და თუ დაგჭირდით მზად ვარ გემსახუროთ. ასე დავცილდით ერთმანეთს.

ის დამე ქუთაისში გავათენე. მეორე დღეს, სადამოს ჩამოვედი თბილისში.

სახლში არ ვიყავი შესული, ბავშვებმა **“მახარეს”** მთელი თბილისი შენ დაგეძებს, სად ხარ ამდენი ხანო!.. ცუდად მომხვდა გულზე, ვიფიქრე დასაპატიმრებლად თუ მეძებდნენ ალბათ... ფიქრის გაგრძელება არ მაცალა, მეუღლე შემომეხმიანა ოთახიდან, – გეტყობა შენ არაფერი გაგიგია, ბ-ნ ოთარ ფაცაციას პრემიერ მინისტრად ნიშნავენ და შენ დაგეძებს დიდი და პატარაო. ჯერ კიდევ კარებთან ვიდექი ჩანთით ხელში, მართლაც დარეკა ტელეფონმა და თენგიზ დიხამინჯია აღმოჩნდა ხაზზე – მეორე დღეა გეძებთ, სად დაიკარგე, ნახევარი პარლამენტი შენ გელოდებაო.

– ფაცაციას პრემიერად დანიშვნას მე ვინ მკითხავს, ჩემგან რა გინდათ მეთქი!

– ყველამ კარგად იცის ბ-ნი ოთარის და შენი ბოლო დროის ურთიერთობა, შენზე უკეთესად მას ნაკლებად თუ იცნობს ვინმე და შენი აზრი აინტერესებთ, სადამოს რვა საათზე შეხვედრა გვაქვს თბილგაზის სააქტო დარბაზში დანიშნული და აუცილებლად უნდა მოხვიდეო.

ასე შევხვდი ქარტია 91-ის, ტრადიციონალისტების, ეროვნულ დემოკრატების და პარლამენტის სხვა წევრებს თბილგაზის სააქტო დარბაზში.

... თუ ბ-ნი ფაცაციას დანიშვნა იმიტომ არის აუცილებელი, რათა ამ მართლაც გაუსაძლის პირობებში მან უნდა უშველოს საქართველოს, მაშინ მე მიმაჩნია, რომ მისი უკიდეგანო საქმიანი ურთიერთობები მართლაც წაადგება ქვეყანას და ღირს მან ამისათვის გადადოს თავი. მაგრამ, თუ კი ეს ხალხის თვალის ასახვევად კეთდება და ამითი საქართველოს კრიმინალურმა მთავრობამ სიცოცხლე უნდა გაიხანგრძლივოს, მაშინ მე გირჩევთ მას არ მისცეთ ხმა, რადგან ეს უფრო დიდი დანაშაული იქნება ვიდრე ფაცაციას შესაძლებლობების არ გამოყენება.

... მეორე დღეს ბ-ნ ფაცაციას გარანტირებული ჰქონდა ზემოთხსენებული პარტიების და პარლამენტართა დელეგაციის ხმები.

ალბათ, ახალი პრემიერი კაბინეტში არც იყო შესული, უამრავი ჭორი რომ აგორდა ამ ისტორიული არჩევანის გარშემო (ისტორიული შემთხვევით არ მიხსენებია, რადგანაც მართლაც ისტორიული არჩევნების 1990 წლის 28 ოქტომბრის და 1991 წლის 26 მაისის, ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტად არჩევის შემდეგ ეს მესამე არჩევანი იყო, რომელიც არ გაუყალბებიათ და ამომრჩეველი ხმას აძლევდა იმას ვისი არჩევაც უნდოდა. სამწუხაროდ, ეს იყო ბოლო და სამართლიანი არჩევანი, ამიტომაც ვუწოდე მას ისტორიული), ზოგი ბ-ნ ფაცაციას შემთხვევის მსხვერპლად მიიჩნევდა, ზოგი გარდამავალი პერიოდის შესაწირად... იყვნენ ისეთებიც, რომელთა უზნეობა ყოველგვარ ზღვარს ცილდებოდა და ასე ამბობდნენ **„შევარდნაძე, ზვიად გამსახურდიას სანაცვლოდ სამეგრელოს ფაცაციას თავაზობსო!!!“**

მახსოვს ერთხელ შემთხვევა მომეცა და ბ-ნ ფაცაციას ვუამბე ასე ამბობენ მეთქი თქვენზე. ახლაც თვალწინ მიდგას მისი შეძრწუნებული სახე: **„მართლა არ ყოფილა ეს ხალხი ზვიად გამსახურდიას ღირსი, შეცოდებასაც აქვს ალბათ ზღვარი და ღმერთია მოწმე, ამ საქმეში მე წილი არ მიდევსო!..“**

ყველაფერს აკეთებდა მაშინ საქართველოს ტელევიზია და ყველა საინფორმაციო საშუალება (იშვიათი გამონაკლისის გარდა) ეროვნული მოძრაობის, ზოგადად ქართული ეროვნული სულის დასაკნინებლად, რათა საქართველოში მიმდინარე ქვეყნის სულიერი და ფიზიკური ნგრევა გაემართლებინა, უბედური და მშიერი ხალხი დაერწმუნებინა, ჩვენ ჩვენი თავის პატრონობა არ შეგვიძლია და ის, რაც ეროვნულმა მოძრაობამ, ზვიად გამსახურდიამ მოგახვიათ თავს, შეცდომა იყო და განვთავისუფლდეთ ამ ჭირისგანო!..

გარდა საერთო გასაჭირისა, საქართველოში მიმდინარეობდა ყველა დროის უბოროტესი აქცია ახალგაზრდების შერჩევა განსაკუთრებული ნიშნით, საზღვარგარეთ გასაწვრთნელად (და არა სასწავლებლად, ისიც არატრადიციულ ქვეყნებში ჰოლანდია, აშშ და სხვა!) გასაგზავნად, რომ ამის შემდგომ სამშობლოში დაბრუნებულებს არ დანანებოდათ წინაპართა მიერ ნასწავლ-ნაძერწნალოლიავების დაუნდობლად შებილწვა და განადგურება...

ეს გაცილებით დიდი ტრაგედიაა ვიდრე ნებისმიერი ოდენობის კრედიტების გაფლანგვა, რადგანაც ქვეყანა ვალს გადაიხდის, წაწყმედილ სულიერებას და ზნეობას კი ვერასოდეს გაიმრთელებს და დაიბრუნებს.

... გაივლის წლები, ამის ნაყოფს საქართველო მწარედ მოიმკის და მოინანიებს, მაგრამ უკვე გვიანი იქნება!

ომი დამთავრებული არ იყო, პირველად რომ იკითხეს:

„ – ვინ დაიწყო ომი?!.“

დაკვირვებული თვალისათვის ნათელი იყო, ეს ომი ქართული მხარის მოსაგებად არ დაწყებულა და ამიტომაც **„შემოაგდეს“** ეს კითხვა, მას, რომ შემდგომში, საჭირო და აუცილებელ მომენტში თავისი წარსული ჰქონოდა.

... და დღემდი გრძელდება დაუსრულებელი:

„ – ვინ დაიწყო ომი?!.“

ამაზეც ცოტა მოგვიანებით...

ამჯერად, ის გავიხსენოთ, რომ სამეგრელოში დღე არ გავიდოდა რამდენიმე ცხედარი არ ჩამოესვენებინათ. თბილისის ტელევიზია კი დღედაღამ გაჰკიოდა: **„ქობალიები არ მიდიან ომში, მეგრელები სამშობლოს ღალატობენ!..“**

სწორედ იმ დროს ჩამოიტანეს სოხუმიდან ამბავი, ლოთი ქობალიას დისშვილი მერაბ პაპასქირი დაიჭრაო, როცა თბილისის ტელევიზია მორიგ სიბინძურეს აფრქვევდა სამეგრელოს წინააღმდეგ, ჯემალ ქობალია კი ყველას დასანახად, სამტრედიიდან თითქმის ძალით მოყვანილ ქუთაისის ბატალიონთან ერთად ენგურს გაღმა გადასასვლელად ემზადებოდა.

დაუბრკოლებლად გავიარეთ ზუგდიდი, ჭუბურხინჯი, გალი და ოჩამჩირეში ჩავედით, სადაც **„ქართული არმიის გენერალიტეტს“** (მოგვიანებით შევიტყვე ქართველ გენერალთაგან სულ რამდენიმე იყო ჯარში ნამყოფი) სამხედრო შტაბი ჰქონდა გამართული. მაღალი ჩინის **„სამხედრო თავების“** საუბარს მე განგებ ავარიდე თავი, მაგრამ ჯემალის ასე სწრაფად გამოსვლა არ მესიამოვნა, რაც არც მას დარჩენია შეუმჩნეველი და მოკლედ მოჭრა: **„ჩვენ ამდენი დრო არ გვაქვს, საქმეს უნდა მივხედოთ პოზიციები უნდა დავიკავოთო“.**

ასე მოხდა ჩემი პირველი ნამდვილი სამხედრო ნათლობა, წკვარამ დამეს ოქუმის მისდგომებთან საგუშაგოზე, როცა წუთი რამდენიმე საათი გეჩვენება. და ასეთ დროს, ჩვენც გამოვნახეთ გამოსავალი – დრო რომ სწრაფად გასულიყო ვყვებოდით ვისაც რა გაახსენდებოდა. მეტი წილი მე მიხდებოდა საუბარი და მეც სხაპასხუპით ვყვებოდი საქართველოს ისტორიიდან ქართველთა საგმირო ბრძოლების ისტორიებს, არც თარიღების ხსენებას ვერიდებოდი ვიდრე შევამჩნევდი, რომ ზოგიერთი ჩემი საველე აუდიტორიის მსმენელი (თურმე უმაღლეს სასწავლებელში ჩასაბარებლად ემზადებოდნენ!..) გულმოდგინედ აკონსპექტებდა ჩემს მონაყოლს.

ომს, ნგრევასთან და ადამიანებთან ერთად, მათი სულიერი საზრდო – წიგნებიც ეწირებოდა, რაც დიდად ფასობდა ოდითგან ქართულ ჯიშში და ყველა ქართული ოჯახის სიამაყეს წარმოადგენდა. თითქმის ყველა ჩასვლაზე მახვედრებდნენ ბიჭები თითიოროლა წიგნს – **„დანგრეულ სახლში ვიპოვეთ და შენ შეგინახეთო!..“**

1993 წლის ნაახალწლევს ჩავედით მე და ჯემალ ხარებავა ოჩამჩირეში. გალიდან შოთა ქობალიას გამოტანებული „კუჩხა“ – დილისთვის გამზადებული ხორაგი ბუთხუზს (მაშინ ყმაწვილკაცს, ჩვენი ყველა აფხაზური თავგადასავლის მონაწილეს) დავუტოვეთ. ჩვენ კი ნაცნობი პოზიციებისკენ გავედით. გზაში, შტაბისკენ მომავალი სამხედრო ვილისი შემოგვხვდა, გვითხრეს – ჯემალი სხვაგან გადაჰყავთ და უკან მობრუნდით ოჩამჩირეში დაელოდეთო.

ნაშუადღევს, მეომრებმა და მშვიდობისმაძიებლებმა ერთად მოვიყარეთ თავი. გალიდან გამოგზავნილი პურმარილი გავშალეთ, მტერ-მოყვარეს მშვიდობა ვუსურვეთ... ეს იყო და, ყველამ ჯიბიდან თითო თხელყდიანი წიგნი ამოიღო. იმწუთშივე ვიცანი ლევან სანიკიძის **“დედა ისტორია”!..**

თურმე ოჩამჩირეში წიგნების მაღაზიის საწყობი გაუტეხია ვიღაცას. ჩემი **„მომავალი აბიტურიენტები“** შესწრებიან ამ ამბავს – **„საწყობი ავჭედეთ, მაგრამ სულმა წაგვძლია და თოთო წიგნი წამოვიღეთო. ოღონდ ეგ არის კომუნისტები თურმე წიგნებშიც ატყუებდნენ ხალხს, ჩემს წიგნში სხვა წერია და „გემდოუღის“** (ერთ-ერთი გალელი მეომრის ზედმეტი სახელი) **წიგნში სხვაო“.**

ბევრი ვიცინეთ, როცა მოგვიყვნენ თუ, როგორ იპოვეს ეს წიგნები და მაშინვე კონსპექტებს ეცნენ, რომ ჩემს მიერ საგუშაგოზე ნახსენები თარიღები შეემოწმებინათ:

„..ვაა, ნახე რა ტოჩნად უთქვამს, ბიჭო... – წამოიძახა ერთმა. მეორე ეკითხება რომელ გვერდზეო და უცბად გაბრაზებული ილანძღება **– კომუნისტების დედა... ჩემს წიგნში სხვა წერია, შენთან კიდევ სხვაო!... “**

მეორე დღეს შენიშნეს თურმე ბიჭებმა, **“დედა ისტორიის“** პირველი ტომი ეჭირა, მის მეგობარს კი მეორე ტომი...

ასეც ხდებოდა!

(გაგრძელება იქნება)

გამყალბებლები ზუგდიდის პირველ საჯარო სკოლაში

ზუგდიდის ყველაზე პრესტიჟულ, 140 წლის ისტორიის მქონე პირველ საჯარო (საშუალო) სკოლას, რომელსაც სათავეში ყოველთვის გამორჩეული ღირსებების მქონე პიროვნებები ედგნენ, “ვარდების რევოლუციის” შემდეგ სერიოზული პრობლემები შეექმნა. ახალმა ხელისუფლებამ მოსვლისთანავე დირექტორობიდან გაათავისუფლა ქალბატონი მედიკო ქარდავა კორუფციისა და ატესტატის გაყალბების ბრალდებით, სამაგიეროდ, მისი მოადგილე, სასწავლო ნაწილის გამგე, ქალბატონი აზა ჯოჯუა, როგორც **“სოროსელი”** დააწინაურეს და ზუგდიდის განათლების რესურსცენტრის ხელმძღვანელად დანიშნეს. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი გაყალბებული ატესტატის მეპატრონე, რასაც შეეწირა მედიკო ქარდავა, აზა ჯოჯუას ნათესავი იყო.

მედიკო ქარდავას ადგილზე, რა თქმა უნდა, დაინიშნა ლომაიას ახლობელი, ქალბატონი ნინო ჭიჭინაძე, რომელსაც აზა ჯოჯუასთან ერთად “ლომის წილი” მიუძღვის პირველი საჯარო სკოლის გვერდით ეკლესიის აშენების ხელშეშლაში. ერთ-ერთი ზუგდიდელი ბიზნესმენი, პირველი სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე (XX ს. 30-იან წლებამდე აქ ეკლესია იდგა) ახალი ეკლესიის აშენებას შეეცადა. ეს ქალბატონები ყოველმხრივ შეეწინააღმდეგენ ნაეკლესიარზე ტაძრის აშენებას და ხელისუფლების ხელშეწყობით, ხალხის ჯიბრზე ამ ტერიტორიაზე სპორტული მოედანი მოაწყვეს.

ნინო ჭიჭინაძემაც ვერ გაუძლო ცდუნებას და თავის წინამორბედს მიჰბაძა. 12-წლიანი სწავლების გვერდის ავლით სამ მოსწავლეს ყალბი ატესტატი მისცა, რის გამოც მხოლოდ თანამდებობიდან გათავისუფლებას დააჯერეს. განათლების მესვეურებმა, ბევრი ფიქრისა და განსჯის შემდეგ, პირველ სკოლას ისევ ატესტატების გამყალბებელი მოუვლინეს დირექტორად. 2004 წელს თვითონ აზა ჯოჯუამ ატესტატის გაყალბების გამო გაათავისუფლა თანამდებობიდან ზედა ეწერის სკოლის დირექტორი **თამაზ თორდია**, რომელიც ამ დღეებში პირველი სკოლის დირექტორად დაინიშნა! **ასე რომ, ატესტატების გაყალბება ზუგდიდში დანაშაულად არ ითვლება და რამდენიმე წლის შემდეგ შესაძლებელია ყოფილი დირექტორები ისევ დაუბრუნდნენ თანამდებობებს.**

ლადო ქირია,
“საქართველოს რესპუბლიკა”.

*გაზეთ “ილორის” კომენტარი – მართლაც სატანა მოსძალებია ქვეყანას, თორემ როგორ შეიძლებოდა საქართველოს განათლების მინისტრად ჰყოლოდა ის გაუნათლებელი კახა ლომაია, რომელმაც დაფაზე ცარცით ვერ დაწერა სიტყვა **“ბავშვი”**. ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ ლომაიას უწყებაში ადამიანებს დირექტორებად ნიშნავდნენ არა მათი განათლებისა და პიროვნული ავტორიტეტის შესაბამისად, არამედ პირადი ერთგულების ნიშნით. სამწუხაროდ, განათლების სისტემაში არც ლომაიას წასვლის შემდეგ შეცვლილა რამე, რადგან ქვეყნის მთავარი მესაჭე კვლავაც სიბნელისაკენ მიაქანებს ქვეყანას. ყველაზე გულდასაწყვეტი კი ის არის, რომ ბატონ **ლადო ქირიას** მიერ აღწერილი ამაზრზენი ამბები ხდებოდა დიდი და ლამაზი ტრადიციების მქონე ზუგდიდის იმ პირველ საშუალო სკოლაში, სადაც მოღვაწეობდნენ შესანიშნავი პედაგოგები, ღვაწლმოსილი ადამიანები, სამეგრელოს და სრულიად საქართველოს საამაყო შვილები...*

*ქართველი კაცი, ოდითგან, ამგვარ შეუსაბამობაზე გულისტკივილით ამბობდა ხოლმე: **“ჯიშიანი ცხენები დაწყდნენ, დედამიწა კი საასპარეზოდ ვირებს დარჩათ.”***

ამის დაკარგვის, ან დავიწყების უფლება არც რუსსა აქვს და არც ქართველს!

(ნაწყვეტები ვასილ ველიჩკოს წიგნიდან "კავკასია")

1904 წელს, ამ წიგნის ავტორის ვასილ ველიჩკოს გარდაცვალების შემდეგ, მისი მოსწავლეების მიერ „კავკასიის“ წიგნად გამოცემამ ძალზე ააფორიაქა მთელი პლანეტის სომხური მოსახლეობა. ინგლისში მცხოვრებმა სომეხმა დიდვაჭარმა გულბენკიანმა იმ დროისათვის ზღაპრული თანხა – ხუთი მილიონი ფუნტი სტერლინგი (დღევანდელი კურსით, დაახლოებით სამასი მილიონი დოლარი) – გადაიხადა, რათა ამ წიგნის მთელი ტირაჟი გაყიდვიდან ამოეღოთ და გაენადგურებინათ, მაგრამ, როგორც ხედავთ, ვერაფერს გახდა. თუმცა, სომხებმა ნაწილობრივ მაინც მიაღწიეს საწადელს, რადგან წინამდებარე წიგნი გახლავთ ვასილ ველიჩკოს მთლიანი ნაშრომის პირველი ტომი, მეორე ტომი კი, საერთოდ აღარ გამოსულა და, ჩვენი დიდი ძიების მიუხედავად, მაინც ვერ მოვახერხეთ მისი პოვნა. როგორც ჩანს, ამ ტომის ხელში ჩაგდება და განადგურება გარკვეული საზღაურის ფასად მაინც მოახერხეს სომხებმა.



დაბოლოს, ეს აზრიც გადაინაცვლებდა უკანა პლანზე, ***კავკასიაში მომსახურე კლასი და საზოგადოება უფრო მეტ მზრუნველობას რომ იჩენდეს მართლმადიდებლობის მიმართ.*** ამასთან, ***ჯერ კიდევ ახლახან რუსეთის დედაქალაქსა და მის შუაგულში რელიგია ვერ იყო მთლად სარგებლის მომტანი*** და სიტუაცია სიკეთისკენ მობრუნდა მხოლოდ მისი უავგუსტოესის, დაუვიწყარი ალექსანდრე მესამის მცდელობით და მისმა მხსნელმა ნიავმა საქართველოში ჯერ კიდევ სუსტად დაბერა. სულ რამდენიმე წლის წინათ ერთმა მნიშვნელოვანმა კავკასიელმა ჩინოვნიკმა ჰკითხა საქართველოს ეგზარხოსს, წავიდოდა თუ არა მისი მადალუსამღვდლოესობა სადგურში, რათა დახვედროდა ყოველთა სომეხთა კათალიკოსს. მიიღო რა უარყოფითი პასუხი, ჩინოვნიკი განცვიფრდა:

– საეკლესიო იერარქიაში პატრიარქი ხომ უფრო მაღალ საფეხურზე იმყოფება, ვიდრე მიტროპოლიტი ან ექზარხოსი.

– დიახ, – მშვიდად მიუგო არქიელმა, – მაგრამ მხოლოდ მართლმადიდებელი პატრიარქი და არა ***ერესიარქი*** (ნიშნავს მართლმადიდებლური ეკლესიისაგან განდგომილს – მთარგმნელი).

ჩინოვნიკმა მხრები აიწურა, მაგრამ შედავება ვერ გაბედა.

დავიმოწმებ სხვა შემთხვევას, არანაკლებ ნიშანდობლივს. ცენზურას დამორჩილებულ ერთ-ერთ სომხურ გაზეთში, რომელიც რუსული შრიფტით იბეჭდებოდა, უღირსი ინსინუაციები გამოქვეყნდა საქართველოს ერთ-ერთ უძველეს და ღვთისმოსავ მონასტერზე – იოანე ზედაზნელის სავანეზე. გაკვრით, მაგრამ სავსებით გარკვეულად იყო ნათქვამი, რომ მეოთხე საუკუნის სავანის ერთ-ერთი სასწაული – აუზის წყლით თავისით შევსება საეკლესიო დღესასწაულის დღეს – წმინდა წყლის შარლატანობაა. მე თავად ავედი ამ არწივის ბუდეში, ვიხილე იქ ხუთი განდეგილი ბერი, რომლებიც შიმშილსა და სიცივეში ცხოვრობენ აქ და დავწერე ცილისმწამებლებისათვის საკადრისი პასუხი. ***ცენზურამ მისი გამოქვეყნება ამიკრძალა.*** მაშინ პირადი ახსნა-განმარტებისათვის მივმართე სადაც ჯერ არს და განვაცხადე, რომ სახალხო სიწმინდეების გაზეთის მეშვეობით შეგინება საზიზღარი სიბინძურეა და ამის განეიტრალების შესანიშნავი საშუალება გახლავთ აღშფოთების გამოხატვა იგივე გაზეთის მეშვეობით. ჩინოვნიკმა, რომელსაც მე ვესაუბრებოდი, გაოცება ვერ დამალა:

– რა რელიგიისადმი სიყვარული აგიტყდათ. მაპატიეთ, მაგრამ საკმაოდ ჟანდარმული შეხედულება გაგაჩნიათ. მაინც რატომ გაგიჩნდათ ყავლგასული ნაყარ-ნუყარისადმი მხარდაჭერის სურვილი?

თანამდებობის პირის მიერ ამგვარი აზრის გაჟღერება, სულ მცირე, უადგილო რამ იყო.

ამ შემთხვევის საილუსტრაციოდ კიდევ რაღაცას დავამატებ. აღნიშნული სტატიის ავტორი პოლიტიკური დევნილი იყო, რომელიც, თუ არ ვცდები, 1 მარტის შეთქმულების მონაწილე გახლდათ. ჩამოვიდა თუ არა თბილისში, იგი სისტემატურად ემსახურებოდა სომხურ მევახშურ-სეპარატისტულ ინტრიგებს ადგილობრივი პრესის მეშვეობით და, სხვათა შორის, ლიბერალიზმის მოშველიებით სახელს უტეხდა ქართველებისა და რუსებისათვის ბევრ ღირშესანიშნავ ფასეულობას. როცა ეს ვიგინდარა მოკვდა, მის დაკრძალვას ესწრებოდა ქართველ თავადაზნაურთა ერთ-ერთი წინამძღოლი, რომელსაც ეამაყებოდა თავისი დიდგვაროვნება. ცხადია, რომ მან ეს გააკეთა იმ სომეხი ბობოლების შეკვეთით, რომელთა წინაშეც ალბათ დავალებული იყო.

ამგვარი ფაქტის, როგორც რელიგიის დაკნინების მცდელობის მნიშვნელობა პირდაპირ ტრაგიკულია იმ ხალხისათვის, რომლის მთელი კულტურა და მთელი სულიერი ცხოვრება ეყრდნობა სწორედ რელიგიურ საფუძველს. უბედურობა კიდევ უფრო გაამძაფრა სხვა, მთელმა რიგმა ბუნებრივად წარმოქმნილმა მოვლენებმა, რომელთა შორის ყველაზე საბედისწერო ქართველი ხალხისათვის, ვიმეორებ – ქართველი ხალხისათვის და არა მხოლოდ თავად-აზნაურობისათვის, იყო 60-იანი წლების რეფორმა, ვინაიდან, როგორც კი გაწყდა კავშირი თავადაზნაურობასა და გლეხობას შორის, ისინი წამიერად აღმოჩნდნენ სომხური ბურჟუაზიის კლანჭებში. ის პატრიარქალური წესები, რასაც რეფორმისდროინდელი ბრძენი მეფისნაცვლები ერმოლოვი და ვორონცოვი რკინის ხელით აკავებდნენ, შემდგომ განყენებული სამართლებრივი წესრიგის წყალობით მოიშალა, რის შედეგადაც გაიძვერა თაღლითებმა სძლიეს ყოველივე პატრიარქალურს, და ხშირად, არც თუ მთლად მკაცრ ტრადიციულ თვითნებობას. ახალმა მოსამართლეებმა, და რაც მთავარია, უპრინციპო ადვოკატებმა დაამკვიდრეს და განავითარეს მოდავეობა, ცილისმწამებლობა, ცრუმოწმეობა, ჩვეულებრივი პატიოსნების ფორმალური დაუსჯელობით შეცვლა და სხვა. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევიან იმერლები. ისინი თავიანთ ქალიშვილებს მზითევში ასობით გერბიან მარკებს ატანდნენ. ერთხელ, ქალაქის ბაღში მე საათით ხელში მივაყურადე ორი იმერლის საუბარს; თხუთმეტი წუთის განმავლობაში მათ ასორმოცდაათჯერ მაინც შეწყვიტეს დიალოგი შემდეგი შეძახილებით: "საკასაციო მოთხოვნა", "შენიშვნა სტატიაზე" და ა.შ.

ქალაქ ტფილისის ახალი ტიპის თვითმმართველობა დაუჯერებელი სისწრაფით აღმოჩნდა სომხური პლუტოკრატიის ხელში, რომელიც ურცხვად მბრძანებლობს და სავსებით უგულვებელჰყოფს რიცხობრივად ბევრად მეტ ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებს. თითქმის ყველა საბანკო დაწესებულება, მათ შორის სახელმწიფოც, სომხების ხელში აღმოჩნდა. მათვე დაიმორჩილეს სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ვაჭრობა. ***მთელი მხარის ეკონომიკური ცხოვრება მათ მარწუხებშია მოქცეული.***

ქართული მიწათმოქმედება დაუჯერებელი სისწრაფით დნება, ათასი ჯურის მანთაშოვები, არამიანცები, არაქელოვები, მაკარიანცები და სხვა სომეხი ბობოლები ჩალის ფასად ყიდულობენ მიწებს და მათზე თურქეთიდან გადმოხვეწილ სომხებს აფუძნებენ. ***სამრეკლოები და მთელი ეკლესიებიც კი სომეხთა ხელში გადადის.***

უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროცესის ვეებერთელა ნაწილი საიდუმლოდ მიმდინარეობს: სომხები ჯერ კიდევ ვერ ბედავენ დიად წარმოადგინონ მთელი თავისი დოკუმენტები და საბოლოოდ ჩააქრონ მიწებთან დაკავშირებული საკუთარი ტომთაშორისი უთანხმოებანი. მათ ეშინიათ სასოწარკვეთილი ხალხის მძვინვარებისა და იმის ეჭვიც აქვთ, რომ მწვავე კრიზისის გამო რუსეთის მთავრობა გულდასმით გადახედავს კავკასიის საქმეებს.

არანაკლები ზიანი მიაყენა ქართველებს ცრუკლასიციზმით გაჯერებულმა უახლესმა სკოლამ, რომელსაც თითქმის აღარ გააჩნია კეთილშობილური აღმზრდელობითი მნიშვნელობა. უწინდელი, ერმოლოვისა და ვორონცოვის დროინდელი ბატალიონისა და საპოლკო სკოლები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იყვნენ მარტივები, მაგრამ შესანიშნავად გამართულები. აქ ხდებოდა გონების და ხასიათის წვრთნა, მათი მისადაგება ახალ სახელმწიფო პირობებზე გადასვლის გარდამავალი პერიოდისათვის. ამ სკოლებში აღიზარდა მრავალი ქართველი მხედართუფროსი და ადმინისტრატორი. ახალი სკოლის აღზრდილთა შორის გამოჩენილი ადამიანები ცოტანი არიან, გზასაცდენილები კი – ბევრი. საქართველოში, სადაც არ არის ფაბრიკები, ხოლო პროლეტართა არსებობაზე საუბარიც კი ზედმეტია, ახლა უამრავ მარქსისტს შეხვდებით. ქვეყანაში, სადაც ღვინო მდინარეებად მოედინება, თუთუნს კი ძილშიც ეწევიან, ხშირად ვაწყდებით მოჩვენებითად ასკეტ "ტოლსტოველებს". რუსულ დიპლომებს დაუფლებული ინტელიგენციის ნაწილი ვერ პოულობს საკუთარი თავის გამოყენების ასპარეზს, რის გამოც იქცევა ყოველგვარ კოლორიტს მოკლებულ ადამიანთა ჯგუფად, რომელთაც ერთმანეთს შერეული რასების შთამომავლათა ელფერი გააჩნიათ.

ბრძოლას, რომელიც კავკასიის ოლქის სასწავლო დაწესებულებათა მზრუნველმა კ.პ.იანკოვსკიმ გამოუცხადა იმპერიის სახალხო განათლების სამინისტროს, საფუძვლად ედო პედაგოგიური საქმიანობის მისადაგება ადგილობრივი პირობებისადმი. ეს შესანიშნავი პედაგოგი აღესრულა ისე, რომ ვერ მოესწრო თავისი იდეის გამარჯვებას და, ღმერთმა იცის, მოვესწრებით თუ არა ოდესმე მას ჩვენ. ჯერ კიდევ ძლიერია "ერთიანი სკოლის" დამდუპველი გავლენა, რომელიც ერთმანეთში უღრეკს მიზნისა და საშუალებების ცნებებს. მეორე მხრივ, თითქოს ნათელია, რომ სხვადასხვა პირობებში ერთნაირად საბოლოო მიზნისკენ სწრაფვა წარმატებით მიიღწევა მხოლოდ მრავალფეროვან საშუალებათა გამოყენების გზით. სკოლის იდეალი დიფერენციაციაა და არა ერთობა.

დაბალი სკოლაც ვერ ართმევს თავს დასმულ ამოცანებს იმიტომ, რომ ***დროდადრო ძალზე ჩქარობს, რათა განდევნოს მოსახლეობის ბუნებრივი ენა.*** ეს ფორმალურად ანგარიშგასაწევი, უფრო ზუსტად კი ***კარიერული წარმატება*** მიიღწევა სულიერი განვითარების დაზარალების ხარჯზე, რადგან ბუნებრივი ენა სულიერი განვითარებისათვის ორგანული იარაღი გახლავთ. სახელმწიფო ენა ხალხს, რა თქმა უნდა, სჭირდება ყოველგვარი კეთილდღეობის მისაღწევად და რუსეთის მოქალაქის ყოველი უპირატესობის ფლობისათვის. ხალხს დიდი სურვილი აქვს, რომ შეისწავლოს რუსული ენა, მაგრამ, ბატონყმური უინით ატანილი ზოგიერთი ადგილობრივი ინტელიგენციის წარმომადგენელი ხალხის ამ სურვილს არ იზიარებს, რადგან მათი სრული და იოლი ექსპლუატაციისათვის აუცილებელია ხალხის სიბნელეში ყოფნა და მათი რაც შეიძლება დაბალი განათლება. არ არიან მართლები ის პედაგოგები, რომლებიც ადამიანებს აღიზიანებენ მათი ენის აბუჩად აგდებით და ამით უკარგავენ სურვილს, რომ ამიერკავკასიაში იყვნენ ***ჩვენი მოკავშირეები.*** სავსებით ნათელია, რომ ადგილობრივმა და სახელმწიფო ენებმა ადგილი უნდა გადაინაწილონ მშვიდობიანად, იმგვარად, რომ ერთმანეთი არ გამორიცხონ. ეს ტაქტის საკითხია და მოსახლეობისადმი კეთილგანწყობის აშკარა დასტური გახლავთ.

მე ფერებს არ ვამუქებ, როცა საქართველოს ყოფის უარყოფით ნიმუშებს ვაშუქებ. აუცილებელია აღინიშნოს, რომ ქართველ თავადაზნაურთა დიდი ნაწილი, განსაკუთრებით კი მათი, ვინც ტფილისში ცხოვრობს, საკუთარ შემოსავალზე მეტ სახსრებს მოიხმარს და ამიტომ ღარიბდება არა მხოლოდ მატერიალურად, არამედ მორალურადაც. ისინი სულ უფრო ექცევიან მდიდარი სომხების გავლენის ქვეშ, რომელთაც სულ უფრო მეტი საფუძველი აქვთ მიიჩნიონ ქართველი დიდგვაროვნები საკუთარ პოლიტიკურ იარაღად.

ქალთა ზნეობრიობა და ღირსებაც ასევე კნინდება ამგვარი ყოფის გავლენის ქვეშ და ასევე ტფილისში ფეხმოკიდებული ევროპული ცივილიზაციის კარიკატურული გამოვლინებებით.

იყო თუ არა ქართველი ქალი ზნემაღალი! ცნობილი მოგზაური შარდენი და დიუმა უარყოფდნენ ამას. ვფიქრობ, რომ ისინი მართლები არ იყვნენ. ძველი თაობის ქართველი ქალები, რომელთაც მე ხშირად შევხვედრივარ, სრულ პატივისცემას იმსახურებდნენ. სამხრეთელი მგზნებარე ქალებისათვის ჩადრი და წარსულიდან გადმოსული თავისებური ეტიკეტი შეიძლება თვით ბუნებისაგან იყოს ნაკარნახევი.

საქმე ცუდადაა, მაგრამ არც თუ უიმედოდ. უპირველესად დაიღუპება, და თანაც უსახელოდ დაიღუპება უმაღლეს საგვარეულოთა დიდი ნაწილი, იმ საგვარეულოების, რომლებიც საუკუნეთა განმავლობაში საქართველოს სახეს წარმოადგენდნენ. ეს ძალზე ცუდია, რადგან, ***ყველა ხალხს სჭირდება კეთილშობილური ტრადიციების მატარებელი უმაღლესი კლასი.*** დიდგვაროვანთა შედარებით თავშეკავებული ნაწილი ალბათ შეინარჩუნებს საკუთარ ადგილ-მამულებს. ესენი ძირითადად არიან თადარიგში გასული კაპიტნები, პრაპორშჩიკები, მილიციელები და სხვა ყოფილი სამხედროები. ***ესენი ძირძველი ქართველები არიან,*** თავიანთი ხალხის, მეფისა და ქვეყნის ერთგული კეთილშობილი ადამიანები. ასე რომ, ***ქართული ბურჟუაზია თანდათან შეივსება როგორც ქვემოდან, ასევე ზემოდან, თუ ჭეშმარიტად მოწინავე ქართველები და რუსეთის ხელისუფლება შეიგნებენ, რომ ამ საქმეს მუდმივი ხელშეწყობა სჭირდება.*** რუსული სკოლისა და ბეჭდვითი სიტყვის გაჯანსაღებით მნიშვნელოვნად ამაღლდება ქართული ინტელიგენციის დონე. და ბოლოს, სახალხო მასაში ჩაბუდებულია არც თუ მცირე ცოცხალი ძალა, მაგრამ ყოველი სახალხო მასა საჭიროებს დახმარებას და ხელისუფალთა მხრუნველობასა და ყურადღებას.

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხსოვნის სტრიქონები

ნაწყვეტებს მეგრულ ენაზე შექმნილი ისტორიული პოემიდან "ბულათია", რომლის ავტორი გახლავთ თავდადებული მამულიშვილი და ჭეშმარიტი პოეტი დანიელ პავლეს ძე ფიფია, გთავაზობთ გაზეთ "ილორში". 113-ე წელი ილევა პოეტის დაბადებიდან. იგი 28 წლის ასაკში შეიწირა პოლიტიკურმა უამინდობამ – სამშობლოს სიყვარულით გამსჭვალული გულანთებული პატრიოტი 1924 წლის თებერვალში დააპატიმრეს იმის გამო, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის დროს იყო ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის პასუხისმგებელი პროპაგანდისტი. დაპატიმრებისას დანიელ ფიფია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამე კურსზე სწავლობდა.

დანიელ ფიფია

ბულათია

მარგალი ვორექ: ძალამს მიორს
ნანაშ ნინა მარგალური...
ენა ოგორაფალ ვარე – აქ მუ-
თარე უსქვამური!..
მის ვაუყორს მუშ ქიყანა, მუში
ყუდე დო ყებული,
სი ეშენ მუს მიდირზინუქ? მუს
გიხორცქუნ ჯარით გური?!

მეგრელი ვარ, ძალზე მიყვარს
დედა-ენა მე მეგრული,
ეს არ არის სათაკილო და არც
ულამაზო არი.
ვის არ უყვარს მამული და თვის
კერია, სახლი-კარი,
ამისთვის რად მიბრაზდები,
რად გაგისკდა ჯავრით გული?!

გოთანდ, დიდებუანი ბუაქ
ფართას გელაბარჩხალუ,
ბადიდც ოჭიში გუტიბრუ,
ჭანდის სუა ქაჩანუ,
გახუზებულ გვანილ ხოც
ხოჯური ქაქიმიმაფუ.
ჭკოლაქ ქგდიბაძდალუ,
კუდელც ქუდუქვაჩალუ
ჯა ნამუ ქორს მაფალუ
წვანდის ქუდუქანცალუ,
შური დგუმუ დო უდგუმუქ
არძოქ ქგდიხვანცალუ.
ჯგირი ორთაში სისქვამეთ
ხიოლც რდგ ირი სქილედგ;
ოჭკადგრეშე ათე შვანცგ
სქვამი ბირა ირჩქილედგ.
მახაჩკალი ეჩი ვარა
არტო გოკოშაყარედგ,
ანეფიშა "ბედინერა"
კაკალი გურც გახარენდგ;
ჭენწყარი პიცგ გინომგდ
ინეფითა ღურჭული,
მინცგ ბერგი მუღალგდგ,
მინცგ არგუნი-ბურჭული.
ენემც ბოშემც გინმოჩანცგ –
არძენც ჭკადუ ზოჯუასგ:
კეთებული ორდასია
არძო ჭუმე ონჯუასგ!
არძოს საქვარი ქიმურჩქინ
ყუდეშარე ანწი მალ,
ათე ბორჯის ქოძირესგ
მიდგენი შორშე მიძვაძვალ.
დიხაში გურცგ გითმახორცქ
ჯგირ ბირგულიშ ცხენიცალო
დუდ გინოყღიფილი კოჩი
ჩარქამი ოსარეთი ფალო:
ხე დო კუჩხი გოტებულო
მირულე, მოსოფუნცუ,
ყვაშა ხესგ მითმიგანცგ,
ჩე ფრიმულცგ ისოფუნცუ.
მუჭო მანწ ხოლოშანი
თეში გოუძინ ნგარასგ,
ჩილნაღურა კოჩიშორო
ირი ართო ღვარანცგ
"ბულათია მოკონია"
თენა ძიუთ ქოთქუ,
ბულათიაქ ქიგეგონგ
ძალამი ქიმიოღირთუ:
"მიდგასრენი გოულახ
ვორწყექ ჩქიმი ჟოღორია
თეში გამა ვაბღოლიდა
მა ჰოფერექ ჯოღორი"-ა.
თაში თქუ დო ქიმიაზად
უწუ: "მიქი ლარხუ"-ა
უგამგ: "მიქგ ლარხუ"-ა.
უგამგ: "ის მითქიანცგ
მორდილქ გემებახუა."

გათენდა და მზე დიადი
ამობრწყინდა ბარჩხალა,
მოხუცს ზურგი გაუთბო და
ბუზმაც ფრთები გაშალა.
ნაპატიებ მსუქან ხარსა
ბუქნის ეშხი ანიჭა,
მჭლემაც ტანი აიზიდა
კუდის ქნევით გაიქცა.
ხეთა ნორჩი წვეროკინი
უფრო მაღლა აიჭრა.
სულდგმულმა თუ უსულომ
სიცხოველე აიცრა.
ბუნებისა ამ მშვენებით
სულდგმულს გული უთრთოდა,
სამჭედლოდან ამ დროით
ამო ჰანგი ისმოდა.
მიწისმუშა ოცამდე
დროს სიმღერით ატარებს,
"ბედინერას" ხმებია'
გულს რომ ატკბობს, ახარებს.
ჭანისწყლისპირს ეფინა
კრიმანჭული გულების,
ზოგს აქ თოხი მოეტანა,
ზოგს ნაჯახი, ცულები.
ამათ ბიჭებს გადასცემს –
ბრძანება გამოსდისა:
"ყველაფერი მზად იყოს
ხვალე საღამომდისა!"
ყველას საქმე მიუჩინა
და შინ წასვლა სურს გულით,
ამ დროს კაცი შენიშნეს
შორით მორბის ძუნძულით.
მიწას მკერდით ეხლება
(დრო არ უდგას ლხენადი),
თავყაბალახმოშვლეპილს
უფრიალებს პერანგი.
ხელებ, ფეხებ მოშვებით
მორბის რაღაც ფეთითა,
თავში ცემით ხელების,
თეთრი წვერის ფლეთითა.
მოაწია რა ახლორე
უჭირს ფეხის წაღება,
ცოლმკვდარივით უმატა,
ხმააწევით ვაებას.
"ბულათია სად არისო!"
აღარ ჰქონდა სხვა რამ გონი.
ბულათიას რა მოესმა
დაიყვირა ზარმცემ ტონით:
"ვაჰ! ვიდაცას უცემია
ვხედავ ჩემი ჯოღორია,
თუ სანაცვლო არ მივაგე,
მე ვყოფილვარ ჯოღორია
(ძაღლი)"
ესა თქვა და მიეგება:
" – ხელმყოფელი ვინ შვილია?!
"ჩემს სატკივარს ვინა ჩივის
გამიბახეს გაზრდილია."

მ ა ფ ა ლ უ

1925 წელს **"მაფალუელებად"** მიზნობრივ-სახელმწიფოებრივ-ჩეკისტურად წოდებულთა ჯგუფი, ჩემი გამოკვლევის მიხედვით, ათ კაცს არ აღემატებოდა, მაგრამ მათი საქმიანობა ხელისუფლებამ მიზნობრივად დიდ ეროვნულ საშიშროებად გააზვიადა და მის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი **"ეროვნულ-პატრიოტული"** ელფერის ღონისძიება – ფარსი განახორციელა. ამ მიზნობრივ სახელმწიფოებრივ-ჩეკისტური მეთოდით 1925 წელსვე მოუღეს ბოლო **"მაფალუდ"** მონათლულთა ავტონომისტურ-სეპარატისტულ **"საქმიანობას"**. მაგრამ **"მაფალუიზმი"** იმდენად ხელდასაყრელი სახელმწიფოებრივ-ჩეკისტური საფრთხობელა გამოდგა, რომ მისით აშინებდნენ და ებრძოდნენ არა მარტო საბჭოთა საქართველოსაგან დამოუკიდებელი სამეგრელოს არსებობის ერთეულ მოსურნეებს, არამედ საქართველოს შემადგენლობაში სახელმწიფო ენად ქართული ენის მქონე სამეგრელოს ავტონომიის კომუნისტური **"სიკეთის"** მთხოვნელებსაც და, თქვენ წარმოიდგინეთ, თვით პარტიის და ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მიერ საკუთარი მიხვედრილობით მოაზრებული და დამშვენებული (მ.შ. **"დადგენილებით"** დასახული) **"მეგრული საკითხის"** სამართლიანად, გარდამავალი ხანის დათმობებით მოგვარების რაციონალური და ჯანსაღი აზრის მომხრეებსაც. **"მეგრული საკითხის"** ასეთ, სამართლიანად მოგვარებისათვის მებრძოლებად გამოდიოდნენ ზუგდიდის მაზრის ხელმძღვანელი კომუნისტები ი.ჟვანიას მეთაურობით. ისინი მაქსიმალურად ითვალისწინებდნენ რეალურ ვითარებას, მეგრელი მასის მხურვალე დამოკიდებულებას ისტორიულად ჩამოყალიბებული სალაპარაკო მეგრული ენის მიმართ, რომელიც რეგიონის მეგრული მოსახლეობის უმრავლესობისათვის სათაყვანებელ, ხოლო ქართული სახელმწიფოებრივი და სალიტერატურო ენის არმცოდნე გლეხური მასისათვის დედასავით ღვიძლსა და ერთადერთ გასაგებ დედაენას წარმოადგენდა.

საქართველოს იმდროინდელი პარტიულ-სახელმწიფოებრივი ცენტრის ხელმძღვანელობამ არასაპატიო, გაუმართლებელ მიზეზთა გამო, ზოგი კუდშეკვეცილი და გაუნაღდებელი დადგენილების მიღების მიუხედავად, დიდი ხნის მანძილზე ვერ მოახერხა მეგრულ ენაზე მოლაპარაკე და მხოლოდ მეგრული ენის გამგები სამეგრელოს მშრომელთა საარსებო აუცილებლობის მოთხოვნიდან გამომდინარე გადაუდებელი ღონისძიებების ცხოვრებაში გატარება. ლავრენტი ბერიამ ჩვეული მეთოდით **"მაფალუელების"** ეჭვი და ბრალდებები დაადევნა **"მეგრული საკითხის"** სამართლიანად მოგვარებისათვის მებრძოლ ზუგდიდის ხელმძღვანელობას და მათ ლიდერს, ისაკი ჟვანიას. ახლა ისინი გამოაცხადეს **"მაფალუელებად"**. ი.ჟვანიას და ზუგდიდელ თანამოაზრეთა რაციონალური აზროვნების მიუხედავად, მათ ზოგჯერ ავტონომისტობაც დააბრალეს, ნაციონალისტობაც და სეპარატისტობაც. ისაკი ჟვანიას, მოწინააღმდეგე პოლიტიკანი კომუნისტები სიტყვიერად, მაგრამ ყალბად აკავშირებდნენ ცარიზმის რუსიფიკატორებთან, ეროვნულ-დემოკრატ პატრიოტის სტეფანე გაგუას **"მაფალუსთან"**, კომუნისტ ავტონომისტებთან და კომუნისტ სეპარატისტებთანაც კი. ხელისუფლების სათავეში მყოფი პარტოკრატი ბიუროკრატები ყველაფერს აკეთებდნენ ხალხში მათი ავტორიტეტის მოსასპობად. ისინი აქტიურად, მაგრამ არაობიექტურად იყენებდნენ

> **ნიკო მარი**
>
> **"მეგრული ენა არის მეგრული ენა; იგი ლინგვისტურად არ არის არც კილო, არც დიალექტი, მაგრამ ამავე დროს მეგრული მჭიდროდ დაკავშირებულია ქართულთან; ქართული ენის ძმა ენა არის და ქართულის მეცნიერულად შესასწავლად, დიახ, საჭიროა მეგრულის გამოწვლილვა".**

ხელისუფლების მხარდაჭერასაც და ისაკ ჟვანიას და მისი მხარდამჭერების კომუნისტური მენტალიტეტიდან მომდინარე შეცდომებსაც უკიდურესად და უბინძურესად აზვიადებდნენ. მაგრამ საკუთარი აზრისა და დროის მოთხოვნილების სწორად გამგები ზუგდიდის ხელმძღვანელობა იმდენად კერკეტი გამოდგა, რომ არ ეპუებოდა მამულიას, ბერიას და სხვა **"დიდი მეგრელების"** მხრიდან **"მეგრული საკითხით"** გათვალისწინებული ღონისძიებების, უპირატესად პარტიის პოლიტიკის თავისებური გაგებისა და პიროვნული ანტიპატიის გამო დამუხრუჭებულთა წინააღმდეგობას. ჩხოუშიელების ეს ჯგუფი მოწინააღმდეგე სახელისუფლებო ძალებთან ბრძოლის დროს – რომელთაგან ზოგი არა მარტო პარტიის პოლიტიკის თავისი გაგებით, არამედ ი.ჟვანიასთან პიროვნული შეუთავსებლობით ხელმძღვანელობდა – გარკვეულ წარმატებებსაც აღწევდა. ეს უმთავრესად იმის გამო ხდებოდა, რომ სამეურნეო ამოცანების დაჩქარებით შესრულე ბისათვის საკავშირო ცენტრი იძულებული იყო მეგრული ენა გამოეყენებინა როგორც მწარმოებელთა ეფექტური ექსპლუატაციის, ანუ წარმოების საშუალება. ხელისუფლების წარმომადგენლები და ზოგი სხვა, მათი პოლიტიკანების ვერგამგე ავტორები კი ისე წარმოაჩენდნენ თითქოს ი.ჟვანიას ჯიუტობას მოსდევდა დათმობები (მეგრული ენის გამოყენება დაწესებულებებსა და სასამართლოებში, მეგრულ ენაზე წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სახელმძღვანელოს – **"ჭითა ჩხორიას"** და მეგრული გაზეთების გამოცემა, ზოგი სკოლის პირველ კლასში მეგრული ენის ექსპერიმენტული სწავლება, სამეგრელოს ოლქის მოთხოვნა და სხვა). თუმცა, მალე, ისევ გლობალური პარტიულ-სახელმწიფოებრივი პოლიტიკიდან გამომდინარე, მეგრული ენის ნაგვიანები სახელმწიფოებრივი გამოყენება ისევ ვადაზე ადრე და ძალისმიერი მეთოდებით აიკრძალა. ამ პროცესებს მოსდევდა საკადრო გაუგებრობები, რომელთა დროსაც მოწინააღმდეგე მხარეები იყენებდნენ ადამიანური სისუსტეებით გამოწვეულ მეთოდებს. ხელისუფლების წარმომადგენლები და მათი დამქაშები ისააკ ჟვანიას და მის მომხრეებს აბრალებდნენ ე.წ. მაფალუელობას, ავტონომისტობას, სეპარატისტობას. არც ი.ჟვანია და მისი მომხრეები ჩამორჩებოდნენ ხოლმე. ამ ბრძოლაში მთავარი ის იყო, რომ ეს უკანასკნელები უფრო ახლოს იდგნენ ხალხის ინტერესებთან. აქ მთავარი ის არის, რომ მოწინააღმდეგეები ი.ჟვანიას სრულიად ყალბად უვრცელებდნენ ჭორებს, უყენებდნენ მეგრული ნაციონალიზმის მეთაურის ბრალდებას. ამით კი ისე გამოყავდათ, თითქოს მართლა არსებობდა მეგრული ნაციონალიზმი და ანტიქართული სეპარატისტული ტენდენციები და პროცესები. საერთოდ კი ხელისუფლების აზრის წარმომადგენლებსაც და ი.ჟვანიასაც ახასიათებდათ თავიანთი სიმართლის ჭეშმარიტებად გასაღების პოლიტიკანური მკრეხელობა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ზვიად გამსახურდია ნათელი და

დღესაც ლეგენდები დადის ედუარდ შევარდნაძის გაუნათლებლობაზე. ყველას კარგად ახსოვს, თუ როგორ დაამახინჯა მან ბიბლიური ფრაზა "იობის მოთმინება" და თქვა "იუდას მოთმინება". ერთხელ კი თავისი "ჯიბის" პოლიტიკოსი ზურაბ ნოღაიდელი მოიკითხა შემდეგ სიტყვებით: "ზურაბ იედოველი" სად არის? რაც შეეხება მიხეილ სააკაშვილს, თავისი განათლების კულმინაციად მას მიაჩნია რამდენიმე უცხო ენის მართლაც სრულყოფილად ცოდნა.

ერთხელ, თურმე, აკაკი წერეთელს უთხრეს: "ამა და ამ კაცმა ინგლისური და ფრანგული ენები შესანიშნავად იცისო".

– დავდუპულვართ! – იყვირა თურმე აკაკიმ,– ადრე მხოლოდ ჩვენ ვიცოდით, სულელი რომ იყო, ახლა ამას ფრანგებიცა და ინგლისელებიც შეიტყობენო!

ასე რომ, მთავარი ის კი არ არის, თუ რამდენ ენაზე საუბრობ, მთავარი ისაა, თუ რას ლაპარაკობ ამ ენებზე. შეურაცხყოფას არავის ვაყენებ, მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ თბილისში ნებისმიერი ქურთი მეეზოვე საკმაოდ რთულ ხუთ ენაზე საუბრობს: ქართულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ და მშობლიურ – ქურთულ ენებზე. მაგრამ, არცერთი ქურთი პრეტენზიას არ აცხადებს მაღალ თანამდებობაზე.

მიხეილ სააკაშვილი მწყრალად რომ არის საქართველოს ისტორიასთან და არად მიიჩნევს ისტორიულ სიწმინდეებს, ეს იქიდანაც ჩანს, რომ საპრეზიდენტო ფიცი მან გელათში, დავით აღმაშენებლის საფლავთან დასდო. გელათი და დავითის საფლავი კი ის სიწმინდეა, რომელსაც ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ქართველი კაცი ქარაფშუტული ხელაღებით არასოდეს შეაწუხებს. ამიტომ არ დაუდია დავითის საფლავთან საპრეზიდენტო ფიცი სრულიად საქართველოს ერთადერთ და უკანასკნელ პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას, რომელიც ქვეყნის სხვა მმართველებთან შედარებით ბევრად განსწავლულიც იყო და ბევრად გულმხურვალე პატრიოტიც. ჩვენ გვინდოდა ერთმანეთისათვის შეგვედარებინა სულმნათ ზვიადის, ედუარდ შევარდნაძის, მიხეილ სააკაშვილისა და სხვა ამბიციურ პირთა ბიოგრაფიები, მაგრამ ეს არ გავაკეთეთ, რადგან ელემენტარულ მკრეხელობად მივიჩნიეთ. სწორედ ამიტომ, შევარდნაძის წარსულის აღწერის საპირწონედ შევარჩიეთ ნაწყვეტი ზვიად გამსახურდიას შესანიშნავი წიგნიდან "საქართველოს სულიერი მისსია", რომელიც, ამავე დროს, მისი ერთ ერთი ლექციის თემაც გახლდათ. მკითხველი თავად მიხვდება, რომ მისი ქვეყნის მდიდარი წარსულის უბადლო ცოდნამ, სიყვარულმა და მოწიწებამ შეაკავებინა თავი ბატონ ზვიადს, რომ ფიცი დაედო რომელიმე დიდი ქართველი მეფის საფლავთან.

...ხშირად მეფეები ფარულად ხდებოდნენ ბერები და ირქმევდნენ საიდუმლო სახელს. როგორც ჩანს, ასეთი საიდუმლო სახელი ჰქონდა დავით აღმაშენებელსაც, ვინაიდან ჯვაროსნები მას ერთხმად უწოდებდნენ იოანეს და თან მეფე-ხუცეს იოანეს. ეს მოასწავებს იმას, რომ იგი იყო ისეთივე ბურჯი რელიგიისა, როგორც სახელმწიფოებრივი ცხოვრების, როგორც პოლიტიკური ცხოვრებისა საქართველოში და მან ეს ორი საწყისი შეაერთა.

ვინ იყო დავით აღმაშენებლის მოძღვარი? ვინ იყო დავითის სახელმწიფოში, ასე ვთქვათ წამყვანი პიროვნება, მამა მეფისა, მამა სახელმწიფოსი? ეს იყო ჭყონდიდელი ეპისკოპოსი. რატომ მაინც და მაინც ეს სახელი დაერქვა ჭყონდიდელის ინსტიტუტს, ე.ი. სასულიერო და პოლიტიკური ძალაუფლების გამაერთიანებელ ინსტიტუტს, რომელიც იყო ფაქტიურად უმაღლესი ხელისუფლება იმდროინდელ საქართველოში? მართალია, მეფე იყო აბსოლუტური მონარქი, მაგრამ უმაღლესი ხელისუფლების სიმბოლო იყო ჭყონდიდელი და ამიტომ იყო ნათქვამი კარზე, რომ ჭყონდიდელი მამაა მეფისა და როგორც მამა მეფისა არის იგი მოხსენიებული დავით აღმაშენებლის ისტორიკოსთან. ასე ვიცით ჩვენ ისტორიიდან და ამიტომ არის, რომ სახელი ჭყონდიდელი, დიდი მუხის ("ჭყონი" მეგრულ ენაზე ნიშნავს მუხას) კულტის სახელი ეწოდებოდა უკვე ქრისტიანულ ეპოქაში ამ ინსტიტუტს. ეს იმის გამო ხდებოდა, რომ საქართველოში, კერძოდ კოლხეთში, ამ უძველესი კულტურის ქვეყანაში შემონახული იყო ამ დიდი მუხის კულტი და ქრისტიანულ ეპოქაში ეს უკვე იყო ეპარქიის წოდება. და იმ ტრადიციული ერთიანობის გამოსახატავად, რომელიც არსებობდა წარმართული ეპოქის სიბრძნესა და ქრისტიანული ეპოქის სიბრძნეს შორის, შემორჩა სახელი ჭყონდიდელი. მათ ამ თანამდებობისთვის შეეძლოთ ეწოდებინათ, ვთქვათ, მარტვილი ან რაიმე ქრისტიანული სახელი, მაგრამ მათ შემოინახეს ეს იმ ტრადიციული, ორგანული ერთიანობის გამოსახატავად, რომელიც იყო იმ ანტიურ სიბრძნესა და ქრისტიანულ სიბრძნეს შორის და ამიტომ დავით აღმაშენებელმა სწორედ შეგნებულად ჭყონდიდელს მიანიჭა ასეთი პრიორიტეტი, რომელიც მას თითქოს მეფის ხელისუფლებაზე მაღლა აყენებდა, მაგრამ აქ მთავარი იყო არა მაღლა დაყენება, არამედ ორგანული შერწყმა სასულიერო და საერო ხელისუფლებისა. და, აი, ეს ორგანული შერწყმა საცნაურია თვით დავით აღმაშენებლის პიროვნებაში და ამიტომაც არის ის ფრესკაზე გამოხატული ეკლესიით ხელზე. ასეთი პატივი არც ერთ მეფეს არ რგებია, მეგობრებო. გადახედეთ მეფეების გამოსახულებებს ფრესკებზე. თქვენ ვერსად ვერ ნახავთ, რომ საქართველოს რომელიმე მეფეს ხელზე ედგას ეკლესია, ვინაიდან ჩვენ სხვა მსგავსი მეფე არ გვყოლია, რომელმაც ამრიგად გააერთიანა სასულიერო და საერო ხელისუფლება, სასულიერო და საერო სიბრძნე. დიახ, სასულიერო და საერო სიბრძნის კერა იყო გელათი, გელათი იყო გაგრძელება იმ ანტიური სიბრძნისა, რომელიც მოცემული არის ოქროს საწმისის მითში, კოლხეთის ისტორიაში. გელათი იყო ის კერა, სადაც აღორძინდა ეს ყოველივე. გელათი იყო კერა, სადაც ქრისტიანული, ბიბლიური სიბრძნე შეუერთდა, დაუკავშირდა ანტიურ, წარმართულ სიბრძნეს, ვინაიდან ეს საქართველოში არასოდეს იყო განთვისებული, განცალკევებული.

ეს წერილი დღეს მე გელათს იმიტომ დავუკავშირე, რომ ქუთაურებმა იცოდნენ, თუ სად ცხოვრობენ, რა ქალაქში ცხოვრობენ და რა ადგილია გელათი. მე შეძლია სრული პასუხისმგებლობით გითხრათ, რომ მსგავსი ცენტრი შუასაუკუნეობრივი სიბრძნისა, შუასაუკუნეობრივი განათლებისა მსოფლიოში არ არსებულა და ამას ვაღიარებთ არა მარტო ჩვენ, არა მარტო ქართველი მეცნიერები, არამედ უცხოელებიც და თქვენ წარმოიდგინეთ, რუსებიც. მე წაგიკითხავთ ყველაზე დიდი თანამედროვე რუსი მეცნიერის აკადემიკოს ლოსევის აზრს გელათისა და ქართული ნეოპლატონიზმის შესახებ, რომელიც საერთოდ უპრეცენდენტოა მსოფლიოში. ეს პიროვნება, ღრმა მოხუცებულ ასაკს მიღწეული, იყო ჩამოსული გელათში, მას შემდეგ იგი შემხვდა მე, მესაუბრა და გამოაქვეყნა წერილი საქართველოს ერთ-ერთ ჟურნალში. მე მინდა თქვენ გაეცნოთ ამას. და ვიდრე გაგაცნობდეთ, მოგახსენებთ, რომ იმჟამინდელ ევროპაში არსად არ იყო მსგავსი კულტურის კერა, მსგავსი სიბრძნის კერა, არც ბიზანტიაში. ევროპაში დაახლოებით იმავე პერიოდში იყო შარტრის პლატონური აკადემია, იგი ერთადერთია მსოფლიოში, რომელიც შეიძლება შეედაროს გელათს, მაგრამ იოანე პეტრიწის დარი ფილოსოფოსი არ ჰყოლია იმ აკადემიას და არც ერთ კულტურულ კერას იმჟამინდელ

მსოფლიოში. რას გვამცნობს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი? დავუკვირდეთ ჩვენ ამ გამოთქმებს: **"მუნვე შეკრიბნა კაცნი პატიოსანნი ცხოვრებითა და შემკულნი ყოვლითა სათნოებითა, არა თვისთა ოდენ სამეფოთა პოვნილნი, არამედ ქვეყნის კიდეთა, სადაც ესმის ვიეთმე სიწმინდე, სიკეთე, სისრულე სულიერთა და ხორციელთა სათნოებათა აღსავსეობა. იძინა და ყველათ გამოიძინა, მოიყვანა და დაამკვიდრა მას შინა და მამული ლიპარიტეთი უმკვიდროთ დარჩენილი იყო, არამედ სხვა მრავალთა სოფლებთა თანა მისცა დედასა ღვთისასა და უზრუნველი ტრაპეზი განუჩინა, რომელიც წინამდებარე არს ყოველი აღმოსავლისა მეორედ იერუსალიმად, სასწავლოდ ყოველსა სიკეთესა, მოძღვრად სწავლულობისად სიტყვად ათინად ფრიად უაღრეს მისსა საღვთოთა შინა წესთა".** ე.ი. გელათი იყო ისეთი რელიგიური ცენტრი, როგორც იერუსალიმია ქრისტიანული კულტურის თვალსაზრისით და მეორე მხრივ ანტიური ელინური სიბრძნის ისეთი უდიდესი კერა, როგორიც იყო ათინა, ათენი – საბერძნეთის დედაქალაქი და თან "ფრიად უაღრეს მისსა", ე.ი. მასზე უფრო დიდი, ვინაიდან ათენი იყო წარმართული, ხოლო გელათი საღვთო წესებით, ქრისტიანული წესებით გამდიდრებული და აღზევებული. ე.ი. ათენი, ათინა მოცემული ქრისტიანულ დონეზე. აი, ეს იყო გელათი.

რა ისწავლებოდა გელათში და რით არის დიდი ეს კულტურული ცენტრი? თქვენ იცით, რომ შუა საუკუნეებში ქრისტიანობა, კერძოდ დასავლეთის ქრისტიანობა ჩრდილავდა ყოველივე ადამიანურს, იგი ადამიანის პიროვნების ემანსიპაციის წინააღმდეგი იყო, მხოლოდ საღვთო მომენტი გამოჰქონდა წინა პლანზე და ადამიანური სიბრძნე იჩრდილებოდა; ასევე იჩრდილებოდა ანტიური სიბრძნე, იგი გამოცხადებული იყო კანონგარეშედ, თუმც დიდი ქრისტიანი მამები, მაგალითად, ბასილი დიდი, მოითხოვდნენ ანტიური სიბრძნის შესწავლასაც და ამბობდნენ, რომ ამ წიგნებიდანაც შეიძლება მივიღოთ ის სიბრძნე, რომელიც დაგვეხმარება სულის ხსნაშიო. იუსტინე ფილოსოფოსი, პირველი ქრისტიანი მამა, ამბობდა, რომ სოკრატე და პლატონიც ისეთივე ლოგოსის, ქრისტეს მსახურები იყვნენ, როგორც ჩვენო, ოღონდ ისინი იმჟამად წარმართულ ეპოქაში ცხოვრობდნენ და მათ მხოლოდ ნაწილობრივ ჰქონდათო ამის საშუალება. ამას ყოველივეს ებრძოდა ბიზანტიის ეკლესია, მაგრამ იმ ეპოქაში, როდესაც გელათი აღმოცენდა, ბიზანტიაში უკვე დაძლეული იყო ეს და იგრძნობოდა უდიდესი ინტერესი ანტიური სიბრძნისადმი, ანტიური ფილოსოფიისადმი და დოგმატური წარმომადგენლები ეკლესიისა ვეღარ ახერხებდნენ ამასთან ბრძოლას და სასულიერო აკადემიებში ბიზანტიისა უკვე დაიწყო ანტიური სიბრძნის შესწავლა, ანტიური ფილოსოფიის შესწავლა. მაგრამ იმ დონეზე, როგორც ამას ვხედავთ გელათში, ეს წარმოუდგენელი იყო გინდ ბიზანტიაში, გინდ ევროპაში, ვინაიდან აქ მოხდა გაერთიანება მთელი ანტიური სიბრძნისა, როგორც ამას ჩვენ ვხედავთ პეტრიწის ნაშრომებიდან. მთელი ანტიური სიბრძნე ისწავლებოდა გელათში. აღორძინდა არა მხოლოდ ბერძნული ანტიური ტრადიციები, არამედ ქალდეური, ეგვიპტური, ძველი მსოფლიოს ყველა ის კულტურის კერები, მისტერიული სიბრძნის კერები, რომლებიც უწინ არსებობდნენ, და გელათის ბრძენნი ყოველივე ამას ორგანულად უთავსებდნენ ქრისტიანობას, ბიბლიას. მათთვის ბიბლიური სიბრძნე განუყოფელი იყო ამ ანტიური სიბრძნისაგან. აი, ამიტომ იყო ეს **"ახალი ათინა ფრიად უაღრეს მისსა"**, როგორც ამბობს ამას დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი.

ახლა მე გაგაცნობთ აკადემიკოს ლოსევის სიტყვებს გელათის შესახებ:

"ქართული ნეოპლატონიზმი ანთროპოცენტრიზმი გახლავთ. აქ ადამიანი ყველაფრის საფუძველია, მაგრამ აქვეა ღრმა განსხვავება ერთი მხრივ ქართულ ნეოპლატონიზმსა და გერმანულ ნეოპლატონიზმს შორის, აღმოსავლურ და დასავლურ ნეოპლატონიზმს შორის. ნეოპლატონიზმი, რომელსაც მისდევდნენ ქართული რენესანსის წარმომადგენლები (და სხვათა შორის ეს მეცნიერი იზიარებს აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის მოსაზრებებს, რომ რენესანსი გაცილებით ადრე დაიწყო საქართველოში, ვიდრე ევროპაში, რომ ის აქ დაიწყო XI საუკუნის მიწურულში, XII საუკუნის დასაწყისში, მაშინ როდესაც ევროპაში დაიწყო XIII-XIV სს-დან) – იოანე პეტრიწი და რუსთაველი – ანთროპოცენტრიზმია, მაგრამ ამასთან იგი როდი აუქმებს ბუნების მეუფებას, იმ ბუნებისას, რომელსაც თაყვანს სცემდა ანტიურობა, იმ ბუნებისას, იმ ვარსკვლავებისას, მათი სწორი მიმოქცევისას. აქ ანთროპოცენტრიზმი ბუნებას როდი ანადგურებს, როგორც ამას დასავლეთში ჰქონდა ადგილი, არამედ ბუნება მდიდრდება იმით, რომ ადამიანი მივიდა მასთან სუბიექტური მოთხოვნილებებით, რომ ადამიანი იქცა პიროვნებად, რომელსაც სურს შეგრძნება ყოველივესი, თავისებურად გარდაქმნა ყოველივესი. იყო ცალკეული კვლევა ნეოპლატონიზმისა, მაგრამ არ ყოფილა ისეთი მაღალი, სიღრმისეული წვდომა ამ ფილოსოფიური მოძღვრებისა, ასეთი გაგება. ჩვენ უნდა ვისწავლოთ ქართველებისაგან და რაც უფრო მეტს ვისწავლით, მით უფრო გაიზრდება რუს-ქართველთა მეგობრობა".

აი, რას აღნიშნავს რუსი მეცნიერი, რომ რუსეთი ჩვენ უნდა გვიყურებდეს როგორც თანატოლ ძმას, რაც კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენს ისტორიულ მეგობრობას. აი, თვით რუსი აღიარებს ამას, უდიდესი მეცნიერი, უდიდესი სპეციალისტი ძველბერძნული ფილოსოფიისა, საერთოდ ძველი საბერძნეთის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე დიდი სპეციალისტი თანამედროვე მსოფლიოში. ამასვე აღიარებდა უდიდესი რუსი მწერალი ანდრეი ბელი, რომელიც ძალიან ხშირად ჩამოდიოდა ქუთაისში. მას ძლიერ იზიდავდა ქუთაისი, რამეთუ იცოდა, რომ ეს არის უძველესი კოლხური კულტურის ცენტრი. ანდრეი ბელი ამბობდა: როდესაც ჩვენ ტყეებში დავეხეტებოდით, ქართველები უმაღლეს კულტურას ქმნიდნენ და ჩვენ უნდა ვისწავლოთ ქართველებისგან და ჩვენ უნდა შევწყვიტოთ ყოველგვარი საუბარი მათ ვითომდა ნაციონალიზმზე, შოვინიზმზე და ყურად ვიღოთ ის ყოველივე, რაც მოდის რუსთაველიდან, რაც მოდის ქართული კულტურიდან. აი, ასეთი არის შეგნებული და მაღალგანვითარებული რუსების შეხედულება საქართველოზე, განსხვავებით იმ იმპერიული და ბოგანო რუსეთისაგან, რომელიც ზევიდან დასცქერის საქართველოს. აი, ეს არის ჭეშმარიტება და ამას კიდევ იმიტომ მოგახსენებთ, მეგობრებო, რომ იცოდეთ, რა კულტურის ცენტრია ქუთაისი, რომ შეწყდეს ეს დენა ინტელიგენციისა ქუთაისიდან თბილისში და რომ აღარ იყოს ეს ტენდენცია, რომ ყველა ინტელექტუალური ძალები საქართველოსი მხოლოდ თბილისში გაერთიანდნენ. ეს არის ეროვნული ტრაგედია. ასეთი უძველესი სიბრძნის ცენტრი, ინტელექტუალური კულტურის ასეთი ცენტრი, როგორიც არის ქუთაისი, რატომ უნდა დაიცალოს ინტელიგენციისაგან? ეს არ არის განა ეროვნული ტრაგედია? თუ ყველამ თბილისში მოვიყარეთ თავი, რა ეშველება დანარჩენ საქართველოს? აი, ესაა საკითხავი. და ბოლოს ის თბილისიც აღარ დაგვრჩება, იმიტომ რომ იქაც გაძლიერდა ანტიქართული ტენდენციები და არაქართველთა მოძალება. სწორედ ამიტომ მე მინდა გავამახვილო თქვენი ყურადღება, რომ ის ტრადიცია, რომელიც მიმდინარეობს უძველესი კოლხეთიდან, რომელიც მომდინარეობს გელათიდან, აქ არ უნდა შეწყდეს.

ეხლა მე მინდა დეტალურად გესაუბროთ, თუ რა სახის დისციპლინები ისწავლებოდა გელათის აკადემიაში და რა გვაძლევს საფუძველს იმის თქმისა, რომ მართლაც უპრეცენდენტო იყო სიბრძნისა და სწავლულობის ეს კერა შუა საუკუნეების მსოფლიოში. აქ, უწინარეს ყოვლისა, ისწავლებოდა 7 დარგი მეცნიერებისა, რომელიც იყო გავრცელებული იმჟამინდელ მსოფლიოში, კერძოდ ბიზანტიაშიც, დასავლეთ ევროპაშიც და ამ 7 დარგს ეწოდებოდა ტრივიუმი და კვადრივიუმი, ანუ სამეული და ოთხეული, ე.ი. შვიდეული. სამეული არის გეომეტრია, არითმეტიკა და მუსიკა. ოთხეული: გრამატიკა, ფილოსოფია, რიტორიკა და ასტრონომია. აი, დარგები, რომლებიც ისწავლებოდა გელათში და ისწავლებოდა ისეთ დონეზე, როგორც არსად...

რედაქციის მინაწერი – ალბათ მიხვდა მკითხველი, თუ რატომ არ შეაწუხა გელათი ზვიადმა საპრეზიდენტო ფიცის დადებით. ალბათ იმასაც მიხვდით, რომ სიყვარული ნიჭია, ნიჭი და შრომისმოყვარეობა კი გახლავთ მაღალი ინტელექტის, მაღალი სულიერებისა და პატრიოტული სულისკვეთების საფუძველი. ეს კი ის დიდი შინაგანი კულტურა გახლავთ, რაც ესოდენ მოჭარბებული ჰქონდა ზვიადს. ჩვენ კი (ჩვენც ხომ დიდი ცოდვა მიგვიძღვის ამ საქმეში) ზვიადი ქვეყნიდან გავაგდეთ და ჩვენივე ხელით მოვიყვანეთ ქვეყნის სათავეში სატანასთან წილნაყარი შევარდნაძე, რომლის პოლიტიკური შლეიფი დღეს ჯიუტად მიაქანებს საქართველოს დაღუპვისაკენ. მახსენდება, თუ რა დღე დააწია ოპოზიციამ ზვიად გამსახურდიას იმისათვის, რომ მას გერმანელებმა 160 ათას დოლარად ღირებული დაჯავშნული "მერსედესი". ალბათ ხალხის ფულით იყიდაო ეს მანქანა – ერთხმად ყიჟინებდა მაშინ დიდ-პატარა. მაგრამ, შემდეგ კრინტი არ დაგვიძრავს შევარდნაძის მიერ მოპარულ მილიარდებზე და არც ახლა ვიღებთ ხმას, როცა მართლაც დაქცეული და გაჭირვებული ქვეყნის ჩიტირეკია პრეზიდენტი საკაშვილი "მშობლიურ" ჰავლაბარში 400 მილიონზე მეტად ღირებულ რეზიდენციას იშენებს, რითაც პოტენციურ მილიონერად აქცია ამ კვარტალში მცხოვრები ლამის ყველა სომეხი.

იქნებ სწორედ ამიტომაც გვსჯის ღმერთი? იქნებ ერმა უნდა მოინანიოს ის დიდი ცოდვა, რაც ზვიადის წინაშე ჩაიდინა?

პასუხი მკითხველისათვის მიგვინდვია!

გაზეთი "ილორი"

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბნელი ედუარდ შევარდნაძე

საქართველოს თავისი მდიდარი და საინტერესო წარსულის თითქმის ცხრა მეათედი პერიოდი გარე და შიდა მტრებთან ომებში აქვს გატარებული. ქართველთა გამუდმებული თავგანწირული ბრძოლა მომხვდურ ბარბაროსთა წინააღმდეგ მოტივირებული იყო მამულის, ენისა და სარწმუნოების დაცვით, სადაც, როგორც წესი, მუდამ ხმალშემართული ქართველი კაცი გამოდიოდა გამარჯვებული, რადგან, სწორედ შეუპოვრობისა და სიმამაცის წყალობით დღემდე მუხლმაგრად და მედგრად დგას საქართველო. ღიად მოსულ მტერზე გამარჯვებით კი ვიმარჯვებდით, მაგრამ ბუნებით რაინდ და პირში მთქმელ ქართველს ყოველთვის უჭირდა ბრძოლა იმ ქვემძრომ ფარულ მტერთან, რომელიც ჯერ სამხრეთელი მეზობლის – სომხების, შემდეგ კი ედუარდ შევარდნაძის სახით უწყალობა მას ღმერთმა. სამწუხაროდ, საქართველოს არც **"შადიმანები"** – საკუთარი ქვეყნის მოღალატე და ანგარებიანი მმართველები აკლდა, რომელთაც პირადი ინტერესები ყოველთვის ერის ინტერესებზე მაღლა ეყენათ და სხვების სიცოცხლისა და კეთილდღეობის ხელყოფის გზით ახერხებდნენ საარაკო სიმდიდრის მოხვეჭას. მაგრამ ქართველებს არასოდეს არ ჰყოლიათ შევარდნაძის მსგავსი ბოროტი და საკუთარი მამულის მტერი **"მაოხარი გზირი"**, რომელიც ყოველნაირი ხერხებით ცდილობდა საქართველოს წაშლას მსოფლიოს გეოგრაფიული და პოლიტიკური რუქიდან, ნაწილ-ნაწილ ჰყიდდა საქართველოს და რომელმაც ნებისმიერ მტერზე დიდი და ღამის გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა ჩვენს მრავალნატანჯ სამშობლოს.

ჩვენი ყველაზე დიდი უბედურება კი საქართველოსა და ქართველი ხალხისათვის ის გახლავთ, რომ ედუარდ შევარდნაძის მიერ დანერგილი სიყალბისმომცველი პოლიტიკური კურსი დღესაც მძლავრობს და დედაბუდიანად განადგურების საშიშროების წინაშე აყენებს სრულიად საქართველოს.

როცა მაღალი სახელისუფლებო თანამდებობიდან **"ჩამოვარდნილ"** ადამიანს ძველ ცოდვებს გაუხსენებენ, ქართველები ნიშნისმოგებით იტყვიან ხოლმე: ძირში მოჭრილი და წაქცეული ხის კენწეროს ყველა შესწვდებაო. შეიძლება მკითხველებმა ჩვენც გვისაყვედურონ – ედუარდ შევარდნაძე უკვე რამდენი წელია ქვეყნის პრეზიდენტი აღარ არის და ახლა რაღა დროს მისი კრიტიკაო. მაგრამ თავს ნუ მოვიტყუებთ. ხელისუფლებიდან წასვლით შევარდნაძე, როგორც პოლიტიკური ფიგურა არ წაქცეულა და მისი მრუმე აჩრდილი კვლავ ავბედითად ადგას თავზე სრულიად საქართველოს. ისიც უნდა გაითვალისწინოს მკითხველმა, რომ შევარდნაძის წინააღმდეგ ბრალდებების წამოწევა გახლავთ არა მოხუცი ადამიანისათვის გულის ტკენის სურვილი, არამედ საქართველოში დღეს მძვინვარე **"შევარდნაძიზმის"** ძირფესვიანად აღმოფხვრის აუცილებლობიდან გამომდინარე. შევარდნაძის მიერ განვლილი ცხოვრების გზას რომ გავეცანით, უნებლიედ გაგვახსენდა მეოცე საუკუნის ოცდაათიანი წლების ამერიკული მაფიის ერთ-ერთი თავკაცი, მეოცე საუკუნის დასაწყისში ოდესიდან ამერიკაში ემიგრირებული ებრაელი მოიშე სუხოვლიანსკი, რომლის ფსევდონიმი გახლდათ მაიერ ლანსკი. მრავალ ამერიკელ მაფიოზთა შორის იგი გახლდათ ერთადერთი, რომელიც დანაშაულის ჩადენის შემდეგ არანაირ კვალს არ სტოვებდა და ამიტომ იგი ვერასოდეს მოიხელთა ამერიკულმა მართლმსაჯულებამ, რათა ჯეროვანი მიეზღო. ათწლეულების განმავლობაში იბოგინა ამ პირწავარდნილმა დამნაშავემ და ისე დასტოვა ეს ცოდვილი წუთისოფელი, რომ ერთხელაც კი არ მოხვედრილა ციხეში. მისი სიკვდილის შემდეგ კი ამერიკის ხელისუფლებას დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რომ მაიერ ლანსკის **"მემკვიდრე"** ბანდის ბოგინი აღეკვეთა და საზოგადოების ცხოვრება ჩვეულ რითმში დაებრუნებინა. ედუარდ შევარდნაძესა და მაიერ ლანსკის შორის განსხვავება მხოლოდ ის გახლავთ, რომ ამერიკელ მაფიოზს მართლმსაჯულება უთვალთვალებდა და მის გამოაშკარავებას ცდილობდა. შევარდნაძეს კი ჯიბეში ესვა საბჭოთა **"მართლმსაჯულება"** და თავის ჭკუაზე ატარებდა ამ ვეებერთელა სადამსჯელო მანქანას. და კიდევ, მაიერ ლანსკის დანაშაულებრივ მემკვიდრეობას ამერიკის ხელისუფლება ებრძოდა, შევარდნაძის არანაკლებ დანაშაულებრივი მემკვიდრეობა კი საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას ღამის სამოქმედო პროგრამად აქვს ქცეული. წავიდა და ქვეყანა დაუტოვა უფრო ახალგაზრდა დამაქცევარებს. ქართულ პრესაში გაჩნდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ქვეყნის პირველმა ლედიმ სანდრა რულოვსმა ქართული და მეგრული ენების შესწავლა დაიწყო მანამ, ვიდრე ქართველების რძალი გახდებოდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამერიკელები მას სპეციალურად ამზადებდნენ საქართველოში გასათხოვებლად. დაიწერა ისიც, რომ სანდრა ქალ მედესანტეთა შემადგენლობაში მსახურობდა და შესანიშნავად ფლობს ორთაბრძოლის ტექნიკას. ეს კი ბევრ რამეზე მეტყველებს – საქართველო არ არის შემთხვევითი ადამიანების ხელში. შევარდნაძემ საქართველო მის მიერ დაწყებული ნგრევისა გაცამტვერების საქმეში უცხოეთში დახელოვნებულ ხალხს ჩაბარა...

აი, რატომ არის ძნელი **"შევარდნაძიზმის"** აღმოფხვრა!

მსოფლიო პოლიტიკის ისტორიაში ძნელად თუ მოიძებნება ადამიანი, რომელიც შევარდნაძესავით მაღალპროფესიულად ფლობდა პოლიტიკური ჟონგლიორისა და ილუზიონისტის ხელოვნებას. იგი ყოველთვის საქმით აკეთებდა იმას, რასაც სიტყვით ებრძოდა – გახლდათ მაღალი დონის მომხვეჭელი, განუმეორებელი კომბინატორი, მოჩვენებითობის უბადლო შემოქმედი, ბრძენი კარიერისტი, დაუნდობელი შურისმაძიებელი, ცრუ და გულცივი პარტიული ფუნქციონერი, რომლისთვისაც ადამიანები და საზოგადოება გახლდათ მიზნის მისაღწევი საშუალება და არა ზრუნვის საგანი...

ნებისმიერი მსახიობი სცენაზე როლის თამაშის შემდეგ წარმოუდგენლად იღლება, რადგან წარმოსახვით სამყაროში თუნდაც ორი საათით გადანაცვლება მისგან დიდ ძალისხმევას მოითხოვს. შევარდნაძემ მთელი თავისი სიცოცხლე პოლიტიკურ ავანსცენაზე გაატარა, მაგრამ ერთხელაც არ უგრძვნია დაღლა, რადგან იგი მხოლოდ წარმოსახვით სამყაროში ცხოვრობდა და ამა თუ იმ დროის შესაფერისი პოლიტიკური როლის თამაში მისი ცხოვრების წესი გახლდათ.

გერმანული ფაშიზმის მამამთავარი და საამაოზე მეტად მკაცრი ადოლფ ჰიტლერი რომ ჰიტლერია, ისიც კი უყვარდათ თანამემამულეებს, მაგრამ შევარდნაძე არ უყვართ საქართველოში, და არც უნდა უყვარდეთ, რადგან მან სხვა უმძიმესი დანაშაულების ჩადენასთან ერთად გაყიდა აფხაზეთი და სამაჩაბლო, დაახვრეტინა ე.წ. **"თვითმფრინავის ბიჭები"** და სრულიად უდანაშაულო მღვდელი ჩიხლაძე, ასევე იმსხვერპლა მეოცე საუკუნის სამოცდაათიან წლებში თბილისის 26-კომისრის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე იუზა კობახიძე, შევარდნაძის ცენტრალური კომიტეტის მდივნობის ჟამს ფრიად საეჭვო ავტოავარიაში დაიღუპა საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზურაბ პატარიძე, რომელსაც

მოსკოვში შევარდნაძის შემცვლელად მიიჩნევდნენ, შევარდნაძემ ციხეში ამოალპო საქართველოს ფინანსთა მინისტრი ფარნაოზ ანანიაშვილი და ყველა ის თანამდებობის პირი, რომელთაც გაბედეს და სიტყვა დაძრეს შევარდნაძის არაადამიანურ საქციელსა და თვითნებობაზე. ძალზე საეჭვოდ ფიგურირებს შევარდნაძის პიროვნება თბილისის 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის საქმეში, როცა **"სახელოვანმა"** საბჭოთა ჯარისკაცებმა საბრძოლო ნიჩბებით მოუსწრაფეს სიცოცხლე ქართველ ქალებს. ხოლო 1972 წლის შემდეგ, რაც შევარდნაძემ მისთვის ჩვეული მრავალსვლიანი ინსინუაციებით, ინტრიგებითა და მოსკოვში მის მიერ მოქრთამული სკკპ პოლიტბიუროს მაღალი თანამდებობის პირების ხელშეწყობით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნობიდან მოსკოვს მოახსნევინა უაღრესად პატიოსანი, გულთბილი პიროვნება და ქართველი ხალხის ჭეშმარიტი გულშემატკივარი, სამხედროსკოლაგავლილი გენერალი ვასილ მჟავანაძე და ურცხვად დაიკავა მისი თანამდებობა, საქართველო გადააქცია მიწერებისა და სხვა სახის ეკონომიკური დანაშაულების პლაცდარმად, გაათახსირა და სულიერად გახრწნა მთელი საქართველოს მოსახლეობა. განა სწორედ ვასილ მჟავანაძის პირადი დამსახურება არ გახლავთ ის ამბავი, რომ დღეს საქართველოს დედაქალაქს გააჩნია მეტროპოლიტენი, დასავლეთ საქართველოში განთავსებული მთელ მსოფლიოში უნიკალურად აღიარებული **"ენგურჰესის"** ნაგებობა და სხვა უამრავი შენობა-ნაგებობა, რომელიც დღესაც პირნათლად ემსახურება ქვეყნის ეკონომიკის აღორძინების საქმეს?

მთელი თავისი პარტიული **"მოღვაწეობის"** მანძილზე შევარდნაძეს არაფერი ღირებული და დასახსომებელი არ შეუქმნია საქართველოსათვის. ერთადერთი, რაც მან გააკეთა, იყო კავკასიის ქედის გამჭოლი, სრულიად უსარგებლო როკის გვირაბი, მაგრამ, ის რაც უსარგებლო იყო ქართველებისათვის, მოგვიანებით უაღრესად სარგებლიანი გამოდგა ოსი სეპარატისტებისათვის, რომლებიც სწორედ როკის გვირაბის წყალობით დღეს მთელ მსოფლიოს უმტკიცებენ, რომ ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთი ერთიანი სახელმწიფო იყოო.

აი, რა **"აჩუქა"** ედუარდ შევარდნაძემ ისედაც მრავალტანჯულ საქართველოს!

მოგვიანებით, გორბაჩოვის ცნობილი **"პერესტროიკის"** პერიოდში გერმანიის გაერთიანებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესების წარმატებით განხორციელებისათვის შევარდნაძემ აიღო დიდი ოდენობით ფული და სხვა დანაშაულებრივი გზებით იშოვა ვეებერთელა თანხები, რითაც შეიძინა აქციები და სხვა უძრავ-მოძრავი ქონება გერმანიასა და ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოებში, სადაც ამჟამად დიდ ბიზნესს ეწევა ამ ქვეყნების მესვეურთა წაყრუებით თუ ხელშეწყობით. გერმანელებს იგი ლამის მესიად მიაჩნიათ, რადგან შევარდნაძემ უაპელაციოდ მიისაკუთრა გერმანიის გამაერთიანებლის სახელი. სინამდვილეში, გერმანიის გაერთიანებაში გადამწყვეტი როლი ითამაშეს საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნებმა მიხეილ გორბაჩოვმა და ალექსანდრე იაკოვლევმა, შევარდნაძეს კი, რომელიც ამ პიროვნებებთან შედარებით ყოველთვის მორჩილ კლერკად გამოიყურებოდა, არავინ ჰკითხავდა გერმანიის გაერთიანებას თუ სხვა მნიშვნელოვან პოლიტიკური საქმეების გადაწყვეტას. ხალხმა კარგად იცის იმის თაობაზე, რომ, როცა აღმოსავლეთ გერმანიდან საბჭოთა ჯარების გამოყვანის და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების **"დაკარგვით"** განრისხებულმა საბჭოთა კავშირის კომპარტიის პოლიტბიუროს წევრებმა შევარდნაძესთანმკაცრად გასაუბრება გადაწყვიტეს და ამ გადაწყვეტილების აღსრულება საბჭოთა კავშირის უშიშროების კომიტეტის მაშინდელ თავმჯდომარეს კრიუჩკოვს გაავალეს, მასთან მისულ გენერალს შევარდნაძემ განუცხადა: **"ჩემდამი როგორ შეიძლება გაგაჩნდეთ რაიმე პრეტენზია, როცა აღმოსავლეთ ევროპა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა გორბაჩოვმა და იაკოვლევმა გაყიდესო!"**

ამ წერილის დაწერის სურვილი კიდევ უფრო გაგვიძლიერა იმან, რომ 2008 წლის ზაფხულში ედუარდ შევარდნაძე საქართველოს ერთ-ერთ ტელეარხზე გამოვიდა და მამა აბრამის კრავივით უცოდველად და შეთქმულების მსხვერპლად წარმოადგინა საკუთარი თავი ტელემაყურებელთა წინაშე. ისე გამოიყვანა საქმე, თითქოს საქართველოში მისი მმართველობის ჟამს დატრიალებული მრავალი უბედურების მიზეზი იგი კი არა, თურმე თავად ქართველი ხალხი ყოფილა. მართალია მან რამდენიმე სიტყვით გააკრიტიკა კიდეც დღეს მომქმედი ხელისუფლება, მაგრამ, რა დისონანსის შეტანა შეუძლია საზოგადოების ცხოვრებაში ხელისუფლებას ჩამოშორებული მოხუცი პოლიტიკური **"პატრიარქის"** უნიათო კრიტიკას, როცა ხელისუფლებას საქართველოს მთელი მოსახლეობა უგზავნის წყევლა-კრულვას, მაგრამ საშველი მაინც არსაიდან არ სჩანს?

რამდენიმე დღის შემდეგ ქართველმა ჟურნალისტებმა და ექსპერტებმა დაასკვნეს, რომ შევარდნაძის ამ სატელევიზიო გამოსვლას გარკვეული პრაგმატული დატვირთვა ჰქონდა და ხელისუფლების ფარული ინტერესების დასაცავად იყო მიმართული. საქართველოს ხელისუფლებამ ჩათვალა, რომ 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნების გაყალბებით გაღიზიანებული ქართული საზოგადოების უდიდესი ნაწილი ქუჩის აქციებში აპირებდა მონაწილეობის მიღებას, რაც აშკარად არ უქმნიდა ხელისუფლებას დადებით პოლიტიკურ ფონს მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალში. იცოდნენ რა, რომ **"შევარდნაძეს დანატრებული"** ხალხის გარკვეულ ნაწილს დაინტერესებდა მისი სატელევიზიო ინტერვიუ და სახლიდან აღარ გამოვიდოდა, ამ ნაბიჯით ხელისუფლებამ ქუჩის აქციების მონაწილეობის მსურველთა რიცხვი მცირედ, მაგრამ მაინც შეამცირა. სწორედ მაშინ მიმდინარეობდა ტელეგადაცემები მიხეილ საკაშვილსა და რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ მედვედევს შორის აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებულ შეხვედრაზე, რაც, მიუხედავად უშედეგობისა, ხალხის დიდ ნაწილს მაინც აინტერესებდა და ქუჩის აქციების მონაწილეთა რიცხვი ამანაც შეამცირა, ხოლო ქართველი ახალგაზრდობის დიდი ნაწილი კი, რომელსაც პოლიტიკურ ბატალიებზე მეტად თეატრალური და საცირკო სანახაობები აინტერესებს, საგანგებოდ მოწყობილ კონცერტზე წავიდა და ხელსუფლებამაც შვებით ამოისუნთქა. ოპოზიციას აშკარად ჩაუვარდა ქუჩის აქცია. ასე რომ, შევარდნაძის სატელევიზიო გამოსვლა იყო არა მის მიერ ჩადენილ მრავალ დანაშაულთა აღიარება და შეცოდებების მონანიება, არამედ ხელისუფლების მიერ დაკვეთილი მორიგი პიარაქცია. მართალია, ედუარდ შევარდნაძე დღეს აღარ მონაწილეობს სახელმწიფოს მართვაში, მაგრამ ხელისუფლება მას მაინც იყენებს საკუთარი მიზნების სასარგებლოდ.

დღეს შევარდნაძე უშუალოდ ვეღარ აკონტროლებს ქვეყანაში მიმდინარე **"შავ"** და **"თეთრ"** პროცესებს, მაგრამ, იგი მაინც ინარჩუნებს სააკაშვილის ხელისუფლების **"ყავარჯნის"** ფუნქციას, რომელიც, სამწუხაროდ, კვლავაც შევარდნაძის მიერ წლობით **"დახვეწილი"** სახელისუფლებო ტექნოლოგიების ერთგული რჩება.

ასე რომ, ედუარდ შევარდნაძე კვლავაც პროდუქტიული პოლიტიკური მოღვაწეა, ოღონდაც ჩრდილოვანი, ხელისუფლებას ჩამოცილებული, მაგრამ არსებული ხელისუფლებისათვის უაღრესად საჭირო და გამოსადეგი.

როგორც ქართველები ამბობენ, ურემი თუ შეშას ვერ მოიტანს, განა თვითონ შეშა არ არის?

მაგრამ მთელ ამ ტელეფარსში ყველაზე ამაზრზენი გახლდათ ის, რომ ტელეწამყვანი ინტერვიუერს აუღელვებლად უხსნიდა, თუ რამდენი ხმა უნდა **"მიეცა"** მას ოპოზიციისათვის, რათა მიხეილ სააკაშვილს და მის გუნდს **"ვარდების რევოლუცია"** არ მოეხდინა და შევარდნაძეს ხელისუფლება შეენარჩუნებინა. ამით კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ სწორედ შევარდნაძემ დანერგა საქართველოში არჩევნების გაყალბების ტექნოლოგია და ამით სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი სისხლის სამართლის დამნაშავეებს შორის. დიდი ახსნა არ სჭირდება იმ ჭეშმარიტებას, რომ არჩევნების გაყალბება სახელმწიფო გადატრიალების ტოლფასი გახლავთ, რადგან ხელისუფლებაში კვლავ რჩება ხალხისაგან საბოლოოდ მოძულებული კრიმინალური ხელისუფლება, რომელიც მხოლოდ საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ მოქმედებს. სახელმწიფო გადატრიალების ორგანიზება კი ყველგან უმძიმეს სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება.

როგორც დიდი მწერალი ბერნარდ შოუ ამბობდა: **"ძალაუფლება კი არ რყვნის ადამიანებს, არამედ ძალაუფლების მწვერვალებთან მოხვედრილი ბრიყვები რყვნიან ძალაუფლებას".** არავის ისე არ მიესადაგება ეს სიტყვები, როგორც ედუარდ შევარდნაძეს და მის პოლიტიკურ მემკვიდრეებს!

ქართულმა საზოგადოებამ საბოლოოდ ირწმუნა, რომ პოლიტიკურ გვამად ქცეულ ედუარდ შევარდნაძეს ჯერ კიდევ ძალუძს არსებული ხელისუფლებისათვის სათანადო სამსახურის გაწევა. ამასაც სრულიად მარტივი ახსნა აქვს: ედუარდ შევარდნაძეს აწუხებს არა ხელისუფლებაში მის მიერ ეშმაკურად მოყვანილი ისტებლიშმენტისათვის პოლიტიკური ავტორიტეტის შენარჩუნება, არამედ საკუთარი ვეებერთელა ქონების ბედი, რომლის ხელშეუხებლობის გარანტიით დაუთმო ამერიკამ მის მიერ გამოზრდილ-გამოკვებილ ახალგაზრდა პოლიტიკოსებს საქართველოს მართვის სადავეები.

საუკუნეთა განმავლობაში საქართველოს მტრობდნენ ხვარაზმელები, არაბები, მონღოლები, ოსმალები, სპარსელები, ლეკები, სხვა ჯურის მომხვდურნი, მაგრამ, ზოგიერთი შაჰ-აბასისნაირი გამონაკლისი მტარვალის გარდა, მათი შემოსევების მიზანი იყო საქართველოს სიმდიდრეთა ძარცვა-მიტაცება და არა მთელი ქვეყნის განადგურება ან გადაყლაპვა. თუ ბოლო პერიოდის მოვლენებს და ქართველთა წინააღმდეგ გამართული ბრძოლის პერიპეტიებს მივადევნებთ თვალს, დავრწმუნდებით, რომ დღეისათვის საქართველოს ჰყავს დაუძინებელი მტერი ედუარდ შევარდნაძე და იგი სწორედ **მტრის** სახელით შერჩება საქართველოს ისტორიას.

რ.შალამბერიძე

ისტორიული მასალები

წითელი წიგნი

პეტრე გელეიშვილი

სადავო არ არის ის ამბავი, რომ ამა თუ იმ სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ საკითხზე რამდენიმე ათეული ადამიანის ურთიერთიდენტური შეხედულება საზოგადოებრივი აზრი გახლავთ. ხოლო საზოგადოებრივი აზრი, რომელიც რომელიმე ქვეყანაში ათწლეულებისა და საუკუნეების მანძილზე არ იცვლება, ამ ქვეყნის ეროვნული იდეად იქცევა ხოლმე. მაგრამ, არც ის სენტენცია გახლავთ სადავო, რომ პოლიტიკურად, გეოგრაფიულად, თუ გეოპოლიტიკურად უსაფუძვლო ეროვნული იდეა ეროვნული ბოდვა უფროა, ვიდრე კლასიკური იდეოლოგიური პასაჟი, რასაც ფარდას ხდის შესანიშნავი ქართველი პუბლიცისტი და სახელმწიფო მოღვაწე პეტრე გელეიშვილი. იგი "ყარიბის" ფსევდონიმით აქვეყნებდა წერილებს. პეტრე გელეიშვილი გახლდათ ფრიად განსწავლული პიროვნება, რომელიც იყო დემოკრატიული საქართველოს პარლამენტის წევრი 1918-1921 წლებში. იგი სიფრთხილისაკენ მოუწოდებდა დემოკრატიული საქართველოს მენშევიკურ მთავრობას ისტორიული მეზობლისა და მეგობრის – რუსეთთან დამოკიდებულებაში, რაც, სამწუხაროდ, გაზიარებულ არ იქნა...

რუსი სამხედრო მეთაურები, რა თქმა უნდა, ეძებდნენ კავშირებს ქურთ სამხედრო მეთაურებთან, რათა ისინი გადმოებირებინათ საკუთარ მხარეზე. ეს საქმე წარმატებით დაგვირგვინდებოდა, სომხებს რომ არ შეეშალათ ხელი, რომლებიც ქალური ეჭვიანობით იყვნენ ატანილები რუსებისა და ქურთების მიმართ. ამის ნათელ მაგალითად გამოდგება ქურთ მეთაურ **რასულ-ბეკ შამშადინოვთან** და მის ცხრა ნათესავთან დაკავშირებული ისტორია.

ეს გავლენიანი ქურთი მეომარი თავის ცხრა ნათესავთან ერთად გამოცხადდა ერევნის გარნიზონში და რუსების მხარეზე გადმოსვლის სურვილი გამოთქვა. ამ გარემოებამ დადებითად იმოქმედა ერევნის რუსული რაზმის მიერ ჩატარებულ ოპერაციაზე და, რაც მთავარია, ქურთთა რაზმებმა შეწყვიტეს წინააღმდეგობა რუსეთის არმიის მიმართ, დატოვეს ბრძოლის ველი და ოჯახებში დაბრუნდნენ, მაგრამ რაოდენ დიდი იყო მათი აღშფოთება, როცა მშობლიური სოფლები სომხების მიერ აკლებული და გაძარცული დახვდათ. რა გასაკვირია, რომ ამის შემდეგ **შამშადინოვი** თავის თანამებრძოლებთან ერთად თურქეთში დაბრუნებულიყო და შური ეძია სომხებზე. სომეხ მეომართა ამ უმსგავსო საქციელს ემსხვერპლა თურქეთის სომეხთა მშვიდობიანი ნაწილი – ორმა ქურთმა ბელადმა **სადიმმა და ჰუსეინმა** თავიანთი რაზმებით ამოხოცეს სომხური სოფლების მოსახლეობა და მიწასთან გაასწორეს მათი სოფლები.

მსოფლიო ომმა ყველაფერი ყირაზე დააყენა – გუშინდელი მეგობრები მტრად მოეკიდნენ ერთმანეთს. ომმა სიგიჟემდე მიიყვანა თვით ცივილიზებული ქვეყნებიც კი. მაგრამ ისეთი საბედისწერო შეცდომა, როგორიც იყო სომხური მოხალისეთა რაზმების შექმნა, არავის არასოდეს დაუშვია ამ ომის ისტორიაში. არავის, გარდა სომეხთა ლიდერებისა, არ გაუკეთებია იმხელა სისულელე, რომ თავისი ხალხი კისერგაშვერილი დაეყენებინა ხმალმომარჯვებული თურქების წინაშე.

საჭირო არ არის იმის მტკიცება, რომ სომეხთა რაზმების შექმნა თურქეთის სომეხთა დიდი ღალატი იყო, რომლებიც მანამდე მშვიდად ცხოვრობდნენ თურქეთის სახელმწიფოში ქურთებისა და თურქების გვერდით. მაგრამ, სომეხთა თავგახურებული ლიდერები უფრო შორს წავიდნენ. იმიტომ, რომ მსოფლიოსათვის დაემტკიცებინათ თავიანთი საქციელის მართებულობა, ისინი აიძულებდნენ თურქეთის სომხურ მოსახლეობას, რომ ეწარმოებინათ ძირგამომთხრელი საქმიანობა მათ სამშობლოს – თურქეთის წინააღმდეგ.

აი, როგორ გულუბრყვილოდ აღწერს სომეხთა ამგვარ **"დამსახურებებზე"** კათალიკოსი **გეურქ მეხუთე ვორონცოვ-დაშკოვისადმი** გაგზავნილ წერილში:

"სომეხი მოსახლეობა ხატებით ხელში გამოდიოდა რუსი ჯარის შესახვედრად. სომხები რუსების გულღია მასპინძლები იყვნენ რუსეთ-თურქეთის 1877-78 წლების ომში. ასე ხდება ახლაც, რუსეთ-თურქეთის მიმდინარე ომის დროს".

ამრიგად, სომეხი ლიდერები ღიად მოქმედებდნენ იმ ქვეყნის წინააღმდეგ, სადაც მათი თანამემამულეები ცხოვრობდნენ, რაც თურქების რისხვას იწვევდა. სწორედ ამიტომ ისმის შეკითხვა, თუ რატომ ესხმოდნენ თავს თურქები სომხებს და სრულებით არ აწიოკებდნენ თურქეთში მცხოვრებ ბერძნებს, როცა ასევე გააფთრებული ომი მიმდინარეობდა თურქეთსა და საბერძნეთს შორის. პასუხი მარტივია – ამ ომში თურქეთის ბერძენი მოსახლეობა იქცეოდა კორექტულად და ლოიალურად და სრულ ნეიტრალიტეტს იცავდა. იგი არავითარ მონაწილეობას არ იღებდა ომში, ხოლო გარკვეული სიმპატიები მათ დანაშაულად არ ეთვლებოდათ.

თურქეთის სომხური მოსახლეობა კი, მათი ლიდერების კარნახით, ღიად იბრძოდნენ თავიანთი სამშობლოს მტრების მხარეს, რაც იქცა კიდეც თურქებისა და ქურთების რისხვის მიზეზად. და ამას ჩადიოდა სომხეთის საზოგადოების საუკეთესო ნაწილი...

სომხების უბედურების მიზანს კი გავეცანით, მაგრამ, ვიცით რაიმე ქურთების თაობაზე? მათაც ხომ ასევე დაუნდობლად უსწორდებიან?

რატომ არ აქცევს ყურადღებას ცივილიზებული სამყარო ამ პატარა ერს? იქნებ, მათ არ შეუძლიათ პრესის დაქირავება, რათა მთელ მსოფლიოს უკიჟინონ საკუთარ დამსახურებებზე კაცობრიობის წინაშე? ჩვენ ბევრს ვწერდით თურქეთის სომეხთა დახოცვაზე, მაგრამ, არასდროს გვიწერია იმაზე, რომ თურქები ერთიანად ანადგურებდნენ ქურთთა სოფლებსა და დასახლებებს.

ჩვენ სრული უფლება გვაქვს ვივარაუდოთ, რომ მომავალი ისტორიკოსი აღწერს სომეხთა რაზმების დამსახურებას რუსეთ-თურქეთის ომში და მას შეამკობს არა დაფნის გვირგვინით, არამედ იმ ნანგრევებით, რაც ამ ორგანიზაციათა საქმიანობის შედეგად დარჩა თურქეთის სომხური სოფლებისაგან.

VII. მცირე სტატისტიკა

როცა ამ მოვლენებზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა მოვიხსენიოთ თურქეთის სომხებთან დაკავშირებული სტატისტიკა. მაგრამ, სამწუხაროდ, ამგვარი სტატისტიკა არ არსებობს, რადგან ვილაიეთებში დაწვრილებითი აღწერა არ ჩატარებულა, ცალკეული ცნობები კი არაზუსტი და გადაჭარბებულია. შედარებით ზუსტია **მაევსკის** მიერ მოწოდებული ცნობები ბითლისის და ვანის ვილაიეთების თაობაზე. მთელ ბითლისის ვილაიეთში მცხოვრებთა შემადგენლობა შემდეგნაირად ნაწილდებოდა: თურქები – 5%, ქურთები – 55% და სომხები – 39%, ხოლო ვანის ვილაიეთში იყვნენ თურქები – 9%, ქურთები – 47% და სომხები – 26%. აქ მცხოვრებთა 17 პროცენტს შეადგენდნენ ნესტორიანელები და 1 პროცენტს – იეზიდები.

ამ სტატისტიკიდან ჩანს, რომ აღნიშნულ ვილაიეთებში ბევრად მეტი ქურთი ცხოვრობდა, ვიდრე სომეხი. ამის მიზეზი გახლდათ, რომ აქ სომხებმა დაივიწყეს მშობლიური ენა და მხოლოდ ქურთულად ლაპარაკობდნენ.

VIII. დამღუპველი სეპარატიზმი

ასეთ პირობებში, ხალხის ასაყოლიებლად, ნებისმიერ პარტიას დიდი ძალისხმევა ჭირდებოდა. სომეხთა ლიდერები კი სხვაგვარად მოიქცნენ და ეს მაშინ, როცა იქაური სომხური მოსახლეობა უმრავლესობას არ შეადგენდა. მსოფლიოში არ მოიძებნება თუნდაც ერთი ჭკვიანი პოლიტიკოსი, რომელიც მოისურვებს სოციალური რეფორმების გატარებას აბსოლუტური უმცირესობისათვის, მაშინ, როცა უმრავლესობა საერთოდ არ ფიქრობს ამაზე.

ერთ ნაპოლეონს შეუძლია აიყოლიოს მილიონობით ჯარისკაცი, მაგრამ სოციალურ სფეროში არ შეიძლება, რომ უმცირესობა ბატონობდეს უმრავლესობაზე. რევოლუციურმა მოღვაწეებმა ეს კარგად იცოდნენ და პროპაგანდის გზით ცდილობდნენ უმრავლესობის განწყობის მოპოვებას, მაგრამ არა ეთნიკური ნიშნის მიხედვით. სომეხმა რევოლუციონერებმა კი მოღვაწეობის დასაწყისიდანვე უარყვეს თურქთა და ქურთთა და იმ ქრისტიანთა აბსოლუტური უმრავლესობაც კი, რომლებიც საუკუნეთა განმავლობაში ცხოვრობდნენ თურქეთის სომეხთა გვერდით.

არა და სომხებს გააჩნდათ ქურთების მხარდაჭერის აშკარა შესაძლებლობა, რადგან მათ დიდად არ ეპიტნავებოდათ თურქი ხელისუფალნი.

ქურთები და სომხები რომ გაერთიანებულიყვნენ, მათი მოძრაობა უფრო ქმედითუნარიანი გახდებოდა. სომხები კი იმ პროგრამით მოვიდნენ, რაც გამორიცხავდა სხვა ერების მხარდაჭერას, რამაც შუაზე გახლიჩა თვით თურქეთის სომეხთა ერთსულოვნებაც და ამის ძირითადი მიზეზი დაშნაკთა პროგრამა გახლდათ. სწორედ მათმა ორწლიანმა ჯაფამ გამოიწვია ქურთთა და სომეხთა დაპირისპირება, რაც შემდეგ ჯოჯოხეთად ექცა თურქეთის სომხურ მოსახლეობას. არსებობს იმის დამადასტურებელი მრავალი ჩანაწერი, თუ როგორ ძარცვავდნენ ქურთები სომხურ სოფლებს, მას შემდეგ, რაც ქურთი შეიარაღებული რაზმები ამ სოფლებს მოსახლეობისაგან დაცლიდნენ.

და ეს ყველაფერი გახლდათ სომეხი ლიდერების **"დამსახურება"!**

IX. სომხების მოღვაწეობა, ფრონტზე, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში

არც სომხური საზოგადოებრივი ორგანიზაციები გამოირჩეოდნენ კარგი ყოფაქცევით ფრონტებზე. **ვორონცოვ-დაშკოვის** მხარდაჭერისა და სომხური ორგანიზაციების მიერ ჩატარებული მოსამზადებელი სამუშაოების წყალობით, ომის დაწყებისთანავე სომხები კავკასიის ფრონტის ბატონ-პატრონებად იქცნენ. მათ საკუთარი ხალხით შეავსეს ფრონტის მომსახურე საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მათი საქმიანობა ეროვნულ მიზნებს დაუქვემდებარეს. მაგალითად, ვანის რაიონში მომსახურე 231-კაციანი პერსონალიდან 214 იყო სომეხი, 7 რუსი, 6 ქართველი და 4 ინგლისელი. სომხებს ეკავათ ძირითადი პოსტები და იღებდნენ მაღალ ხელფასებს, რუსები და სხვები კი დასაქმებული ჰყავდათ მეჯინიბეებად, მზარეულებად და დეზინფექტორებად. 4 ინგლისელიდან 1 გახლდათ ექიმი, სამი კი სანიტარი, მაგრამ მათ მალე დასტოვეს სამუშაო ადგილი, რადგან ძალზე უძნელდებოდათ სამსახური.

მართალია ეს ორგანიზაციები რუსეთის სახელმწიფოს სახსრებით არსებობდნენ, მაგრამ მთლიანად იყვნენ გადასულები სომხური საქმის კეთებაზე. ამასვე ადასტურებს ვანის გარნიზონის უფროსის გენერალ **ვორონოვის** წერილი:

"აქ ყველა ორგანიზაცია სომხების ხელშია თავმოყრილი. ინიღებებიან რა ქველმოქმედების ნიღბით, ისინი ემსახურებიან მხოლოდ სომხურ საქმეს. რუსული ფულით დახმარება სომხების მიერ გაწეული დახმარების სახეს იძენს. სომხები იმდენად არიან გათავხედებულები, რომ უარს ამბობენ დაჭრილი რუსი ჯარისკაცების მოვლაზე და მხოლოდ სომხებს უვლიან. იმ სოფლებში, რომლის მოსახლეობის ნახევარი სომეხია, მეორე ნახევარი კი ქურთი, ეხმარებიან მხოლოდ სომხებს. სხვადასხვა პოლიტიკურ ორგანიზაციებს პოლიტიკური დევნილების სტატუსით გადმოყავთ რუსეთიდან სომეხი ეროვნების ადამიანები, რათა დაეუფლონ გაუკაცრიელებულ თურქულ ტერიტორიებს".

იგივეს ადასტურებენ სხვა ავტორიტეტული პიროვნებებიც.

"ერთ სახლს რამდენიმე სომეხი პატრონი ჰყავს, რომლებიც აღჭურვილი არიან სხვადასხვა სახის მოწმობებით" – აღნიშნავს თავის პატაკში 479-ე მოძრავი ჰოსპიტალის მთავარი ექიმი **ანდრუსი**.

მედიცინის დოქტორი **პავლოვსკი** ხელს ადებს ექიმ ქალბატონ **ეგიაზარიანს,** რომელიც არასოდეს უწევდა დახმარებას დაჭრილ რუს ჯარისკაცებს და ხმამაღლა აცხადებდა, რომ **"იგი უნდა ემსახუროს მხოლოდ სომეხი ხალხის ინტერესებს".**

და კიდევ **ანდრუსის** ერთი ჩანაწერი: **"მაშინ, როცა ჰოსპიტალს არ ჰყოფნიდა საქონლის ხორცი და ავადმყოფებს მხოლოდ კვირაში ორჯერ ვაწვდიდით შემცირებულ ულუფას, სომხები უხვად მარაგდებოდნენ ქალაქთა კავშირებიდან საქონლით, რომელსაც კლავდნენ და ბაზრებში ჰყიდდნენ ფუნტს 65 კაპიკად".**

და ამის შემდეგ რა ფასი უნდა ჰქონოდა სომხების მიერ **ვორონცოვ-დაშკოვისადმი** იმის შეფიცვას, რომ **"სომეხი ხალხი გულში იკლავს საკუთარ სევდას და ერთგულად ემსახურება რუსეთის იმპერიის ინტერესებს".**

ვერაფერი მსახურებაა იმპერიის ინტერესებისადმი, როცა ჰოსპიტალში ავადმყოფები შიმშილობენ, ადგილობრივ მოსახლეობას კი უხვად ურიგდება მსხვილფეხა საქონელი სასპეკულაციოდ.

ამ დროს ცნობილი წერილის შემდგენი ავტორები **მესროპი-ხატისოვი-არუთინოვი** აღნიშნავდნენ, რომ **"ვანიდან უკანდახევისას გენერალ ტრუხინის კაზაკთა რაზმმა დიდი სითბო გამოხატა სომეხი ბავშვების მიმართ, რომლებიც ცხენზე შეისვეს და ამრიგად გაარიდეს სახიფათო ადგილებს".**

ამის პასუხად კი მედიცინის დოქტორი **პავლოვსკი** აღნიშნავს, რომ **"სომხები უფრო მტრულად არიან განწყობილი რუსების მიმართ, ვიდრე ჩვენი მოწინააღმდეგე ქურთები".**

არც თუ კარგად დაახასიათა სომხები მათი მუდმივი მფარველი – ამერიკის წარმომადგენელმა დოქტორმა **ბროტმა,** რომელმაც დილიჯანში გამართულ ბანკეტზე ხმამაღლა განაცხადა: **"მე უკვე ხუთი თვეა, რაც აქ ვმუშაობ და ამ ხნის განმავლობაში შევხვდი მხოლოდ 6 წესიერ სომეხს. დანარჩენები კი იყვნენ არასაიმედოები, ცხენის ქურდები, ზნედაცემული და უწესო ადამიანები, რომლებიც იღებენ დახმარებას ამერიკული კომიტეტიდან, ან მუშაობენ იქ".**

როგორც ჩანს, ბევრი დაშნაკი ლიდერი ძარცვავდა არა მხოლოდ რუსებს, არამედ საკუთარ ხალხსაც.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციები

აგვისტოს ომის შემდეგ საქართველოს ეკონომიკა წელში ვეღარ გაიმართა, რამაც ერთობ დააფრთხო უცხოელი ინვესტორები. ამან კი მკვეთრად დასცა ეკონომიკური განვითარების ტემპები, რომელიც 2007 წელს 2,4 პროცენტს შეადგენდა. აგვისტოს ომამდე იყო იმის მოლოდინი რომ საქართველოში შიდაპროდუქციის წარმოების მოცულობა 2008 წელს რვა პროცენტით გაიზრდებოდა, მაგრამ ეს პროგნოზი არ გამართლდა და ქვეყანა სრული ეკონომიკური კოლაფსისაგან მხოლოდ იმან იხსნა, რომ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებმა საქართველოს დახმარების სახით 4,5 მილიარდი დოლარი გამოუყო. ამ მოსაზრებას იზიარებს საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე მასუდ აბასი.

მაგრამ, როგორც კახეთში ამბობენ, სოფელი რაც უნდა დიდი იყოს, მესერი სადმე მაინც დამთავრდება და მერე რას წაავლებენ ხელს თავის საშველად ჩვენი ხელისუფლების მრჩეველი **"ბრძენი"** ეკონომისტები, იმასაც ვნახავთ.

მანამდე კი იმის იმედით უნდა ვისულდგმულოთ, რომ საქართველოს სრულიად მაინც არ შთანთქავს საერთაშორისო ეკონომიკური კრიზისი, რადგან ყველა ჭირი და უბედურება ისევ გაჭირვებული ხალხის კისერზე გადაიკიდოს. რაც შეეხება ხელისუფლებას და მას მიკედლებული ნომენკლატურული ბიზნესის წარმომადგენლებს, მათ კრიზისი დიდად არ შეაწუხებთ, რადგან ნაქურდალ-ნაოხრალი საქართველოს გარდა უცხოეთის ბანკებშიც აქვთ გადანახული და **"აქ"** თუ ქვეყანა დაიქცა, **"იქიდან"** მაინც მოახერხებენ საკუთარი ოჯახის წევრებისათვის სასათბურე პირობების მოწყობას.

ასე რომ, ჩვენ ვიკითხოთ...

სამეგრელო და სვანეთი

კორნელი ბოროზდინი



ამ წიგნის ავტორის, კორნელი ბოროზდინის სამსახურეობრივი კარიერა კავკასიაში დაიწყო. იგი ჯერ მთავარმართებლის კანცელარიაში მუშაობდა, შემდეგ კი (1854 წელს) სამეგრელოს დედოფალთან მიავლინეს მიწერ-მოწერის საწარმოებლად და მისი შვილების აღმზრდელად. 1858 წელს დაინიშნა სენაკის ოლქის უფროსად, სადაც 1867 წლამდე იმსახურა. სწორედ აქ გაეცნო იგი სამეგრელოს მოსახლეობის ყოფას, რომელიც საინტერესოდ აღწერა თავის წიგნში. ბოროზდინის მოგონებებში საკმაოდ ვრცლად არის გადმოცემული ოსმალეთის ჯარების მიერ სამეგრელოს აწიოკება, რომელიც შემდეგ რუსმა ჯარისკაცებმა ალაგმეს.

მეორე წერილის მუქარის კილომ შეაშინა დედოფალი, მით უფრო, რომ თავად ბებუთოვისაგან ჯერ კიდევ არა ჰქონდა მიღებული წერილი და დარიგება, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო. ეს წერილიც მაშინათვე თავადს ბებუთოვს გაუგზავნა დედოფალმა. ამასობაში, ქვემო-სამეგრელოდან მეტად სამწუხარო ამბები მოდიოდა.

სამეგრელოს მოსაზღვრე სამურზაყანო ოსმალების საფაშალიყოდ გადაიქცა და ფაშად დანიშნულ იქნა რუსეთის მხედრობის გენერალ-ლეიტენანტის მომხრე კაცი მარღანია, რომელიც ოსმალების მხარეს გადავიდა. კაცი მარღანიას დიდი სახელი და გავლენა ჰქონდა აფხაზეთსა, წებელში და საერთოდ მთიელებს შორის; ამან სამურზაყანოელებს თავი მოუყარა ინგურის ნაპირას, სოფ. ჭუბურხინჯში, და გამოუცხადა, ამიერიდან ოსმალეთის ქვეშევრდომებად ირიცხებით და ვალდებულნი ხართ თითოეულმა სოფელმა თითო ძროხა იხადოთ და ოსმალების ბანაკში მოიყვანოთ ჯარისათვისო. როგორც სხვა თავადები სამურზაყანოსი, კაცი მარღანია აფხაზეთის მთავრის გავლენას ქვეშ იყო. ხოლო მთავარმა მეგობრული განწყობილება დაიჭირა ომერ-ფაშასთან, ეს უკანასკნელი სოხუმში მოვიდა თუ არა. აფხაზეთის მთავრის მიხეილ (ჰამუთბეი) შარვაშიძის მომხრენი გულმოდგინედ ცდილობდნენ სამეგრელოს მკვიდრნი ოსმალეთის მხარეზე გადაეყვანათ. ამასობაში, ომერ-ფაშის ჯარი ზუგდიდიდან ონტოში მივიდა და ხალხი მეტად შეაწუხა მისმა გავლამ. ჯარს უკან კუდად მოსდევდნენ აფხაზები, წებელდელნი, უბიხები და ყველა ვინგინდარა, რომელნიც სოფლებს მოედვნენ, დაუწყეს რბევა-წიოკება მკვიდრთ, ქალები და ყმაწვილები ტყვედ მიჰყავდათ; ამისთანა უბედურება სამეგრელოს ას-ორმოცდა-ათის წლის წინად-და დაატყდა თავზე. მართალია, ომერ-ფაშა, რაც შეეძლო, ცდილობდა ხალხისათვის ეს უბედურება თავიდან აეცილებინა: ვისაც რბევაზე მიუსწრებდენ, უცბად ასამართლებდენ და ტყვიითა ხვრეტდენ, ან ტომარაში ჩააგდებდენ და წყალში ახრჩობდენ; მაგრამ ალაგობრივ უფროსი და ხალხის პატრონი არავინ იყო და ომერ-ფაშასაც არ შეეძლო ყველასათვის თვალყური ედევნებინა და ამიტომ მთელმა სოფლებმა სახლ-კარს თავი დაანებეს, ტყესა და მთებში გაიხიზნენ და რაც მოხვდებოდათ, იმით იკვებებოდნენ.

რბევა-წიოკობის დროს, სხვათა შორის, მოასწრეს ორს ძმა-აფხაზს თავად გიტა და მაჟარა შარვაშიძეს და ომერ-ფაშას მიჰგვარეს. მათმა დედამ, კნეინა კესარიამ, ეს ამბავი გაიგო თუ არა, მიუხედავად მოხუცებულობისა, ლეჩხუმის ჯოჯოხეთურ გზებით დედოფალთან მივიდა მურში, მუხლებზე მოეხვია და სთხოვა, ომერ-ფაშას შეიბრალე ჩემი შვილებიო. დედოფალმა რის ტანჯვით დააჯერა კესარია, მე ამ შემთხვევაში არაფერი შემიძლიაო. და რომ როგორმე ენუგეშებინათ, ომერ-ფაშასთან ფრანგულად თხოვნა დაუწერეს და ურჩიეს თქვენ თვითონ წაბრძანდით და პირადად სთხოვეთ ომერ-ფაშას შვილების შებრალებაო. ომერ-ფაშამ კნეინა კესარია დიდის პატივით მიიღო, ძვირფასი შალი აჩუქა, შვილებიც ჩააბარა და პატიოსანი სიტყვა ჩამოართვა, სანამ ომი არ გათავდება, თქვენ არ უნდა მოიშოროთ თქვენი შვილებიო.

ომერ-ფაშა ასეთის ქცევით და, საზოგადოდ, თავად-აზნაურობის მოფერებით ცდილობდა მცხოვრებთა გული მოეგო, ბევრს მათგანს რჩევა-დარიგებასა სთხოვდა, მაგრამ მასთან, რა თქმა უნდა, აფხაზეთის მთავრის მომხრეთა გარდა, ვინც მოდიოდა, ყველანი თავისს პირადს ინტერესს ეძიებდენ და ცდილობდნენ ომერ-ფაშა თავის გემოზე ეტარებინათ. ერთი ამ გვართაგანი იყო თავადი გიორგი ჩიჩუა, რომელსაც თავისის წარსულის ცხოვრებით სახელი გატეხილი ჰქონდა. თავადი ჩიჩუა ტფილისში ვექილად იყო სამეგრელოის მთავრისა, აქ მეგრელების გუნდი შეადგინა და მთელი ქალაქი ქურდობით აიკლო; მაგრამ პოლიციამ გაუგო, ქურდები დაიჭირა, და ჩიჩუა კი იძულებული შეიქნა აქედან გაქცეულიყო; როცა ომერ-ფაშა სოხუმში ამოვიდა, ჩიჩუა მივიდა პირდაპირ, რადაც მიკიბ-მოკიბა და თავისი თავი წამებულ კაცად დასახა. ომერ-ფაშას მისი ნათქვამნი მართალი ეჩვენა და გ. ჩიჩუა, რომელიც წარმოსადეგი ვაჟკაცი იყო, მოწყალედ მიიღო, მეჯიდიეს ორდენი და ბეის ტიტული უბოძა.

ზუგდიდიდან აყრის დროს გ. ჩიჩუა პირადის მტრობით ომერ-ფაშას ორი რუსი მზვერავი იუნკერი მესხიშვილი და მილიციის ზარანოვი დააჭერინა და დაახვრეტინა. მაგრამ თავადს ჩიჩუას დიდხანს არ უღიმოდა ბედი. ომერ-ფაშასთან გრაფ ჟანტი დე-როზმურდუკის მისვლა და გ. ჩიჩუას გაგდება ერთი იყო. ეს ფრანგი სამეგრელოში სცხოვრობდა და აბრეშუმის სახვევი ქარხანა ჰქონდა ზუგდიდში. ომმა ხელი შეუშალა, თავისი ქარხანა დაჰკეტა და ხუთას თუმნამდე ზარალი მოუვიდა. ომის დაწყებამდე, როგორც სხვა უცხო-ქვეყნელებს, გრაფ როზმურდუკსაც წინადადება მისცეს: ან ომის გათავებამდე სამშობლოში დაბრუნდით, ან, თუ გნებავთ, სამეგრელოში დარჩით რუსეთის სახელმწიფოს მფარველობის ქვეშე, მაგრამ ომში მონაწილეობა არ მიიღოთ. როზმურდუკი სამეგრელოში დარჩა, ხელწერილი ჩამოართვეს, მაგრამ ომერ-ფაშა შემოვიდა თუ არა, მის ბანაკისაკენ გასწია. რა თქმა უნდა, ასეთის კაცის ნახვა ომერ-ფაშას ძალიან გაეხარდა, ამიტომ რომ როზმურდუკი მშვენივრად იცნობდა ამ მხარეს და მისთა მკვიდრთა, მთავრის ოჯახობიდან მოყოლებული, და მეგრულადაც ლაპარაკობდა. და აი სწორედ როზმურდუკმა აუხილა თვალები ომერ-ფაშას თავად გიორგი ჩიჩუას შესახებ. ჩიჩუამაც, რასაკვირველია, მაშინათვე დათხოვნილ იქნა. ტიტულებითა და ორდენებით რამდენიმე თავადიშვილი იყო დაჯილდოვებული, ამათს შორის ყველაზე უფრო ომერ-ფაშა გიორგი ჯაიანს ეფერებოდა, რადგან მისის ქალის შერთვა უნდოდა ცოლად, მაგრამ ამავე დროს ხასა გაიჩინა, რომელიც 3.000 მანეთად იყიდა; ეს ქალი მთელის ლაშქრობის დროს თან დაჰყავდა და შემდეგ ქობულეთის მუდირს მიათხოვა და კარგი მზითვიც მისცა.

ომერ-ფაშისა და თურქების მოქმედების ამბავი დაწვრილებით მოსდიოდა დედოფალს, ამასთან ერთად ყოველ დღე ახალ-ახალი ჭორები ესმოდა. მეტად უხერხული ფერი ედებოდა მისს მდგომარეობას, განსაკუთრებით მაშინ, როცა მეტად არასასიამონვო ხმა მოვიდა. აი მითქმა-მოთქმის შინაარსი: "ნეტავ ვიცოდეთ, ომერ-ფაშის თხოვნას რატომ არ ასრულებს დედოფალი და რატომ არ მიდის მასთან; ლეჩხუმში რა დარჩენია? რუსის ჯარი სამეგრელოდან გავიდა და ჩვენის დაცვისათვის არც კი ჰფიქრობს; მაშასადამე, ჩვენსა და რუსებს შორის დადებული პირობა თვითონ რუსებმავე დაარღვიეს. ომერ-ფაშას იმდენი ჰყავს ჯარი, რომ რუსეთი ვერაფერს გაუბედავს და სამეგრელოს თავის დღეში ვერ დაიბრუნებს; სარდალი გვეუბნება, ახლა უკეთესად იქნებით, ვიდრე რუსების ხელში იყავითო; ბატონი არავინ გეყოლებათ და ფრანგები და ინგლისელები დაგიფარავენ მტრისგანაო. აქ ევროპის ვაჭრები დაიწყებენ სიარულს. აქაურს საქონელს გაგვისაღებენ და ბევრს ფულს შემოიტანენ ჩვენს მხარეშიო. დედოფალს კი რადაც იმედი აქვს რუსებისა; აბა ახლა რაღა შეუძლიათ რუსებსა: ყარსიც კი ვერ აუღიათ, რამდენიმე ათასი კაცი შეაკლეს ამ ციხესა. დროა, გონს ჩავარდეს და ზუგდიდში წავიდეს. ჩვენთვისაც უკეთესი იქნებოდა და იმითვისაცო".

სულ სხვას ამბობდნენ ქუთაისსა და რუსის ბანაკში, და ეს ხმებიც მოდიოდა მურში, საცა დედოფალი იმყოფებოდა. აქ ყველანი დაბეჯითებით ამბობდენ, დედოფალმა პირდაპირ გამართა მიწერ-მოწერა ომერ-ფაშასთან და მოლაპარაკება აქვთ – სამეგრელო რუსეთს ჩამოაცალონო. ამბობნდენ, დედოფალს მდივანბეგი და დაახლოვებულნი მისის სახელით ხალხს ურჩევენ ოსმალების მორჩილებასაო; დედოფალი სრულებით დამოუკიდებლად იქცევა, თითქო სამეგრელოში არც კი იყოს მტრის ჯარი, რომელიც ყველაფერში ხელს უმართავსო.

და ყოველსავე ამას სწორედ მაშინ ლაპარაკობდენ, როცა ომერ-ფაშა ამაოდ ცდილობდა თავისის მუქარით დაეშინებინა დედოფალი და სთხოვა: სამეგრელოში საშინაო წესი და მმართველობა აღმიდგენინეო. ვინც უნდა კერძო კაცი მისულიყო სარდალთან, მაშინათვე იტყოდნენ, დედოფლის მიგზავნილია და ჩუმ-ჩუმად რაღაცას ახერხებსო. ამ დროს სამეგრელოში სცხოვრობდა მეორე ცოლი აფხაზეთის მთავრის, თავადის მიხეილ შარვაშიძისა, კნეინა მენიკი დადიანის ასული. როგორც კი გაიგო, ომერ-ფაშამ სამეგრელო დაიჭირაო, თავისი ხელით აბრეშუმის ძაფით მოქარგული ბალიში გაუგზავნა საჩუქრად. განზრახვა მარტო ის იყო, რომ ოსმალების სარდალს გაეგო, აი რა დიდი ვინმე გვამი სცხოვრობს სამეგრელოშიო. ამ საქციელსაც კუდი გამოაბეს და ამბობდენ, დედოფალმა, როგორც ნათესავმა, ურჩია მენიკს საჩუქრის გაგზავნაო; მაგრამ ამავე დროს, ავიწყდებოდათ, რომ მურიდან სკურდუმდე, სადაც კნეინა შარვაშიძე სცხოვრობდა, თითქმის ასის ვერსის მანძილი იყო და ფიზიკურად შეუძლებელი იყო ერთმანეთი ენახნათ ამ დროს დედოფალსა და მენიკს. ყველა ისე აყაყანდა, დედოფალმა რუსეთს უღალატაო, რომ ამ ამბის ავტორმა, რუსის მოხელემ, დედოფალთან მყოფმა, ქუთაისიდან შემდეგი ბარათი მიიღო, ფანქრით გერმანულად დაწერილი: **გერმანულად გწერთ, ამიტომ რომ ვერავინ გაიგებს, რასაც გეტყვით: ყველაფერს თავი დაანებეთ და აქეთ წამოდით. თქვენ არ უნდა დარჩეთ იქ. ამის მეტს არაფერს გეტყვით".**

დედოფალი სულით და გულით რუსის მომხრე იყო და ამ უგვან ცილისწამებას ზიზღით უყურებდა. ძალიან იმაგრებდა გულს და ხანდისხან მაინც წამოადგებოდა თვალებზე სიბრაზის ცრემლები. მაინც თავს ძალას ატანდა, ისმენდა, ითმენდა და თავს ისე აჩვენებდა ყველას, თითქო არაფერი ესმის და ვერაფერს ამჩნევსო. მის ერთადერთ ნუგეშს შვილები შეადგენდენ, რომლებიც, საბედნიეროდ, სიმრთელით კარგად იყვნენ და დარდი მათს ჩვილს გულს არ ეკარებოდა.

გიორგობისთვის ოცს, იმდენი ხნის მოუთმენლად ლოდინის შემდეგ, როგორც იყო, მოვიდა თავადის ვასილ ბებუთოვის პასუხი. ამ პასუხს იმიტომ დაუგვიანდა, რომ ბებუთოვს არ უნდოდა თვითონ გარეულიყო დედოფლის საქმეთა გადაწყვეტაში და დედოფლის წერილები ყარსში გაუგზავნა ნიკ. მურავიოვს. ამბობენ, რომ როცა მურავიოვმა ომერ-ფაშის პირველი წერილი წაიკითხა და იქიდან გაიგო, რომ მთავრის შვილი ნიკო ზუგდიდშია და ომერ-ფაშა "დედოფლის მაგივრად თავის ქვეყნის მმართველი" ეძახისო, თავზე ხელი იტაცა და წამოიძახა: "ღმერთო ჩემო, რა უქნია ამ ადამიანს? თავისი შვილი ომერ-ფაშასთან გაუგზავნია"! მურავიოვს ეგონა, რომ ნიკო, რომელსაც ომერ-ფაშა იხსენებს თავის წერილში, მცირეწლოვანი მთავარია სამეგრელოსიო. ამ ამბავმა ძალიან ადაშფოთა, და სანამ ბებუთოვისაგან ხელახლა არ მიიღო წერილი და ყველაფერი ნამდვილად არ გაიგო, არ დამშვიდებულა.

ასე იყო, თუ ისე, ბებუთოვმაც იგივე მოსწერა, რაც მუხრან-ბატონმა, – შვილები წამოიყვანეთ სამეგრელოდან და ტფილისში წამობრძანდითო.

ამის ასრულება ახლა უფრო უმძიმდა დედოფალს. ახლა მარტო იმერეთით შეეძლო დედოფალს გადასვლა, რადგან თურქები აქეთკენ ჯერ არ იყვნენ. მაგრამ ჯერ ერთი, გზა მთებზე გადიოდა, მეორეც ისა, რომ მთები თოვლით დაიფარა და უბავშვებოდაც სჭირდა გადასვლა. თავადები უარზე იდგნენ, მცირეწლოვან მთავარს აქედან არ გავუშვებთო: "ჩვენ სრულებით არ გვინდა ომერ-ფაშის დაყენებული მთავარიო". ხოლო ომერ-ფაშა გაიგებდა თუ არა, დედოფალი თავის შვილებითურთ აქედან წავიდაო, მაშინათვე სხვას აღიარებდა სამეგრელოს მთავრად. ბებუთოვისათვის ადვილი იყო რჩევა მიეცა დედოფალისათვის, მაგრამ, ვიმეორებთ, ამ რჩევის ასრულება იყო ძნელი.

თუ არა და, მთავარმართებელის სურვილის აუსრულებლობაც არ შეიძლებოდა. ეს ურჩობა იქნებოდა დედოფლის მხრივ და იძულებული გახდებოდა პასუხი ეგო. ამ ორჭოფ მდგომარეობაში დიდხანს დარჩენაც არ შეიძლებოდა, მაგრამ საქმე ის იყო – რომელ გზას დასდგომოდა, რომელი აერჩია? სხვა სხვის ომში ბრძენიაო, უთქვამს ხალხს. მეტად აღელვებული იყო დედოფალი, ღონეს, ისის იყო, უნდა ემტყუვნა... მაგრამ ერთბაშად ისეთი ამბავი მოუვიდა, რომ დედოფალი სამშვიდობოს გზას დაადგა...

როგორც ახლა მახსოვს, გიორგობისთვის 22 მე და ბავშვები ცაგერის მონასტრის წინ ვისხედით და რაღაცას ვუამბობდი. ერთბაშად მურიდან სირბილით მომავალი კაცი დავინახეთ. პირდაპირ ჩემსკენ წამოვიდა და მითხრა: "დედოფალთან წამობრძანდით, რაც შეიძლება, მალე მობრძანდითო".

მე საჩქაროდ წავედი და სახლის ზღურბლზე სახე გაბრწყინებული დედოფალი მომეგება. ხელში გახსნილი წერილი ეჭირა, მაშინათვე გადმომცა და მითხრა; "წაიკითხეთ და გაიხარეთ! ყარსი მთელის თვისის გარნიზონით დაგვნებდა!" ამ ამბავს ჩვეულებრივის რიხითა და ლაკონიურად იწერებოდა პოლკოვნიკი ნ.ჰ. კოლუბიაკინი.

ორისავ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, ყარსი რაკი აიღო რუსის ჯარმა, ომერ-ფაშას და მის გალაშქრებას, ჩვენის აზრით, ფრთები უნდა შეჰკვეცოდა. ახლა მურავიოვს ხელები განთავისუფლებული ჰქონდა, შეეძლო ომერ-ფაშას ჯარი შეემუსრნა და, თუ საჭირო შეიქმნებოდა, თავისს ჯარს გააათკაცებდა.

დედოფალს ვთხოვე, ეს სასიხარულო დღე ვიდღესასწაულოთ და მურის ციხიდან ზარბაზნები დავცალოთ მეთქი. მაშინათვე ბრძანება გასცა დედოფალმა – ზარბაზნები დაცალეთო. შვედურმა ზარბაზანმა იჭექა და ამ ჭექის ხმამ ყველას შეატყობინა – რაღაც სასიხარულო ამბავი მომხდარაო.

გაგრძელება იქნება

გაზეთი "ილორი" უძღვება რუბრიკას "მსოფლიო ჩემპიონატები ფეხბურთში", რომელიც ასახავს მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ბატალიებს.

იტალია 1934 წელი

გიორგი ჯალაღანია მოგითხრობთ მსოფლიოს მეორე ჩემპიონატზე ფეხბურთში, რომელიც 1934 წელს გაიმართა იტალიაში

1934 წლის მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართა იტალიაში. 1930 წლის მსოფლიო ჩემპიონმა ურუგვაის ნაკრებმა უარი განაცხადა ჩემპიონატში მონაწილეობის მიღებაში, მიზეზად კი ის დასახელდა, რომ 4 წლის წინათ ევროპელებმა სამხრეთ ამერიკაში საუკეთესო ნაკრებები არ გაგზავნეს, ასევე 1934 წლის ჩემპიონატში მონაწილეობა არ მიუღიათ დიდი ბრიტანეთის გუნდებს, თუმცა ამას ჩემპიონატის მიმდინარეობაზე დადი არ დაუსვია და 16 მონაწილე ეროვნული ნაკრები მაინც ჩაება ბრძოლაში. კერძოდ იტალია, გერმანია, ჩეხოსლოვაკია, შვედეთი, აშშ, ბრაზილია, არგენტინა, რუმინეთი, ავსტრია, ეგვიპტე, საფრანგეთი, ესპანეთი, შვეიცარია, გერმანია, ჰოლანდია და უნგრეთის ნაკრებები. პირველი მსოფლიო ჩემპიონატისაგან განსხვავებით, სადაც ყველა თამაშები მონტევიდეოში ჩატარდა, პირველობის მატჩები სხვა და სხვა ქალაქებში გაიმართა, ხოლო ფინალი კი რომში. გუნდები ბრძოლაში მერვედფინალიდან ჩაებნენ, რომელშიც ოლიმპიური სისტემით უნდა გამოერჩიათ გამარჯვებული, ხოლო მატჩის ფრედ დამთავრების შემთხვევაში დამატებითი მატჩი გაიმართებოდა მეორე დღეს. იტალიელებმა საკმაოდ კარგად დაიწყეს ჩემპიონატი და პირველსავე შეხვედრაზე აშშ-ს ნაკრები 7:1 დაამარცხეს, ხოლო ბრაზილიისა და არგენტინის ნაკრებები, რომლებიც იტალიელთა მთავარ კონკურენტებად მოიაზრებოდნენ პირველ წრეშივე გამოეთიშნენ ასპარეზობას, არგენტინამ შვედეთთან წააგო 2:3; ხოლო ბრაზილიამ ესპანეთთან 1:3; საინტერესო გამოდგა მეოთხედფინალური მატჩში იტალიასა და ესპანეთს შორის, პირველი შეხვედრა დასრულდა ფრედ 1:1; ამ მატჩში იტალიელები უხეშობას არ ერიდებოდნენ, რის შედეგადაც ესპანეთის ნაკრების 6-მა ფეხბურთელმა, მათ შორის ლეგენდარულმა რიკარდო ზამორამ ტრავმა მიიღეს, დაინიშნა განმეორებითი მატჩი რომელშიც ესპანელებს აკლდა ზემოთ აღნიშნული ფეხბურთელები. ჯუზეპე მეაცას მიერ გატანილი ერთადერთი გოლის წყალობით იტალია გავიდა ნახევარფინალში, რომელთაც დაემატათ, ავსტრიის, გერმანიის და ჩეხოსლოვაკიის ეროვნული ნაკრებები. ნახევარფინალში იტალიელებმა დაამარცხეს ავსტრიელები 1:0; ხოლო ჩეხებმა გერმანიას სძლიეს 3:1; განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ჩეხთა მეკარე – ფრანტიშეკ პლანიჩკა და თავდამსხმელი ნეედლი, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა 5 გატანილი გოლით. ფინალური მატჩი გაიმართა 10 ივნისს, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ არც შვედი არბიტრი ივან ეკლინდი იყო ბოლომდე ობიექტური, – იტალიელთა ხშირ უხეშობას იგი ყურადღებას არ აქცევდა. მატჩის დასრულებამდე 20 წუთით ადრე ჩეხებმა გოლი გაიტანეს, რასაც 4 წუთში იტალიელთა მიერ გატანილი საპასუხო გოლი მოჰყვა, დაინიშნა დამატებითი დრო და იტალიელმა სკია ვიომ გამარჯვების გოლი გაიტანა, რის შედეგადაც იტალია გახდა მსოფლიოს მეორე ჩემპიონი.

დუჩე მუსოლინი, მეუღლესთან ერთად, მსოფლიო ჩემპიონატის გახსნის ცერემონიალზე

იტალიის ნაკრები – 1934 წლის მსოფლიო ჩემპიონი ფეხბურთში

ფინალი

იტალია-ჩეხოსლავაკია 2:1 (0:0 1:1)
10.06. რომი "Pen ნაციონალე"
55000 მაყურებელი
მსაჯები: ი. ეკლინდი (შვედეთი), მ. ივანიჩი (უნგრეთი), ლ. ბაერი (ბელგია).
იტალია: კომბი (კაპიტანი), მონცელიო, ალემანდი, ფერარასი, მონტი, ბერტოლინი, გუაიტა, მეაცა, სკიავიო, ფერარი, ორსი.
ჩეხოსლოვაკია: პლანიჩკა (კაპიტანი), ჯენიშეკი, ჩტირუოკი, კოშტიალეკი, ჩამბალი, კრჩილი, იუნეკი, სვობოდა, სობოტა, ნეედლი, პუჩი.

იუმორი

მთვრალი გურული ავტობუსის გაჩერებასთან ძლივს დგას ფეხზე და ელექტრობოძს ებღაუჭება, რომ არ წაიქცეს. ჩამოიარა მეორე, არანაკლებად მთვრალმა გურულმა.

– აქ რას აკეთებ, ძამა?

– ავტობუსს ველოდები!

– გადირიე, ძამა? მაგხელა "სტოლბით" ვინ შეგიშვებს ავტობუსში?!

– ექიმო, გემუდარებით, სასწრაფოდ მოდით. ჩემს ცოლს ბრმა ნაწლავის შეტევა აქვს.

– ნუ ინერვიულებთ. ორი წლის წინათ მე მას ამოვკვეთე ბრმა ნაწლავი. ადამიანს არ შეიძლება მეორე ბრმა ნაწლავი გაუჩნდეს.

– რა თქმა უნდა, ექიმო! მაგრამ ხომ შეიძლება, რომ ადამიანმა მეორე ცოლი მოიყვანოს?..

მეგრელი სამსახურში მისაღებ ტესტირებაზე ჩაიჭრა. ცოლმა ჰკითხა, რომელ შეკითხვას ვერ უპასუხეო:

– რომელს და, ქალს სად ეზრდებაო ყველა ხუჭუჭა თმა. მე იმ ადგილის კულტურული სახელწოდება არ ვიცოდი და უზრდელობაში რომ არ ჩამომრთმეოდა, იმიტომ არ დავწერე პასუხი.

– მერე, რა გითხრეს, სწორი პასუხი რა არისო?

– ზიმბაბვეშიო მითხრეს. ამ ხნის კაცი ვარ და, მაგ ადგილს ზიმბაბვე თუ ერქვა, ნამდვილად არ ვიცოდი!

ცნობები კოსმოსიდან

შოტლანდიის, ედინბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა დუნკან ფორგანმა დათვალა, რომ მხოლოდ ჩვენს გალაქტიკაში, სულ ცოტა, 361 ცივილიზაცია უნდა არსებობდეს. საერთოდ კი, მათი რაოდენობა 38 ათასამდე იქნება. მიუხედავად მათი ასეთი რაოდენობისა, ალბათ, მათთან კონტაქტის დამყარება ვერ მოხერხდება.

მეცნიერმა შექმნა ჩვენი გალაქტიკის მსგავსი მოდელები; მსოფლიო სამეცნიერო სფეროში არსებულ ცოდნაზე დამყარებით ააგო მზის სისტემები; თავისი ადგილი მიუჩინა ეგზოპლანეტებსა და პლანეტებს.

შემდეგ ამ მოდელებს მიუსადაგა სამი შესაძლო სცენარი. პირველ შემთხვევაში მან დაუშვა, რომ ძალიან ძნელი იყო ცოცხალი ორგანიზმების წარმოშობა, მაგრამ წარმოშობის შემთხვევაში ძალიან კარგად განვითარდნენ. ასეთი მოდელით გალაქტიკაში შეიძლება 361 გონიერი ცივილიზაცია წარმოშობილიყო. მეორე სცენარის მიხედვით, ცოცხალი ორგანიზმები ადვილად წარმოიშვნენ, მაგრამ ძალიან გაჭირდა მათი გონიერ არსებებად ჩამოყალიბება. ასეთ პირობებში, ფორგანის აზრით, შეიძლება არსებობდეს სიცოცხლის 31.513 ფორმა. მესამე ვარიანტი ეფუძნება ვარაუდს, რომ ცოცხალი ორგანიზმები სხვადასხვა პლანეტაზე შეიძლება მოხვედრილიყვნენ ასტეროიდებთან მათი შეჯახებისას. ეს დედამიწაზე სიცოცხლის წარმოშობის ერთ-ერთი პოპულარული თეორიაა.

მეცნიერების დასკვნით, დროთა განმავლობაში, შეიძლება, მართლაც გამოჩნდეს მათთან კონტაქტის დამყარების უმცირესი შანსი. სავარაუდოა, რომ სიცოცხლე სხვა პლანეტაზე ისეთივე მრავალფეროვანი იყოს, როგორც დედამიწაზე, მაგრამ შეუძლებელია წინასწარ განვსაზღვროთ, როგორ გამოიყურებიან მათზე მცხოვრები გონიერი არსებები, როგორ მოიქცევიან ისინი ჩვენთან კონტაქტის დამყარების შემდეგ და რა ფორმას მიიღებს ჩვენთან მათი ურთიერთობა.

მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან გამოჯანმრთელებულები ბრუნდებიან

გაგნიძის ვრეპარატი არჩენს

ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, ყუჭ-ნაწლავის გაუვალობას, ყოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიურად დაავადებულებს, პარკინსონს, ასთმას, ჩიყვს, გულისა და თირკმელების დაავადებებს, სპობს აზოტს თირკმელში, ჰეპარინავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შველის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ოსტეოქონდროზს, გაიმორიტს, სისხლის გათეთრებას, სეფსისს, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცერროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ბოტკინს, ელენთის, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, ქლამიდიას, ალიმპაქსს, წყლულს, ფსორიაზს, სახსრების დაავადებებს, ეპილეფსიას, ამყარებს იმუნიტეტს, ახდენს თავის ტვინის უჯრედების აღდგენა-შენარჩუნებას, დადებითად მოქმედებს სექსუალურ დარღვევებზე და ნარკოტიკებთან დამოკიდებულებებზე.

კოორდინატები:

თელავი, კავკასიონის ქუჩა №61-ბ,
გაგნიძე ბიჯიკო (დომენტი).
ტელ: 893-22-66-51 8(250) 7-61-24
თბილისი, წინამძღვრიშვილის 120
ბათუმი, ასათიანის 11,
(ორშაბათს, ოთხშაბათს
და პარასკევს, 10-დან 14 საათამდე).

დავრჩით მარტო

ტაში-ტუშით და დოს ყლაპვით
ტახტზე ორჯერ დაჯდა ღლაპი,
და ვეღარ ცნობს ძაღლი პატრონს.
ტრაბახით და ბრეტის ბრეტით
ბევრჯერ მოგვხვდა რუსის კეტი,
ჰოდა, რა ვქნათ, რა ვინატროთ?
არ გვაქვს ნეიტრალიტეტი,
აღარც "მაპი", აღარც "ნატო"
და დიდ სამტროს შევრჩით მარტო.

ალეკო შენგელია

სარედაქციო ჯოლეგია	რედაქციის მისამართია: **თბილისი, ტაბიძის ქუჩა №23**	გაზეთში გამოქვეყნებული პუბლიკაციის ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე რედაქციამ შესაძლოა გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებს	anaklia@.web.de e-mail:elisabetthal@.yahoo.de